

სპორტული კომპლექსის სანაცვლოდ ფასადები შეიღებება

A4



ერაყი მსოფლიოს დახმარებას სთხოვს

A5



რა უნდა MICROSOFT-ს საქართველოში

A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 23 ივნისი, 2005 წელი. №140 (1000)

ფასი 50 თეთრი

### ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## ამბები

### ტროტუარის ორი მსხვერპლი



ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს გასწვრივ მდებარე უკანონოდ გასხვისებულ ტროტუარს 2003 წელს ბენზინგასამართი სადგური ემსხვერპლა, გუშინ კი - ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი.

A2

## ამინდი

| | 23/06 | 24/06 | 25/06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 30 | 28 |
| ტყიბული | 18 | 26 | 22 |
| სოხუმი | 18 | 22 | 22 |
| დმანისი | 18 | 25 | 21 |
| გორი | 21 | 26 | 23 |
| ონი | 11 | 22 | 16 |
| ზუგდიდი | 21 | 27 | 25 |
| ახმეტა | 28 | 29 | 28 |
| გაგრა | 17 | 21 | 21 |
| სამტრედია | 22 | 28 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რეკლამა | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ოპოზიცია ახალ რევოლუციაზე ალაპარაკდა

"აღარ ვიცი, პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დავანებო თუ ქვების სროლა დავიწყო," - ამბობს კობა დავითაშვილი

გიორგი ასანიშვილი

*თბილისის საკრებულოს არჩევნების ახალი სქემა, რომელიც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა შეიმუშავა, ოპოზიციას უკიდურესად აღიზიანებს. "დღევანდელი ხელისუფლება ქვეყანას ახალი რევოლუციისკენ მიაქანებს," - აცხადებს "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი, რომელიც იქვე მუქარით დასძენს, რომ რევოლუციური გადატრიალებების დიდი გამოცდილება აქვს და ამ საქმეში არასოდეს დამარცხებულა. აღშფოთებულია "კონსერვატორი" კობა დავითაშვილიც. მისი თქმით, კანონპროექტი ოპოზიციას, ეროვნული დაუმორჩილებლობის გარდა, სხვა გზას აღარ უტოვებს.*

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მიხეილ მაჭავარიანმა დეპუტატებს საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივა გააცნო, რომელიც დედაქალაქის საკრებულოს არჩევის წესის შეცვლას ითვალისწინებს. ამოსავალ წერტილად მიჩნეულია თბილისის ელექტორატის რაოდენობა - 533 ათასი ამომრჩეველი (ცესკოს მონაცემებით), საიდანაც დგინდება ერთი მანდატის "წონა": ის 22 ათასი ამომრჩევლის ხმის ტოლფასია. შესაბამისად, ქალაქის საკრებულოში გამოყოფილი მანდატების კვოტა თბილისის ამა თუ იმ რაიონში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*"ეს არის კანონის საკუთარ სურვილებზე მორგება და ხელისუფლების უზურპაცია," - ამბობს კობა დავითაშვილი.*

# საბრალდებო ანგარიში

## საკრებულოს ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მერიას დარღვევები გამოუძებნა

*თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფი საკრებულოს უახლოეს სხდომაზე წარადგენს ანგარიშს, სადაც ქალაქის მერსა და განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საკრებულოს ოპოზიცია და უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი ინტერფრაქციული ჯგუფის დასკვნას ეთანხმება.*

ნანა ქადაგიშვილი

მაისის ბოლოს, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის ყოფილმა თანამშრომლებმა საკრებულოს მიმართეს საჩივრით, სადაც სამსახურის უფროსს ნატა მაჩალაძეს არაკანონიერ ქმედებაში ადანაშაულებდნენ. საკრებულოს ზოგიერთი წევრი, კარგა ხანია, ნატა მაჩალაძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. ამიტომ, საკრებულოს აღნიშნულ საჩივარზე რეაგირება არ დაუყოვნებია და 27 მაისს ჩატარებულ სხდომაზე 9 დეპუტატისგან შემდგარი ინტერფრაქციული ჯგუფი შექმნა. ორკვირიანი მუშაობის შედეგად მომზადებული ანგარიში ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ამ დღეებში ქალაქის მერს, პრემიერს, საკრებულოს თავმჯდომარესა და მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსს გადაუგზავნა. უახლოეს მომავალში კი საკრებულოს სხდომაზეც გაიტანს განსახილველად.

ზურაბ ჭიაბერაშვილი მერის უფლებამოსილების გადამეტებაში, ხოლო მაჩალაძე კანონდარღვევაში არიან დადანაშაულებულნი. 2005 წლის პირველ მარტს გამოიცა პრეზიდენტის №120 ბრძანებულება მერიის დებულების შესახებ, რომლითაც მერიის სტრუქტურა განისაზღვრა. როგორც მერიაში განმარტავენ, ამ ბრძანებულების საფუძველზე, საჭირო გახდა არსებული სამსახურების ლიკვიდაცია და ახლად ჩამოყალიბება. ამიტომაც გამოსცა მერმა 2005 წლის 5 მაისის ბრძანება საქალაქო სამსახურების, მათ შორის განათლებისა და კულტურის სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ. საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ თბილისის მერს, საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის უფლება უკვე აღარ ჰქონდა. **"პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის ბრძანებულების გამოცემამდე მერს საქალაქო სამსახურის შექმნა-ლიკვიდაციის უფლება ჰქონდა, მაგრამ აღნიშნულ ბრძანებულებაში მერის ვალდებულებათა შორის უკვე არსად არის აღნიშნული, რომ მერს საქალაქო სამსახურის**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ევროსაბჭო: რუსეთი ვალდებულებებს არ ასრულებს

ნიკა თარაშვილი

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის მიმართ კრიტიკას არ იშურებს. მონიტორინგის კომიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი ვერანაირად ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ სახელმწიფოდ, იმის გამო, რომ მის მიმართ 439 (!) პრეტენზია არსებობს. და ეს პრეტენზიები ეხება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციას, არამედ კრემლის დამოკიდებულებას მეზობლებისადმი.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*რუსეთი ვალდებულებებს არ ასრულებს, მაგრამ ევროსაბჭოში ხმას მაინც არ ჩამოართმევენ.*

## პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მერი პარტიული სჯობს

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის მიერ მომზადებულ კანონპროექტს, თბილისის საკრებულოსა და მერის არჩევნების შესახებ, ცალსახა მხარდაჭერა გამოუცხადა და მერის პირდაპირი წესით არჩევის წინააღმდეგ გამოვიდა.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ რა სასიკეთო ცვლილებები მოხდა თბილისში ბოლო პერიოდში (გზების მშენებლობა, ახალი ავტობუსები და სხვ.) და აღნიშნა, რომ ამ საქმეს გაგრძელება სჭირდება. **"ჩვენ დავპირდით ხალხს, რომ თბილისში იქნება თვითმმართველობა.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## რეფერენდუმის ბედი კვლავაც უცნობია

ჯერჯერობით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საინიციატივო ჯგუფის იმ განაცხადზე არ უმსჯელია, რომელიც საქართველოში რეფერენდუმის ჩატარებას ეხება.

**"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის, რომელიც არ შედის თემში) მერი/გამგებელი აირჩეს პირდაპირი კენჭისყრით ამ დასახელებული პუნქტების მოსახლეობის მიერ?"** - ეს ის კითხვაა, რომლითაც საინიციატივო ჯგუფის წევრები მოსახლეობას მიმართავენ, თუ, რა თქმა უნდა, მათ რეფერენდუმის გამართვის უფლება მიენიჭებათ.

ამ უფლების მოპოვებამდე კი მათ მთელი რიგი პროცედურები უნდა გაიარონ. პირველ რიგში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საინიციატივო ჯგუფს, რეფერენდუმის გასამართად, 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვების უფლება უნდა მისცეს. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ, რომლისთვისაც მათ ორი თვის ვადა მიენიჭებათ, დოკუმენტაცია კვლავ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაბრუნდება. ერთი თვის მანძილზე ცესკო ხელმოწერების სისწორეს გადაამოწმებს, შემდეგ კი საქმეში საქართველოს პრეზიდენტი ჩაერთვება და, საბოლოოდ, იგი გადაწყვეტს, დანიშნოს თუ არა რეფერენდუმი. მთელი ეს პროცედურები მომავალი წლის გაზაფხულზე თუ დასრულდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მთავრობა "ევრაზჰოლდინგის" წასვლით შექმნილ პრობლემებს არ იმჩნევს

თამარ ივანიძე

*მთავრობის სხდომის დღის წესრიგი გუშინ, ტრადიციისამებრ, ერთ თაბახზე არ ეტეოდა. თუმცა, საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც კომენტარი გაკეთდა, ასევე ახალი ტრადიციისამებრ, სულ ორიოდე გახლდათ. კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერმა გუშინ "ჭიათურმანგანუმის" ჩაშლილ პრივატიზაციასა და წყალდიდობის ლიკვიდაციის სამუშაოების შესახებ ისაუბრა.*

საქართველოს ხელისუფლება საპრივატიზაციო პროცესების გაგრძელებას გეგმავს. როგორც მთავრობის 22 ივნისის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, საქართველოს მთელი რიგი საწარმოების პრივატიზაცია კვლავაც გაგრძელდება და შემოსული თანხები საქართველოს ბიუჯეტს საკმაოდ დიდ შემოსავალს მოუტანს.

გაგრძელება A6 გვერდზე

# მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი მოსკოვში

*გუშინ მოსკოვში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი რაიმე მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგით არ დასრულებულა. თანაც, შეხვედრის დაწყებამდე ოსურმა მხარემ საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება არ სურს. თავის მხრივ, ქართულმა მხარემ არ გამორიცხა შერეული სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხის დასმა. ამავე დროს, შეხვედრაზე ხელი მოეწერა პროტოკოლს, რომელიც კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამოძიებას და ამ მიზნით, შერეული ჯგუფის შექმნას ეხება. ამ ჯგუფში მონაწილეობას რუსული მხარისა და ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებიც მიიღებენ.*

თამარ მჭედლიშვილი

წესით, შეხვედრა ორშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი ოსური მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. მოგვიანებით, ოსურმა მხარემ ჟურნალისტების წინაშე საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა ოფიციალური თბილისი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის კრიმინალიზაციაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი უშუალოდ მფარველობს ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებს; ადამიანთა გატაცებასა და მძევლად მშვიდობიანი მოსახლეობის აყვანას კი საქართველოს ხელისუფლება აქეზებს. მისივე თქმით, შერეული საკონტროლო კომისიის რიგგარეშე სხდომა ქართული მხარის განწყობებს ვერ გაანეიტრალებს. **"თბილისს ომი სურს და საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადასაჭრელად,"** - აღნიშნა მედოევმა. ამავე დროს, მოსკოვში კოკოითის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ **"ცხინვალი დაინტერესებულია კონფლიქტის ზონის კრიმინალებისაგან გაწმენდით, თბილისი კი საპირისპიროდ იქცევა - ქართველებს დღემდე არ გაუყვანიათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სამხედრო მოდელი ისევ აქტუალურია."**

საგულისხმოა, რომ კომისიის წევრებს სხდომის დაწყების წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშინინი შეხვდა. იგი ოპტიმისტურად იყო განწყობილი და იმედოვნებდა, რომ მხარეები კონკრეტულ შეთანხმებებს მიაღწევდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, გუშინ საუბარი ცხინვალის რეგიონში ექვს ივნისს დაკარგული ოთხი ქართველის გაუჩინარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს გართულებულ მდგომარეობას შეეხებოდა. სხდომაზე ქართული მხარე აპირებდა, კატეგორიულად მოეთხოვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება. ამავე დროს, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ქართული მხრიდან, გიორგი ხაინდრავა სხდომაზე ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის ახალი ლიდერის თეიმურაზ მამსუროვის განცხადების გაპროტესტებას გეგმავდა, რომელიც სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას ეხება.

ხაინდრავას თქმით, მსგავსმა განცხადებებმა რეგიონში ისედაც რთული ვითარება "შესაძლოა" დაძაბოს.

სამშვიდობო მანდატის შენარჩუნებას მოსკოვი კატეგორიულად ითხოვს. შერეული საკონტროლო კომისიის რუსული მხარის თანათავმჯდომარემ, რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩმა ვალერი კენიაკინმა სხდომის დაწყების წინ განაცხადა, რომ მოსკოვი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების კვლავაც დატოვებას აპირებს. **"ჯერჯერობით, სამშვიდობოების ყოფნას კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ასე იქნება,"** - განაცხადა კენიაკინმა.

მისივე თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, 29 მაისისა და ექვსი ივნისის ინციდენტების გამო, ვითარება საკმაოდ დაძაბულია.

სწორედ ასეთი საერთო ფონი იყო შექმნილი უშუალოდ მოლაპარაკებების დაწყების წინ.

სხდომის დასრულებისთანავე გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ საქართველომ, შესაძლოა, სამშვიდობო მისიის მიზანშეწონილობის საკითხი დასვას. **"თუკი კონფლიქტის ზონაში განლაგებულ სამშვიდობო ძალებს რეგიონში უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შენარჩუნება არ ძალუძთ, მაშინ ჩვენ მათი ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს დავაყენებთ,"** - განუცხადა ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა.

მისივე თქმით, 29 მაისისა და 6 ივნისის ცნობილი მოვლენების შემდეგ რეგიონში ვითარება უკიდურესად დაძაბულია და დაძაბულობის ხარისხმა პიკს მიაღწია. გოგა ხაინდრავა დარწმუნებულია - ამ ინციდენტების გამოძიების გარეშე მხარეები მოლაპარაკებების პროცესში წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევენ.

# ტროტუარის ორი მსხვერპლი

ნანა ქადაგიშვილი

*ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს გასწვრივ მდებარე უკანონოდ გასხვისებულ ტროტუარს 2003 წელს ბენზინგასამართი სადგური ემსხვერპლა, გუშინ კი - ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი. ორივე შემთხვევაში პრეზიდენტის ხელი ურევია. მართალია, გამგებელი ავთო დავითაძე, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ გათავისუფლებულა, მაგრამ დღეიდან იგი სამსახურში აღარ მივა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ბენზინგასამართი სადგური, რომელიც მეორედ დაინგრა.*

როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ბენზინგასამართი სადგური მან ზუსტად იმ ადგილას იხილა, სადაც, საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს, პირადად დაანგრევინა. პრეზიდენტის რისხვა თავს ვაკე-საბურთალოს გამგებელს დაატყდა. **"გამგებელი გავათავისუფლეთ. ამ საკითხზე ქალაქის პრემიერიც მკაცრად გავაფრთხილე. გამოდის ათასი არცთუ სერიოზული ადამიანი და ამბობს, რომ პრეზიდენტიც და მინისტრებიც გასვრილები არიან. ნურას უკაცრავად! ეტყობა, ზოგიერთმა გამგებელმა, მაგალითად, საბურთალოს გამგებელმა დავითაძემ, ეს დაიჯერა. ხელისუფლება, რომელიც გასვრილია, დაბალი თანამდებობის პირს ვერასოდეს მოსთხოვს პასუხს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც აქვე "გამოტყდა", რომ თავის დროზე ამ სადგურის დაკანონებაში მას, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, დიდ ფულს სთავაზობდნენ.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, აღნიშნულ ადგილას (რომელიც მაშინ კომპანია "გლობუსი 2"-ს ეკუთვნოდა) ტროტუარზე ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტი მაშინდელმა არქიტექტურის სამსახურმა 2002 წლის 21 ოქტომბერს შეითანხმა, მშენებლობის ნებართვა კი 21 ნოემბერს გასცა. 2003 წლის 25 თებერვალს მთავარი არქიტექტორის ირაკლი როსტომაშვილის ბრძანებით, აღნიშნული პროექტი და ნებართვა გაუქმდა. ამ ბრძანებას წინ უძღოდა ისეთი ფაქტი, რომელიც საზოგადოებას დღემდე კარგად ახსოვს. ირაკლი როსტომაშვილისა და მაშინდელი ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის ხელმძღვანელობით, ბულდოზერმა უკანონოდ გაყიდულ ტროტუარზე წამოჭიმული ბენზინგასამართი სადგური რამდენიმე წუთში დაშალა. ამ, ფაქტობრივად, უპრეცედენტო შემთხვევის ინიციატორი კი, მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. თუმცა, იმავე წლის 16 დეკემბერს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 თებერვლის ბრძანება გაუქმდა და, შესაბამისად, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტი და ნებართვა აღდგა.

ყაზბეგის გამზირზე ბენზინგასამართი სადგურის ხელახალი მშენებლობა მხოლოდ აღნიშნული ტერიტორიის ახალმა მფლობელმა "კანარგო სტანდარდ ოილმა" გაბედა. თანაც, ისე გაბედა, რომ ბენზინგასამართ სადგურს, ფაქტობრივად, უკანონოდ აშენებს. მართალია, ორი წლის წინათ სასამართლომ მშენებლობის პროექტი და ნებართვა აღადგინა, მაგრამ, როგორც ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში აცხადებენ, დღეს 2002 წელს აღებული მშენებლობის ნებართვა უკვე ვადაგასულია.

მშენებლობის ნებართვას, როგორც წესი, ორ წელიწადში გასდის ვადა, "კანარგო სტანდარდ ოილს" კი ვადის გაგრძელებაზე არ უზრუნია. მან ურბანული დაგეგმარების სამსახურს მხოლოდ ბენზინგასამართი სადგურის პროექტის კორექტირებული ვარიანტი წარუდგინა დასამტკიცებლად, რაზეც სამსახურის ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა.

**"მართალია, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტის ახალი ვარიანტი პირველზე ბევრად უკეთესია, სადგური ტროტუარს უკვე მთლიანად აღარ იკავებს, მაგრამ ტროტუარის, თუნდაც, ნაწილის დაკავება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ,"** - განგვიცხადა ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილემ ბექა ქარსიძემ.

მართალია, უკანონო მშენებლობაზე პასუხისმგებელი, უპირველესად, არქიტექტურის მშენებლობის ინსპექციაა, მაგრამ "კანარგო სტანდარდ ოილის" ამ გამბედაობას ვაკე-საბურთალოს გამგებელი ავთანდილ დავითაძე შეეწირა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, თავის დროზე, ბენზინგასმართი სადგურის მშენებლობისთვის ხელი რომ არ შეეშალა, მას ქრთამად სოლიდური თანხა შესთავაზეს. დავითაძე ქრთამის აღებაში პირდაპირ არავის დაუდანაშაულებია, მაგრამ, ფაქტია, მინიშნება გაკეთდა. პრეზიდენტს, გამგებლის გათავისუფლების შესახებ, ჯერჯერობით, ოფიციალური განკარგულება არ დაუწერია და, როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობაში აცხადებენ, არც ავთო დავითაძეს აქვს განცხადება დაწერილი, მაგრამ დღეიდან იგი სამსახურში მისვლას მაინც აღარ აპირებს.

**"პრეზიდენტის ხმამაღალი განცხადება ჩემი თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საკმარისია. მან გადაწყვეტილება რომც შეცვალოს, სამსახურში აღარ დავბრუნდები. ვერ გამიგია, ბენზინგასამართი სადგურის უკანონო მშენებლობასთან მე რა შუაში ვარ, იგი ადმინისტრაციულ ინსპექციას უნდა დაენგრია და არა გამგებელს,"** - აცხადებს დავითაძე. რაც შეეხება მკვდრეთით აღმდგარ ბენზინგასამართ სადგურს, "კანარგო სტანდარტ ოილის" განცხადებით, მას დაშლიან.

# საბრალდებო ანგარიში

პირველი გვერდიდან

**შექმნა-ლიკვიდაციის უფლება აქვს. ამ ბრძანებით ჭიაბერაშვილმა მერის უფლებამოსილებას გადაამეტა,"** - აცხადებენ ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები.

თუმცა, მერიის იურიდიული სამსახური და კანონის დაცვის ადმინისტრაციული ინსპექცია ამ ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ამის დასტურად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლს იშველიებენ. კოდექსის აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტში წერია, რომ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. **"პრეზიდენტის ბრძანებულებაში არც ის არის აღნიშნული, რომ მერს საქალაქო სამსახურის გაუქმების უფლება არ აქვს. პრეზიდენტის ბრძანებულება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს არ ეწინააღმდეგება,"** - აცხადებს მერიის კანონის დაცვის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი გიორგი ხაბაშვილი.

ინტერფრაქციული ჯგუფის ანგარიშში მთავარი ადგილი მაინც განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის ნატა მაჩალაძის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს უკავია. **"ამგვარ ქმედებას შეცდომის კი არა, შეგნებული დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, რადგან კანონდარღვევა სრულად აშკარაა,"** - ასეთ მკაცრ ბრალდებას ჯგუფის წევრები ნატა მაჩალაძეს 2005 წლის 28 თებერვლის №№112,113,114,115,116 ბრძანებების გამო უყენებენ. აღნიშნული ბრძანებების საფუძველზე, განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა სამსახურში ხუთი თანამშრომელი მიიღო. როგორც ინტერფრაქციული ჯგუფის წევრებმა გამოიკვლიეს, მათი მიღების შესახებ ბრძანებები ძველი რიცხვით არის გაფორმებული, რადგან №111 ბრძანება 16 მარტის რიცხვით არის დათარიღებული.

**"ინტერფრაქციული ჯგუფის წევრებმა მიგვითითონ, სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლში წერია, რომ ბრძანების ძველი თარიღით გატარება სისხლის სამართლის დანაშაულია. დამნაშავის სტატუსის მინიჭება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა,"** - აცხადებს მერიის კანონის დაცვის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელი ხაბაშვილი.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მერიის კანონის დაცვის ადმინისტრაციული ინსპექცია ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ განათლებისა და კულტურის სამსახურში აღმოჩენილი დარღვევის გადამოწმებას აპირებს და საკუთარ დასკვნას ერთ კვირაში მოამზადებს, რომელიც განსახილველად ასევე საკრებულოს წარედგინება.

# რესპუბლიკელების ვიზიტი ფოთში

*27 ივნისს რესპუბლიკური პარტიის ყრილობა გაიმართება. დავით ბერძენიშვილს პარტიის ლიდერის პოსტზე დავით უსუფაშვილი შეცვლის. ყრილობამდე დარჩენილ დღეებში კი ძველი და ახალი თავმჯდომარეები ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში პარტიის რეგიონულ აქტივთან, საზოგადოებასთან შეხვედრებს მართავენ.*

ქეთინო ჯაკობია
*ფოთიდან*

ლაგოდეხის შემდეგ, 21 ივნისს რესპუბლიკელები ფოთში იმყოფებოდნენ.

"ვგეგმავთ შემადგენლობის, სოციალური წრის გაფართოებას; საზოგადოებასთან, არასამთავრობო სექტორთან აქტიურ ურთიერთობას, სერიოზული ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებას; ვიწყებთ იმ საფრთხეების ასაცილებლად მზადებას, რომელიც ქვეყანას ემუქრება," - განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ფოთში მაღალი აქტიურობით არასოდეს გამოირჩეოდა. რამდენიმე თვის წინ მის თავმჯდომარეს, ელგუჯა ჭეჟიას ადგილობრივ მთავრობაში თავად ეკავა საპასუხისმგებლო პოსტი, თუმცა, როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, ბოლო 15 წლის განმავლობაში არა მარტო ფოთში, მთლიანად ქვეყანაში რესპუბლიკური პარტია მხოლოდ ტელეკამერების წინ აქტიურობდა და ხალხთან ნაკლებად იყო მისული. იგი იმედოვნებს, რომ მოსახლეობა მალე თვისობრივად სახეცვლილ და ხელისუფლების სოლიდურ პოლიტიკურ ალტერნატივად ჩამოყალიბებულ პარტიას იხილავს.

ბოლო პერიოდში, ქალაქში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ფოთელები მმართველი და ოპოზიციური პარტიებისადმი ერთნაირად ინერტულები გახდნენ. ამ ფონზე შეხვედრით დაინტერესებული 150-მდე მოქალაქე რესპუბლიკელთათვის საკმაოდ დიდ აუდიტორიად მოიაზრება. პარტიის ლიდერები ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე ალაპარაკდნენ, თუმცა შეკრების მონაწილეთათვის უფრო საინტერესო ადგილობრივი ვითარების მათეული შეფასება გახდა.

"ფოთი არის სტრატეგიული დანიშნულების ქალაქი. მას სხვა ქვეყნების ანალოგიურად, განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ სიმართლე განაცხადა მერის არჩევითობასთან დაკავშირებით, მაგრამ ნაწილობრივ, რადგან ხელისუფლებას არ დაავალა აღნიშნულის აღსრულება. პირდაპირი გზით არჩეული მერი იქნება სერიოზული ფიგურა, რომელსაც ასე ადვილად ვერ წაართმევენ მოგების და, გნებავთ, ქონების გადასახადს. "ცენტრს" ხელს აძლევს, ჰყავდეს მშიერი თვითმმართველობა. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ადგილზე რაც შეიძლება მეტი უფლებამოსილება გადანაწილდეს. არავინ ეკითხება სახელმწიფოს გუბერნატორისა და ვიცე-გუბერნატორის დანიშვნას, რომელიც ფაქტობრივი "ნასედკაა". ავტორიტარული, მაფიოზური ხელისუფლებები, როგორც წესი, ისპობა," - თქვა ბერძენიშვილმა, რომელმაც ელექტორატთან ფოთელი ბებიითა და აქ გატარებული ბავშვობით მოიწონა თავი.

სამაგიეროდ, როგორც დავით უსუფაშვილმა თავად განაცხადა, ფოთის მიწაზე პირველად დადგა ფეხი. მისი გამოსვლისას ჩამქრალმა ელექტროენერგიამ და საცოდავად მოთუხთუხე გენერატორმა რესპუბლიკელთა ლიდერს მკაფიოდ დაანახა საპორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის მრავალთაგან ერთ-ერთი პრობლემა.

"პარტიას აქვს პრეტენზია, გული შესტკიოდეს ქვეყანაზე. ჩვენი მიზანი ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაა. 2003 წლის ნოემბრიდან ისევ ოპოზიციურ ფრთაში მოვიაზრებით და ეს უდიდესი ტრაგედიაა. ხალხის მიერ მოყვანილმა ხელისუფლებამ ხალხისვე უფლებების იგნორირება დაიწყო. რესპუბლიკური პარტია არ იყო მარტო ბერძენიშვილის და არც უსუფაშვილის იქნება. გვინდა, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს მივცეთ ჩვენს რიგებში საკუთარი თავის გამოცდის საშუალება. ვართ მემარჯვენე- ცენტრისტები და გვსურს, პარტია ავაწყოთ ჩრდილოვანი კაბინეტის მეთოდზე," - განაცხადა უსუფაშვილმა.

რამდენიმე დღის წინ კონსერვატორების, მემარჯვენეებისა და რესპუბლიკელების ადგილობრივმა ლიდერებმა ფოთში თემატური კოალიცია შექმნეს. იმ დროისთვის არ იყო ცნობილი გაერთიანებისადმი ცენტრალური ოფისების დამოკიდებულება. როგორც გაირკვა, რესპუბლიკელთა ლიდერები მსგავს აქციას მისაღებად მიიჩნევენ და მიესალმებიან კიდეც.

"არის საკითხები, რაშიც სხვა პარტიებისა და ჩვენი პოზიციები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ეს ძირითად საკითხებში თანამშრომლობაში ხელს არ გვიშლის. ადგილებზე კონკრეტული პრობლემები განიხილება და დემოკრატიულ ოპოზიციურ ჯგუფებს მეტი ერთობლივი ასპარეზი აქვთ. სასურველია, შეიქმნას ერთიანი ოპოზიციური ფრაქცია ყოველგვარი პარტიული პრიორიტეტების გარეშე. ეჭვი არ მეპარება, რომ დემოკრატიული ოპოზიციური ჯგუფები, მინიმუმ საპარლამენტო ოპოზიცია, ძალიან მაღალი კოორდინაციის პირობებში ჩაატარებს თვითმმართველობის არჩევნებს. ეს კოორდინაცია ბლოკის ხასიათს მიიღებს თუ სხვა სახის სათანამშრომლო ფორმატს აირჩევს, დამოკიდებულია კანონზე და შემდგომ პოლიტიკურ ამინდზე," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დავით ბერძენიშვილმა.

"24 საათი" ფოთში არსებული, როგორც ოპოზიციონერები უწოდებენ, პოლიტიკური კრიზისის თაობაზე დავით უსუფაშვილის კომენტარით დაინტერესდა.

"ფოთის ხელისუფლების უმთავრესი პრობლემაა, რომ ქალაქს არ ჰყავს დანიშნული მერი. არ არის გამოყენებული თუნდაც ის კანონი, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას მერის დანიშვნის უფლებას ანიჭებს და ფაქტობრივად ფოთი დროებითი მმართველობის რეჟიმშია. ქუთაისში არჩევნებს არ ნიშნავენ და ეს ცუდია, ფოთში მერს არ ნიშნავენ, ესეც ცუდია. ამასობაში ფოთს რეალურად მართავს სრულიად სხვა, კონსტიტუციისა და განჩინების დონეზე სამართლებრივი საფუძვლის არ მქონე უწყებიდან მოვლენილი პირი, ე. წ. ვიცე-გუბერნატორი, რაც გაუგებარია და კარგ შედეგამდე არ მიგვიყვანს; მინიმუმ ქაოსური მდგომარეობა იქმნება ქალაქში. მალე სხვა გართულებებიც გამოვლინდება," - განმარტა უსუფაშვილმა.

როგორც რესპუბლიკური პარტიის ფოთის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჭეჟიამ აღნიშნა, მათ დავალებული აქვთ, დეტალური შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, ადგილობრივი პრობლემების ცენტრალური ოფისისთვის ოპერატიული მიწოდება. ღონისძიებას ჭეჟიამ არა ამომრჩეველთან, არამედ რესპუბლიკური პარტიის მიზნებითა და ამოცანებით დაინტერესებულ ფოთელ მოსახლეობასთან შეხვედრა უწოდა.

# თბილისს ბრიტანეთის საბჭოს კოლეგიის წევრი ეწვია

საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება ბრიტანეთის საბჭოს კოლეგიის წევრი ჩარლზ გრანტი. იგი ეკონომისტი, ჟურნალისტი და მწერალია, ამასთანავე - ევროპული რეფორმის ცენტრის დირექტორი და დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლის საქმიანობაც ევროგაერთიანების შესახებ ბრიტანეთის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების ხარისხობრივ გაუმჯობესებას ემსახურება.

გუშინ, ბრიტანეთის საბჭოში ჩარლზ გრანტის სპეციალური მიღება გაიმართა, სადაც ბრიტანეთის საბჭოს კოლეგიის წევრმა საქართველოში საკუთარი ვიზიტის მიზნად ქვეყნის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა დაასახელა. იგი შეეხო საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებს და აღნიშნა, რომ სამეზობლო პოლიტიკაში ქვეყნის გაწევრიანება საქართველოს ტრანსფორმაციასა და მოდერნიზაციას შეუწყობს ხელს.

ჩარლზ გრანტი ევროპული რეფორმის ცენტრის დირექტორობამდე, მრავალი წლის განმავლობაში ჟურნალ "Economist"-ში წერდა სტატიებს, როგორც თავდაცვაზე, ისე ეკონომიკურ საკითხებზე. იგი მივლინებული იყო ბრიუსელში ევროგაერთიანების შესახებ სტატიების მოსამზადებლად. გრანტის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები მოიცავს ევროკავშირის ყოფილი პრეზიდენტის ჟაქ დელორსის ცნობილ ბიოგრაფიას, რომელიც ითარგმნა ფრანგულ, იაპონურ და რუსულ ენებზე.

ჩარლზ გრანტი დიდ ინტერესს იჩენდა ევროგაერთიანების საგარეო და თავდაცვის პოლიტიკისა და ნატო-ს მომავლისადმი. მისი ეს ინტერესები აისახა ორ პუბლიკაციაში - "EU 2010: მომავლის ოპტიმისტური ხედვა" (2000), და "ევროპის მილიტარისტული რევოლუცია" (2001).

საქართველოში ყოფნის დროს ის აპირებს, განიხილოს საქართველოს ურთიერთობა ევროგაერთიანებასთან. ასევე, ქართულ-რუსული ურთიერთობები და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები.

*24 საათი*

## მოკლედ

### ჩინეთი საქართველოს 20 მილიონ იუანს ჩუქნის

ჩინეთის ხელისუფლება საქართველოს საიმედო პარტნიორად მიიჩნევს და საქართველოსთვის 20 მილიონ იუანს საჩუქრად გამოყოფს, - ასეთი განცხადება გააკეთეს ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ უ ბანგომ და სახელმწიფო საბჭოს წევრმა ტან ციზუანმა გუშინ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან ოფიციალური შეხვედრის შემდეგ. გუშინვე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, რაც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ნინო ბურჯანაძემ ჩინურ მხარეს საქართველოში ინვესტიციების ჩადება შესთავაზა. "ვიზიტის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივას, ეკონომიკური, რეგიონული და პარლამენტების შორის თანამშრომლობის შესახებ," - აცხადებს უ ბანგო.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია თბილისში 25 ივნისს დაბრუნდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან გუშინ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის ვეტერანებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მიზნად ვეტერანებმა მთავრობის მხრიდან უყურადღებობა დაასახელეს. მათი თქმით, საელჩოსთან შეკრება იმ მოტივით მოხდა, რომ საქართველოში აკრედიტებულმა უცხო ქვეყნის დიპლომატებმა დახმარება გაუწიონ და მთავრობაზე გავლენა იქონიონ. "გვინდა, აშშ-ს საელჩომ ჩვენს მთავრობას ხმა მიაწვდინოს, მხარში ამოგვიდგეს და ჩვენი არსებობა შეახსენოს. ნუ მოხდება ყოველივე იმის უგულებელყოფა, რასაც ვარდების რევოლუციისგან ველოდით," - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მურატ ჯიოევის განცხადებით, ოსური მხარე მონაწილეობას არ მიიღებს 9-10 ივლისს ბათუმში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას მიეძღვნება. "კონფერენცია გათვლილია დასავლეთის აუდიტორიაზე და არა კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებაზე. რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთიდან მასში მონაწილეობას არავინ აპირებს. ამავდროულად, მზად ვართ, არსებულ ფორმატში დიალოგი გავმართოთ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობების მშვიდობიანი გზით დარეგულირებისთვის," - აცხადებს ჯიოევი. **მედიანიუსი**

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ოპოზიცია ახალ რევოლუციაზე ალაპარაკდა

პირველი გვერდიდან

თითოეული პოლიტიკური პარტია საარჩევნო ოლქში იმდენ კანდიდატს წარადგენს, რამდენი მანდატიც აქვს რაიონს გამოყოფილი. პირველ ადგილზე გასული პარტია, პროცენტული მაჩვენებლის მიუხედავად, ყველა მანდატს მიიღებს. მიხეილ მაჭავარიანის თქმით, იმისთვის, რომ დანარჩენი ხმები არ დაიკარგოს, 4-პროცენტგადალახული პარტიები დამატებით მანდატებს მიიღებენ: 22 ათასი ხმის დაგროვებისთვის - ერთ მანდატს, 44 ათასი ხმისთვის - ორს და ა.შ.

კანონპროექტის მიხედვით, თბილისის საკრებულოს წევრთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი არ არის და მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რიცხვი 25-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი თავისი საკანონმდებლო ინიციატივის მიზანშეწონილობას იმაში ხედავს, რომ თბილისის ყველა რაიონის ამომრჩეველს ეცოდინება, დედაქალაქის საკრებულოში ვინ არის მისი ინტერესების დამცველი.

მიხეილ მაჭავარიანის არგუმენტებმა ოპოზიციაზე არ გაჭრა.

**"ნაციონალურმა მოძრაობამ" ვაკეში 10 ათასი ხმა რომ მოაგროვოს და გაიმარჯვოს, ამისთვის თბილისის საკრებულოში სამ მანდატს მიიღებს, სხვა პარტიას კი ქალაქში 15 ათასი ხმის აღებისთვის ერთ მანდატს მიუგდებენ. ასეთი არითმეტიკა არსად გამიგონია,"** - გაოცებულია ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე.

"კონსერვატორების" ლიდერი კობა დავითაშვილი ხელისუფლებას გონიერებისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს, რომ აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ქვეყანაში ერთპარტიული დიქტატურა დამყარდება და სამოქალაქო ომი გაჩაღდება.

**"ეს არის კანონის საკუთარ სურვილებზე მორგება და ხელისუფლების უზურპაცია. ქვეყნის მმართველ გუნდს სურს, ხმების 20 პროცენტის მოპოვების შემთხვევაშიც კი, მანდატების 100 პროცენტი მიიღოს. სწორედ ის ხალხი გვახურავს თავზე დემოკრატიას, ვინც ხელისუფლებაში დემოკრატიის დროშით მოვიდა. ეროვნული დაუმორჩილებლობის გარდა, ხელისუფლება ოპოზიციას სხვა გზას აღარ უტოვებს. მკვდარზე "ვენოკად" ყოფნას კი ნამდვილად არ ვაპირებთ,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი, რომლის თქმითაც, 4-პროცენტიანი ბარიერის გადალახვისთვის დამატებითი მანდატების გამოყოფა დასამშვიდებელი კანფეტია და მეტი არაფერი.

"რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, თბილისის საკრებულოში პარტიების წარმომადგენლობა არაადეკვატურად აისახება.

**"არჩევნებში ხმების ნახევარზე მეტს ვინც მიიღებს, ყველა მანდატი იმას რომ დარჩეს, ამაში კიდევ არის რაღაც ლოგიკა (თუმცა, ამასაც არ ვეთანხმები), მაგრამ საერთოდ წარმოუდგენელია, რომ უმცირესი ხმებით მანდატების უმრავლესობა მიიღო,"** - პროტესტს გამოთქვამს ბერძენიშვილი.

კომიტეტის სხდომა ოპოზიციამ გუშინ გაოგნებულმა დატოვა. **"აღარ ვიცი, პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დავანებო თუ ქვების სროლა დავიწყო,"** - თბილისის საკრებულოს არჩევის ახალმა სქემამ "ალტერნატივის" წინაშე დააყენა კობა დავითაშვილი.



*მიხეილ მაჭავარიანზე ოპოზიციის არგუმენტებმა ვერ გაჭრა.*

# პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მერი პარტიული სჯობს

პირველი გვერდიდან

**რას ელის ხალხი თბილისის მერისაგან? - რომ გააგრძელოს ის, რაც დაწყებულია,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე განმარტა, რომ ამ ყველაფრის გასაკეთებლად ქალაქის მერს ბიუჯეტი დასჭირდება, რომელსაც, ერთი მხრივ, საკრებულო, მეორე მხრივ კი ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, თუ მერი და საკრებულო ცალ-ცალკე აირჩევა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით იქნება წარმოდგენილი, მერი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩება. **"მას არ ექნება არც ბიუჯეტი, არც ბერკეტები. იქნება ერთი კარგი კაცი, რომელსაც ფეხი ფეხზე აქვს შემოდებული და თბილისელებს უხსნის, რომ ამ გაფუჭებული საკრებულოს და კიდევ უფრო უარესი პრეზიდენტის გამო, არ არის არც წყალი, არც გაზი, არც დენი... თბილისს ეყოლება პოლიტიკური მიმომხილველი, რომელიც ახსნის, რატომ არ ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა,"** - ასე ხედავს პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერის სტატუსს საქართველოს პრეზიდენტი.

სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი მმართველი პარტიის, ან, თუნდაც, სხვა პოლიტიკური ძალის მიერ ერთიანად დაკომპლექტებული საკრებულო და მერი **"შეძლებს საქმის გაკეთებას."**

პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ, საზოგადოების უკმაყოფილების შემთხვევაში, საკრებულოს მიერ არჩეული მერის გადარჩევა საკრებულოშივე იქნება შესაძლებელი, პირდაპირი წესით არჩეულ მერს კი ოთხი წელი ვერავინ შეეხება.

კანონპროექტის კიდევ ერთ ღირსებად მიხეილ სააკაშვილი იმას მიიჩნევს, რომ საკრებულოს წევრების არჩევა რაიონების მიხედვით მოხდება. მისი თქმით, თბილისში აქამდე **"ვერა-ვაკის მმართველობა იყო"**, ამ კანონპროექტით კი **"ყველაზე მეტი ხმა მარცხენა სანაპიროს ექნება, რადგან იქ უფრო მეტი ხალხი ცხოვრობს."**

**"ასეთი არჩეული პირი მუდმივად მიბმულია თავის სამუშაოზე. მთლიანად ვალდებულია, ჩააბაროს ანგარიში,"** - მიიჩნევს პრეზიდენტი.

**"ჩვენ შევქმნით სისტემას, რომელიც შექმნის ხალხის მიერ კონტროლირებად და მუდმივად ხალხის წინაშე ვალდებულ თვითმმართველობას. ისევე, როგორც არის ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში"**, - დაჰპირდა საზოგადოებას მიხეილ სააკაშვილი.

*24 საათი*

# რეფერენდუმის ბედი კვლავაც უცნობია

პირველი გვერდიდან

თავად განაცხადი, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შევიდა, ხარვეზებს ვერ გადაურჩა, რამაც, შესაძლოა, ცესკო-ს იმის საბაბი მისცეს, რომ რეფერენდუმის მსურველები უარით გამოისტუმროს.

ეს, პირველ რიგში, განაცხადის ფორმის არასწორად შევსებას ეხება. გრაფაში, სადაც საინიციატივო ჯგუფის წევრს საკუთარი მისამართი უნდა ჩაეწერა, ძირითადად, მხოლოდ ქუჩის დასახელება და ბინის ნომერია მითითებული. თუმცა, როგორც წესი, ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველთვის ითხოვდა საცხოვრებელი ადგილის სრულ დასახელებას. ანუ, განმცხადებელს, ქუჩისა და ბინის ნომრის გარდა, ის ქალაქიც უნდა მიეთითებინა, სადაც ცხოვრობს.

თუმცა, ეს მხოლოდ პრობლემის ერთი მხარეა. საქმე ის არის, რომ რეფერენდუმის გამართვის მსურველების მთავარი ამოცანა თბილისში მერის პირდაპირი წესით არჩევის დაკანონებაა. მათ განაცხადში თბილისი საერთოდ არ არის ნახსენები. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს დედაქალაქს განსაკუთრებული სტატუსი აქვს და "თბილისის შესახებ" კანონი მას ლამის დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულის, უფრო ზუსტად კი, რეგიონის სტატუსს აძლევს. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ხელისუფლებამ საინიციატივო ჯგუფს ხელმოწერების შეგროვების უფლება მისცეს, თუმცა რეფერენდუმის შედეგები თბილისს სულაც არ შეეხოს.

*24 საათი*


## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

### პარლამენტი ტრეფიკინგის თაობაზე კანონპროექტის განხილვას აჭიანურებს





წამყვანები: [illegible]

სტუმრები: მარკ ჰულსტი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი; ეკა გულუა, გაზეთ „რეზონანსის" ჟურნალისტი.

ეკა გულუა: [illegible]

მარკ ჰულსტი: [illegible]



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:

- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

დროის წამობრივი აღრიცხვა

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

მხოლოდ 30თ.

8 - 10

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



კანარგო სტანდარდ ოილი
CANARGO STANDARD OIL

## შპს "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტის" პრეს-სამსახურის

# განცხადება

"კანარგო სტანდარტ ოილი" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის განუხრელი დაცვით.

კომპანიის მთავარი ამოცანაა, ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მშენებლობისა და კეთილდღეობის საქმეში.

ბიზნესის განხორციელების გზაზე ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

ბოლო დღეებში ქალაქ თბილისში ალ. ყაზბეგის გამზირზე ავტო-გასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნილი ნეგატიური რეზონანსი არანაირად არ შეესაბამება ჩვენი კომპანიის მისიასა და ამოცანებს.

აქედან გამომდინარე, "კანარგო სტანდარტ ოილმა" გაითვალისწინა ხელისუფლებისა და საზოგადოების პოზიცია და მოახდინა მშენებარე ავტო-გასამართი სადგურის დემონტაჟი.

აღნიშნული ნაბიჯით ჩვენმა კომპანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სურვილი, აწარმოოს ქვეყნისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული გამჭვირვალე, ძლიერი და კანონიერი ბიზნესი.

პრესსამსახური

22 ივნისი, 2005

# ხელისგულისტოლა ზღაპრები ოტია იოსელიანისგან

ოტია იოსელიანის 69 ხელისგულისტოლა ზღაპარი ხელისგულისტოლა წიგნის 128 ფურცელზეა თავმოყრილი. საბავშვო გამომცემლობა "დაჩი" ქართველი მწერლის ზღაპრების წიგნის გამოცემა ოტია იოსელიანის იუბილეს დაუკავშირა. "ხელისგულისტოლა ზღაპრების" პირველი, ფერადი წიგნის გამოცემის შემდეგ გაჩნდა იდეა, მეორე გამოცემის თაობაზე. იდეის ავტორი თავად წიგნის ავტორი გახლავთ. "კორექტურისთვის ამობეჭდილი ეგზემპლიარის ნახვისას, რომელიც მართლაც ხელისგულისტოლა ფურცელზე იყო ნაბეჭდი, ოტია იოსელიანმა შემოგვთავაზა წიგნის მეორედ გამოცემა, რომელიც პატარა ფორმატზე დაიბეჭდა. წიგნი ხელისგულზე ეტევა, ამდენად, მისი სახელწოდება და ფორმატი ერთმანეთის იდენტურია," - გვითხრა წიგნის რედაქტორმა დიმიტრი ტიკარაძემ. მეორე გამოცემის ყდა ფერადი ილუსტრაციებითაა გაფორმებული. მისი მხატვარი ზაალ სულაკაურია.



გამომცემლობაში "დაჩი" აღნიშნეს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე გამოცემის 2 ათასი ეგზემპლიარია დაბეჭდილი. პირველი გამოცემა შედარებით ძვირი ღირს, მეორე გამოცემის დაბეჭდვის იდეა პარალელურად მოსახლეობის ინტერესებსაც ემსახურება. წიგნის შეძენა, მისი ფასიდან გამომდინარე, ყველას შეუძლია. ამდენად, ხელისგულისტოლა ზღაპრების წაკითხვას ყველა პატარა შეძლებს.

*24 საათი*

**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი' აცხადებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების კაპიტალში რიცხული ქ.თბილისში რუსთაველის გამზ.N 42-ში მდებარე შენობის:**

1) III სართულზე განლაგებული 2 ოთახის (საერთო ფართი 26მ²),
2) III სართულზე განლაგებული 3 ოთახის (საერთო ფართი 50,0მ²),
3) I- II სართულს შორის განლაგებული 1 ოთახის (საერთო ფართი 15,0მ²))

**იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:**

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს .

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**

მეიჯარე: **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი"**
მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42**

ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს :

1) 3,7 აშშ დოლარის ეკვივალენტს (ლარებში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით);
2) 3,7 აშშ დოლარის ეკვივალენტს.
3) 1,6 აშშ დოლარის ეკვივალენტს.

წინასწარ შესატანი "ბე" შეადგენს, პოტენციური მოიჯარის მიერ შერჩეული ოთახის სრული თვიური საიჯარო ღირებულების (საწყისი ფასი გამრავლებული კვადრატულ მეტრზე) 10 პროცენტს.

**ოთახების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:**

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ნებისმიერი საქმიანობის წარსამართავად, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ შეუშლის საქინფორმის საქმიანობას.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თავის თავზე უნდა აიღოს იჯარით აღებული ოთახის ელექტროენერგიის ხარჯის აღმნუსხავი მრიცხველის დაყენება და კომუნალური გადასახადების გადახდა.
- საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმების გადახდის გარეშე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან - 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

კონკურსი გაიმართება **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის"** შენობაში 2005 წ, 24 აგვისტო. 17 საათზე.

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42, IV სართული**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
3. შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო - საქინფორმის" ანგარიშზე. **(ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი** კოდი: **220101502** საანგარიშსწორებო ანგარიში **N 021467320**, შპს საქინფორმი) "ბეს" შეტანის ქვითარი;
4. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მყარი ფინანსური გარანტიები და კონკურენტზე უკეთესი კომერციული წინადადება. თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კომერციული წინადადების პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული ან დაახლოებული იქნება მედიასთან.

ცნობებისათვის დარეკეთ 899 988 131:

**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი"**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, II კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილია:**

1. შპს "საქართველოს გეოლოგიური და ქიმიური კომპანიის" მიერ "ვარძიის საბადოზე თხევადი ნახშირორჟანგისა და მშრალი ყინულის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი" და დამასაბუთებელი დოკუმენტაცია;
2. ს.ს. "იმერის" მიერ ხარაგაულის რ-ნში დაბის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე "ხარაგაულის წყაროს წყლის წარმოების" პროექტი;
3. ინდმეწარმე "დავით ხუროძეს" მიერ "ხობის რ-ნის ნოჯიხევის სატყეო მეურნეობის უბნის ალუვიური მიწისქვეშა წყლების წარმოების" პროექტი;
4. შპს "ბორჯომი ენდ კომპანის" მიერ "წაღვერის მტკნარი წყლის (წყარო N5) ხუთი კუბური მეტრის ათვისების" პროექტი;
5. შპს "GPC"-ის მიერ, თეთრიწყაროს რ-ნში "კოდის მეფრინველეობის ფაბრიკისათვის საშუალო წნევის გაზსადენის ტრასა მარნეულის ავტომატური გაზის მარეგულირებელი სადგურიდან" პროექტი;
6. შპს "გეოსტატის" მიერ წალკის რ-ნში "გუნია-კალას ვულკანური წიდის საბადოს დამუშავების პროექტი".

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 9 აგვისტომდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი, გულუას ქ. N6**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 9 აგვისტოს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.**

*გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო*

# სპორტული კომპლექსის სანაცვლოდ ფასადები შეიღებება

ქუთაისში სპორტული კომპლექსის მშენებლობას საბოლოოდ დაესვა წერტილი. სანაცვლოდ კი, ქალაქში დამატებით ცხრა ბინის ფასადი შეიღებება. ეს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში კეთილმოწყობის კუთხით გაჩაღებული სამუშაოების დათვალიერებისას მიიღო. პრეზიდენტის 900 000 ლარიანი შემოწირულობა, რომელიც ქუთაისში გრანდიოზული სპორტული კომპლექსის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, იმერეთის რაიონებზე გადანაწილდება გზებისა და ფასადების სარემონტო სამუშაოებისათვის.

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის ანგარიშზე 900 000 ლარი 2005 წლის 1 იანვარს ჩაირიცხა - მაშინ, როცა რეგიონს გია გენაძე მართავდა. იმ დროს პრეზიდენტმა ღია ეთერით მთელ საქართველოს ამცნო, რომ ქუთაისში სპორტული კომპლექსი აშენდებოდა და ამის ხარჯები კობა ნარჩემაშვილის მიერ გადახდილი თანხით დაიფარებოდა. დასაფინანსებელი კომპლექსის მაკეტი მაშინ სააკაშვილს პრემიერმა ჟვანიამ ჩაუტანა ქუთაისიდან. ჟვანიას კი მაკეტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა ადგილობრივმა ხელისუფლებამ წარუდგინა. იმ პერიოდში იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე გახლდათ. კომპლექსის მშენებლობის იდეა ადგილობრივ სპორტულ არასამთავრობო ორგანიზაცია "სარანგს" ეკუთვნოდა.

"სარანგის" 2,5 პროცენტიანი და ქუთაისის მერიის 97,5 პროცენტიანი წილით გასული წლის აგვისტოში შპს "ქუთაისის სპორტული კომპლექსი" დაფუძნდა. აღნიშნული შპს-ს საწესდებო კაპიტალში მერიამ 53 000 ლარის ღირებულების ქონება შეიტანა. ეს გახლდათ 38 000 ლარად შეფასებული ლიტოფონის ქარხნის ტერიტორია, სადაც კომლექსი უნდა აშენებულიყო. ასევე, 8000 ლარად შეფასებული ნიკეას ქუჩაზე მშენებარე ბაზარი და 7000 ლარად შეფასებული გეგუთის რკინაბეტონის მშენებარე ქარხანა. ეს ორი ობიექტი დემონტაჟის შემდეგ შპს-ს სპორტული კომპლექსისთვის საჭირო სამშენებლო მასალებად უნდა გამოყენებინა. ამას ემატებოდა პრეზიდენტის შემოწირულობა 900 000 ლარი და ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 200 000 ლარი.

**"ეს თანხა ლიტოფონის ტერიტორიაზე მაკეტით გათვალისწინებული სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის აბსოლუტურად საკმარისი იყო",** - აცხადებს შპს "ქუთაისის სპორტული კომპლექსის" დირექტორი ვლადიმერ კაკაურიძე "24 საათთან" საუბარში.

პროექტით გათვალისწინებული იყო ოთხსართულიანი შენობის აგება. პირველ სართულზე უნდა განთავსებულიყო ერთი დიდი მოედანი, ევროპის სტანდარტების შესაბამისი საჭიდაო დარბაზი, საუნა, გასახდელები გუნდებისათვის, მსაჯთა ოთახი და სველი წერტილები. მეორე სართულზე განლაგდებოდა ადმინისტრაციული ოთახები, ფიტნეს-ცენტრი, ტრიბუნებზე გასასვლელი კორიდორები, სამთავრობო ლოჟა და სველი წერტილები. მესამე სართულზე იგეგმებოდა საუნის, ინსტრუქტორთა ოთახებისა და სველი წერტილების განთავსება. მეოთხე სართული უნდა მოეცვა სასტუმრო ოთახებსა და სველ წერტილებს. შენობის უკანა ნაწილში, ღია ცის ქვეშ, მინი ფეხბურთის სტადიონი უნდა გაკეთებულიყო. სპორტული კომპლექსი გათვლილი იყო 800 მაყურებელზე, ასევე, შესაძლებელი იქნებოდა ევროპისა და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება სპორტის 12 სახეობაში. მსგავსი მასშტაბური მშენებლობა ქუთაისში უკანსკნელი 15 წლის მანძილზე არ განხორციელებულა.

პროექტის ყველა დონეზე შეთანხმებისა და საჭირო 900 000 ლარის მოძიების შემდეგ ქუთაისისა და მხარის მთავრობას მადა გაეზარდა. ამდენად, სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის სხვა ტერიტორია შეირჩა. კინოთეატრ "სულიკოს" უკან აღნიშნულ მშენებლობას სამჯერ მეტი თანხა სჭირდებოდა. შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვა 2 მილიონ 700 ათას ლარამდე გაიზარდა. მხარისა და ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელების ურთიერთშეთანხმების შედეგად ქუთაისის ბიუჯეტში ეკონომიკური კლასიფიკაციით გაწერილი 1 მილიონ 225 ათასი ლარი სწორედ სპორტული კომპლექსის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. მშენებლობის დაწყების შემთხვევაში, ინვესტიციის ჩადებას თურქული მხარეც გეგმავდა. ცნობილი თურქი ბიზნესმენი იბრაგიმ ართვინელი ადგილობრივ ხელისუფლებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეხვდა კიდეც. ქუთაისის მაშინდელმა მერის მოვალეობის შემსრულებელმა 2005 წლის მარტის თვეში ტენდერი გამოაცხადა ქუთაისში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლის გამოსავლენად. მაგრამ ქუთაისის მთავრობაში მოულოდნელად განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა ტენდერიც შეაჩერა და სპორტული კომპლექსის მშენებლობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა.



*სპორტული კომპლექსის მაკეტი, რომელიც ახლა მხოლოდ არქიტექტორის კოლექციას დაამშვენებს.*

**"ამ პროექტის განხორციელება იმ თანხით, რაც არის დასახელებული, წარმოუდგენელია. 67-68 დოლარადაა შეფასებული კვადრატული მეტრის მშენებლობა, რაც აბსურდია. ასევე, გამოყოფილ ნაგებობაზე ამ კომპლექსის დაშენება არ შეიძლება, რადგან კოროზიულია",** - ეს ბესიკ გულორდავას ერთ-ერთი პირველი განცხადებაა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შემდეგ. ამ განცხადებას ქუთაისის ახალი მთავრობის განსხვავებული ხედვა და გადაწყვეტილება მოჰყვა. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქუთაისის ბიუჯეტში გეწაძისა და გიორგაძის შეთანხმების შედეგად გაწერილი 1 მილიონ 225 ათასი ლარი, რომელიც სპორტული კომპლექსის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, დამატებით გზებისა და ფასადების შესაკეთებლად მიემართათ. გულორდავას თქმით, იგივე ბედი უნდა გაეზიარებინა პრეზიდენტის შემოწირულ 900 000 ლარსაც, მხოლოდ ამისთვის შემომწირავის, ანუ პრეზიდენტის თანხმობა იყო საჭირო. ასევე, საჭირო იყო სამხარეო ადმინისტრაციის დაყოლიება, რადგან თანხა რწმუნებულის ფონდის ანგარიშზე ირიცხებოდა. მაგრამ სამხარეო ადმინისტრაციასა და ქუთაისის მერიას შორის არსებული დაპირისპირება პრაქტიკულად წარმოუდგენელს ხდიდა ამ შეთანხმების მიღწევას. სავარაუდოდ, ეს შეთანხმება არც შედგებოდა, რომ არა პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტი ქუთაისში. როგორც ჩანს, სააკაშვილისთვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა რამდენიმე შეღებილი შენობის მონახულება და როცა პრეზიდენტმა შეუღებავ შენობებთანაც ჩაიარა, ადგილობრივ ხელისუფლებას ურჩია: **"კარგი იქნება, თუ ეს ბინებიც გაიღებება კარგ ფერებშიო".** სწორედ მაშინ პრეზიდენტს მისგან რამდენიმე თვის წინ ნაწყალობევი 900 000 ლარი შეახსენეს. სააკაშვილმაც არ დააყოვნა და გადაწყდა, რომ ამ თანხიდან 570 000 ლარს იმერეთის რაიონები გაინაწილებენ, 330 000 ლარი კი ქუთაისში რამდენიმე ფასადის გადაღებვას მოხმარდება.

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც მხარეში უკანასკნელი ათწლეულის ყველა პირველი პირის პირველი მოადგილე გახლდათ, მხოლოდ დღეს ამბობს, რომ წარმოდგენილი პროექტით სპორტული კომპლექსის მშენებლობა ქუთაისში შეუძლებელი იყო.

**"ლიტოფონის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის აშენება წარმოუდგენელი იყო და როცა სხვა ტერიტორია შეირჩა, ხარჯთაღრიცხვა 2 მილიონ 700 ათას ლარზე ავიდა, რისი საშუალებაც ჩვენ არ გვქონდა",** - აცხადებს ზურაბ ქაჯაია.

მხარისა და ქალაქის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ქუთაისი სპორტული კომპლექსის გარეშე არ დარჩება. ქაჯაიას თქმით, პრეზიდენტი მას ქუთაისისთვის 350 000 დოლარიანი მოდულის გადაცემას დაჰპირდა. საქართველოს მთავრობა მთლიანობაში სპორტული მოედნების ათი მოდულის მიღებას 2006 წლის დასაწყისისთვის ელოდება. ერთ-ერთი მათგანი, დაპირების თანახმად, ქუთაისში უნდა განთავსდეს, მანამდე კი შესაბამისი ტერიტორია უნდა შეირჩეს. ამასობაში ქუთაისის მერია შპს "ქუთაისის სპორტული კომპლექსის" საწესდებო კაპიტალში დაბანდებული ქონების გაყიდვასაც გეგმავს. "ქუთაისის სპორტული კომპლექსის" თანამოწილე "სარანგის" მიერ ამ ქონების მოვლა-პატრონობისთვის გაწეული დანახარჯი კი უკვე 12 000 ლარს შეადგენს.

*მაია მეცხვარიშვილი*
*ქუთაისიდან*

# ლაგოდეხელებს გარეთ გასვლის ეშინიათ

## ექსპერტებმა მალარიის გავრცელების საშიშროება ადგილზე შეისწავლეს

*სტიქიით დაზარალებულ ლაგოდეხის რაიონს, უამინდობის გარდა, მალარიის საშიშროებაც ემუქრება. რეალური მდგომარეობის შესასწავლად რაიონს დაავადების კონტროლის ეროვნული ცენტრისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ესტუმრნენ.*

ირმა კახურაშვილი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის განცხადებით, მალარიის შემთხვევების დიდი ნაწილი, ძირითადად, საქართველოს ორ რეგიონზე - კახეთსა და ქვემო ქართლზე მოდის. შემთხვევათა რაოდენობის მიხედვით, შარშან სიღნაღის რაიონი ლიდერობდა, ლაგოდეხში კი სულ 29 შემთხვევა დაფიქსირდა. წელს სტიქიამ ამ რაიონში მალარიასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო გაამწვავა, რადგან გადაუღებელი წვიმების შემდეგ, ამ დაავადების გავრცელების არეალიც გაფართოვდა.

ლაგოდეხელები ჩივიან, რომ კოღოების სიმრავლის გამო საღამოობით გარეთ გასვლა შეუძლებელია. ჭიაურის ტყეში საგრძნობლად გაიზარდა წყლის დონე. ამჟამად წყალი 8 ათას ჰექტარზეა გაშლილი. რაიონის გამგებლის, თამაზ გოძიაშვილის ინფორმაციით, მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია და, სავარაუდოდ, ისინი ზაფხულის ბოლომდე გადაიდება.

პაატა იმნაძის თქმით, რამდენადაც ლაგოდეხში მდგომარეობა გართულდა, რაიონში უცხოელი და ქართველი ექსპერტების ჯგუფი გაემგზავრა. მათ ადგილზე შეისწავლეს ჭიათურას ტყეში არსებული მდგომარეობა.

**"ეს ადგილი მალარიოგენური ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა არ წვიმდა. მას შემდეგ, რაც ტყე გაიჩეხა, კოღოებმაც იმრავლეს. ჩვენმა ექსპერტებმა ადგილზევე შეისწავლეს სიტუაცია, კოღოების ნაირსახეობანი და მათი რაოდენობა. თუმცა, ანალიზების შედეგები ჯერ უცნობია. ვიმედოვნებთ, რომ მალარიის კონტროლის პროგრამის გამართული მუშაობის შედეგად წელს ამ რეგიონში შემთხვევები ნაკლები იქნება. წინასწარი პროგნოზით, მალარია კახეთს შეუტევს. თუმცა, კატასტროფულ შედეგებს არც იქ ველით,"** - აღნიშნა პაატა იმნაძემ. მისივე თქმით, საქართველოში მალარია ე.წ. "მამაკაცურ" დაავადებად რჩება იმ მიზეზის გამო, რომ მალარიის გადამტანები დასახლებულ პუნქტებში ნაკლებად გვხვდებიან, რადგან ძირითადად, სოფლებიდან მოშორებით, სამუშაო ადგილებზე არიან ლოკალიზებული.

რაც შეეხება ლაგოდეხს, აქ კოღოს ჩქარ გამრავლებას ბუნებრივი პირობები - ტენიანობა და სითბო უწყობს ხელს. სწორედ ამ მიზეზით, თბილისელებს მალარია ნაკლებად ემუქრებათ (წელს აქ მხოლოდ 4 შემთხვევა გამოვლინდა). დაავადების გადამტანი კოღო დედაქალაქის სარდაფებშიც კი არ ბუდობს.

წელს ლაგოდეხის რეგიონში მალარიის სამი შემთხვევა დაფიქსირდა. სპეციალისტების განცხადებით, ეს შარშანდელი რეციდივებია, რომლებიც მხოლოდ წელს გამოვლინდა. ჯერჯერობით, ყველაზე მეტი შემთხვევა მარნეულშია დაფიქსირებული. კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური პროგნოზის მიუხედავად, მალარია ერთ-ერთ ყველაზე "გავრცელებად" დაავადებად რჩება - ერთ ადამიანს 100-ის დაავადება შეუძლია.

# ვეტერანები თავდაცვის სამინისტროს ადანაშაულებენ

ირმა კახურაშვილი

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირი" თავდაცვის სამინისტროს უმოქმედობაში ადანაშაულებს - არაერთი ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტრო არ ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელიც ვეტერანების ყალბი მოწმობების გაცემის საკითხს გამოიძიებდა. ვეტერანების მიერ გამოთქმული მეორე პრეტენზია კი ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს ეხება, რომელიც სამედიცინო მომსახურებისთვის გათვალისწინებულ 400 ათასი ლარს არ გასცემს.

**"თავდაცვის სამინისტროს 15 წერილით მივმართეთ, მაგრამ ყველა რეაგირების გარეშე დარჩა. ყალბი საბუთები ახლაც ინტენსიურად გაიცემა და, ჩვენს გარდა, ამით არავინ ინტერესდება. ვეტერანების აღრიცხვის პროცესში დადასტურდა, რომ უამრავი ერთი და იგივე ნომრის მქონე სხვადასხვა რიცხვით დათარიღებული ბრძანება რამდენიმეჯერ არის გაცემული. აღარაფერს ვიტყვით 16 ათას ხანდაზმულ ქალბატონზე, რომლებიც აფხაზეთის ომის დროს 70 წელს იყვნენ გადაცილებულნი და ვეტერანების საბუთებით სარგებლობდნენ. ეს "ტრადიცია" ახლაც გრძელდება,"** - განაცხადა ვეტერანების საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, დაეცა ყალბი საბუთების ფასიც - 300 დოლარიდან 150 დოლარამდე.

ვეტერანების საქმეების საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის ირაკლი გადალიას ინფორმაციით, ყალბ საბუთებს თავდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილება გასცემს. ამის გამო სახელმწიფო, რომელსაც ერთი ვეტერანის შენახვა 500-1000 ლარი უჯდება, დაახლოებით 40 მილიონი დოლარით ზარალობს. ბოლო თვეების განმავლობაში ჩატარებულმა აღრიცხვამ აჩვენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში - 22 ათასის ნაცვლად, 5 ათასი, შინაგან ჯარში - 7 ათასის ნაცვლად, 1200, უშიშროებაში - 1500-ის ნაცვლად, 250 ვეტერანი ყოფილა. თავდაცვის სამინისტროს უმოქმედობის გამო ჭიანურდება დანარჩენ ვეტერანთა აღრიცხვაც. მომავალში დეპარტამენტის ხელმძღვანელობა საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს.

პრეზიდენტისთვის განკუთვნილ მიმართვაში, შესაძლებელია, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურისადმი გამოთქმული პრეტენზიაც მოხვდეს. **"ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიის გადაწყვეტილებით, წელს ვეტერანებისთვის 400 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა თვალით არავის უნახავს. არადა, ყოველდღიურად დახმარებას ასობით ვეტერანი გვთხოვს. როგორც ჩანს, საქალაქო სამსახური თავის ზემდგომებს არ ემორჩილება, ჩვენ კი პრობლემები გვექმნება,"** - აცხადებენ დეპარტამენტში.

## კ ო ნ კ უ რ ს ი
## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

2004 წლის 21 დეკემბრის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნის განსახორციელებლად, თსუ-ის რექტორის 2005 წლის 20 ივნისის N97 ბრძანებით, იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცხადდა კონკურსი შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

პროფესორი (15 თანამდებობა), ასოცირებული პროფესორი (37) და ასისტენტ-პროფესორი (53).

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია პირადი მონაცემების წარმოდგენა (თსუ-ის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ფორმულარის შევსება) და ცალკეული საგნის წაკითხვაზე გამოცხადებული კონკურსის წარმატებით გავლა. პირი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ლექციების წასაკითხად საათობრივი ანაზღაურებით.

თსუ-ის აკადემიური თანამდებობის პირს ეკრძალება აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უფლება აქვს კითხულობდეს ლექციებს მხოლოდ თსუ-დან მიწვეული აკადემიური თანამდებობის პირის სტატუსით.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად არ არის აუცილებელი საგნის პროგრამის წარმოდგენა. მისი თანამდებობაზე დანიშვნისათვის აუცილებელია შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორის წარდგინება.

კონკურსი ცხადდება საბაზისო სწავლების, სპეციალიზაციისა და სამაგისტრო პროგრამების საგნების წაკითხვაზე. საკონკურსო განაცხადის წარმოდგენისას უნდა იქნეს მითითებული: საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, საგნის მოსმენის წინაპირობა (თუ არსებობს), ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და თანერთვოდეს საგნის გეგმა თითოულ ლექციაზე წასაკითხი მასალის მითითებით.

პროფესორი ვალდებულია კითხულობდეს 4, ასოცირებული პროფესორი 6 და ასისტენტ-პროფესორი 10 საათს.

პროფესორის ანაზღაურებაა 320 ლარი, ასოცირებული პროფესორის - 256 ლარი (პროფესორის ხელფასის 80%), ასისტენტ პროფესორის - 192 ლარი (პროფესორის ხელფასის 60%). მოწვეული სპეციალისტის საათობრივი ანაზღაურება იქნება საათში 5 ან 10 ლარი აკადემიური ხარისხისა და სტაჟის მიხედვით.

პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი 2 წლის ვადით. კონკურსში გამარჯვებული პირი, რომელიც კონკურსის გამოცხადებამდე არჩეული იყო კათედრის გამგის თანამდებობაზე, გადაყვანილი იქნება პროფესორის თანამდებობაზე კათედრის გამგის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა.

კონკურსი გამოცხადდა 20 ივნისს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 30 ივლისი, კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 20 აგვისტოს.

*დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: იურიდიული ფაკულტეტის დეკანატს, ჭავჭავაძის გამზირი 3, თსუ-ის II კორპუსის მარცხენა ფლიგელი.*

# ერაყი მსოფლიოს დახმარებას სთხოვს

*22 ივნისს ბრიუსელში ერაყისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამიტი გაიხსნა. 80-მდე ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობენ - გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც. აღნიშნული კონფერენცია ერაყს საშუალებას მისცემს, ქვეყნის აღსადგენად საერთაშორისო დახმარება მიიღოს.*

ბრუსელში ერაყის საკითხისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ერაყის ხელისუფლება, ქვეყნის აღდგენის თხოვნით, სხვადასხვა სახელმწიფოთა ლიდერებს მიმართავს. ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰოშიარ ზებარის თქმით, სასურველია, საერთაშორისო საზოგადოებამ ერაყში არსებულ პრობლემათა მოგვარებაში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად პოსტსადამისეულ ერაყში კორუფცია რჩება. ერაყის პარლამენტის ვიცე-სპიკერის ჰუსეინ შარისტანის განცხადებით, ქვეყანაში კორუფციამ საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია, ის მაღალჩინოსნები კი, რომლებიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას უდგანან სათავეში, თავად იღებენ ქრთამს. მსგავს ქმედებებში შემჩნეული რამდენიმე მაღალჩინოსანი უკვე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. განიხილება სხვა მოხელეთა საკითხიც.

ბრიუსელის კონფერენციაზე ერაყის საკითხთა განხილვაში 80 ქვეყანა მონაწილეობდა. გარდა



*რამდენად გულუხვი იქნება მსოფლიო ერაყის მიმართ, ჯერ უცნობია.*

ამისა, კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო ორგანიზაციებიც - კონფერენციას ესწრებოდა გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი, ევროკავშირის კოორდინატორი საგარეო პოლიტიკაში ხავიერ სოლანა და სხვა გავლენიანი პირები. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში ერაყელებთან ერთად მოქცეული იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც.

კონფერენციის ფარგლებში, აშშ-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებს დაგეგმილი აქვთ ერაყის კრედიტორებს აღნიშნული ქვეყნისთვის ვალების სრული ან ნაწილობრივი ჩამოწერის თხოვნით მიმართონ. შეხვედრას ერაყის მეზობელი ქვეყნების, კერძოდ - სირიის, ირანისა და კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრებიც დაესწრებიან. ეს გარემოება ხელსაყრელი იქნება ერაყისთვის თავის მეზობლებთან ურთიერთობათა გაუმჯობესების თვალსაზრისით. სავარაუდოდ, კონფერენციაზე აღნიშნულ ქვეყნებს ერაყის ახალი ხელისუფლების ოფიციალურ აღიარებასა და მათი ტერიტორიებიდან მეზობელ სახელმწიფოში ექსტრემისტთა გადასვლის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღებას მოსთხოვენ.

ბრიუსელის კონფერენცია ერაყის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის ფონზე, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ჩატარებაში საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვოს; ხოლო ევროპელებისა და ამერიკელებისთვის აღნიშნული შეხვედრა, რომელიც ჯერ კიდევ 2005 წლის დასაწყისში ბრიუსელში ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს დაიგეგმა, შესანიშნავი საშუალება იქნება იმისა, რომ დანარჩენ მსოფლიოს აგრძნობინონ - ერაყის საკითხზე უთანხმოება აღარ არსებობს.

ერაყის აღდგენისათვის გამოყოფილი თანხის უდიდესი ნაწილი ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იხარჯება. **"ერაყის აღდგენა დიდ თანხებთან დაკავშირებული საშიში პროცესია. თვით ის ნავთობკომპანიები, რომლებიც ხშირად არასტაბილურ რეგიონებში მოქმედებენ, ერაყში მუშაობაზე უარს ამბობენ",** - აღნიშნა ერაყის აღდგენის პროგრამის პასუხისმგებელმა პირმა უილიამ ტეილორმა. მისივე თქმით, გასული წლის აპრილიდან ერაყში ასობით ადამიანი იქნა მოკლული. დაღუპულთა შორის ერაყში მოქმედი აშშ-ს კომპანიათა თანამშრომლებიც არიან. ტეილორმა აღნიშნა, რომ დიდი დრო გავა იქამდე, ვიდრე ერაყის მოქალაქენი ყველა კომუნალური საშუალებით შეძლებენ სარგებლობას. გაერო-ს მიერ მაისში გამოქვეყნებული ოქმის თანახმად, ერაყში ცხოვრების დონე საკმაოდ დაქვეითებულია. ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს აქვს საშუალება, ისარგებლოს სუფთა სასმელი წყლით და საცხოვრებელ სახლთა მხოლოდ ერთი მესამედია დაკავშირებული კანალიზაციასთან.

საგულისხმოა, რომ გუშინდელ შეხვედრაზე ერაყისთვის გასაწევი ფინანსური დახმარების მოცულობაზე აღარ უმსჯელიათ. სავარაუდოდ, ამ მტკივნეულ საკითხს ივლისში, იორდანიაში დაგეგმილ შეხვედრაზე დაუბრუნდებიან. სწორედ იქ გადაწყდება, თუ რომელი ქვეყანა რა წვლილს შეიტანს დანგრეული ქვეყნის აღორძინებაში. შესაბამისად, ისიც გაირკვევა, ანტიერაყულ კოალიციაში შემავალ ქვეყნებთან ერთად ვინ ისარგებლებს ერაყის "შავი ოქროს" საბადოებით.

# ევროსაბჭო: რუსეთი ვალდებულებებს არ ასრულებს

პირველი გვერდიდან

ევროსაბჭოში გაწევრიანებისას რუსეთის ფედერაციამ (ისევე, როგორც სხვა ახლად გაწევრიანებულმა ქვეყნებმა) გარკვეული ვალდებულებების შესრულება იკისრა. მას შემდეგ ამ ვალდებულებების შესრულებაზე ევროსაბჭო ყოველწლიურ მონიტორინგს აწარმოებს. გუშინაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე რუსეთის მიერ ვალდებულებების შესრულება განიხილებოდა - წარმოდგენილი იყო მოხსენება რუსეთში დემოკრატიის თაობაზე. პასე-ს მონიტორინგის კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთს ჯერ არ შეუსრულებია ევროსაბჭოს წინაშე მთელი რიგი ვალდებულებები. **"რუსეთი არ წარმოადგენს თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოს, რადგანაც მას არ ჩაუტარებია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები,"** - განაცხადა მოხსენების ერთ-ერთმა ავტორმა დევიდ ეტკინსონმა.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ "უშიშროების ფედერალური სამსახურის საქმიანობა არ ჯდება ევროპულ სტანდარტებში"; რომ რუსეთის არმიაში ჯერ კიდევ "დედოვშინაა" გამეფებული, რის გამოც, ყოველწლიურად ასობით ახალწვეული ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით. გარდა ამისა, პასე შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთს დღემდე არ მოუხდენია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ პროტოკოლის რატიფიცირება. მოკლედ, ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ შეუსრულებელი ვალდებულებები გაცილებით მეტია, ვიდრე - შესრულებული.

მეორე მომხსენებელი რუსეთისთვის უკვე კარგად "ნაცნობი" რუდოლფ ბინდიგი (ეს გერმანელი პარლამენტარი არაერთხელ ყოფილა რუსეთში ადამიანის უფლებების შესახებ მომხსენებელი), რუსეთს, ძირითადად, ჩეჩნეთში არსებული ვითარების გამო აკრიტიკებდა. **"აუცილებელია ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ გამოძიების ჩატარება და დამნაშავეთა დასჯა,"** - აცხადებს გერმანელი სოციალისტი.

ევროსაბჭოს ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ 112-გვერდიან მოხსენებაში რუსეთის მიმართ 439 პრეტენზიაა წამოყენებული - კერძოდ, დოკუმენტის ავტორები აკრიტიკებენ ვლადიმირ პუტინს რეგიონის მმართველთა პირდაპირი არჩევნების გაუქმების გამო; ისევე, როგორც უკმაყოფილებას გამოთქვამენ სახელმწიფო სათათბიროში მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების თაობაზე.

მოხსენებაში, ბუნებრივია, ერთ-ერთ მთავარ საკითხად მოხვდა "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკის სასამართლო პროცესი. მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ პროცესმა რუსეთში სასამართლოს დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დააყენა. გარდა ამისა, უცხოელ დამკვირვებლებს სერიოზულად აშფოთებთ სიტყვის თავისუფლების (განსაკუთრებით, ტელეეთერიდან ნათქვამის) ბედი რუსეთში.

მონიტორინგის კომიტეტის მოხსენებაში სპეციალურად არის აღნიშნული, რომ რუსეთი არ ასრულებს თავის სხვა ვალდებულებებსაც - კერძოდ, არ გამოჰყავს ჯარი დნესტრისპირეთიდან, უკანონოდ გასცემს პასპორტებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებზე.

ერთადერთი ნათელი წერტილი მოხსენებაში რუსეთის პენიტენციური სისტემის რეფორმირებას შეეხება; კერძოდ, მონიტორინგის კომიტეტი კმაყოფილია, რომ "ლეფორტოვოს" იზოლატორი უშიშროების ფედერალური სამსახურის დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს კონტროლქვეშ გადავიდა.

**"შთაბეჭდილება გვრჩება, რომ რუსეთის პრეზიდენტი ძალაუფლების გაზრდის მიმართულებით მიდის. აქედან გამომდინარე, შეშფოთებას იწვევს ის, რომ მისი (პუტინის) იდეა ე.წ. "მართვადი დემოკრატიის" დამყარებაზე არანაირად არ შეესაბამება იმ ქვეყნების პრინციპებსა და სტანდარტებს, სადაც კანონის უზენაესობა და ძალაუფლების დანაწილების პრინციპი მოქმედებს,"** - განაცხადა რუდოლფ ბინდიგმა.

რა გასაკვირია, რომ რუსეთის დელეგაციამ უკმაყოფილება გამოთქვა პასე-ს მხრიდან კრიტიკაზე. დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, კონსტანტინ კოსაჩევმა განაცხადა, რომ პასე-ს კრიტიკაში გათვალისწინებული არ არის "ადგილობრივი სპეციფიკა". ბატონი კოსაჩევის აზრით, რუსული "დემოკრატია" განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა.

საგულისხმოა, რომ წინა დღეს რუსეთს უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვის მხარდაჭერისთვისაც უსაყვედურეს.

# "ნარინჯისფერი რევოლუციის" ლიდერი საფრანგეთთან კავშირებს აღრმავებს

*უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მიიღო. ეს ვიქტორ იუშენკოს პირველი ოფიციალური ვიზიტია პარიზში. შეხვედრაზე პრეზიდენტები განიხილავდნენ საფრანგეთ-უკრაინის ორმხრივ ურთიერთობებს, თანამშრომლობას ენერგეტიკისა და ვაჭრობის სფეროში.*


*პოსტსაბჭოთა სივრცეში მეორე ხავერდოვანი რევოლუციის ლიდერი ზედმიწევნით იმეორებს პირველის "ევროპულ" ნაბიჯებს.*

თიკო მაჭარაშვილი

პრეზიდენტ ჟაკ შირაკისა და ვიქტორ იუშენკოს შეხვედრის მთავარი მიზანია საფრანგეთსა და უკრაინას შორის ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული ურთიერთობების ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი იუშენკო საუბრობს ორ ქვეყანას შორის არსებულ დიდი ხნის ურთიერთობებზე, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა, როცა საფრანგეთის მეფემ ცოლად შეირთო კიევის პრინცესა ანნა, "ნარინჯისფერი რევოლუციის გმირი" იმასაც აღნიშნავს, რომ საფრანგეთ-უკრაინის ორმხრივი ურთიერთობები შესუსტებულია. ექვსი წელია, რაც უკრაინის სახელმწიფოს მეთაური ოფიციალურ ვიზიტად არ ჩასულა საფრანგეთში. ამჯერად პრეზიდენტ იუშენკოს პარიზში ჩასვლამდე ერთი კვირით ადრე უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო სტუმრობდა საფრანგეთს.

ბუნებრივია, საფრანგეთისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ თემად ევროკავშირში უკრაინის ინტეგრირების საკითხი განიხილებოდა. ვიქტორ იუშენკო იმედოვნებს, რომ 2007 წლიდან დაიწყება მოლაპარაკებები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ევროპულ კავშირში შესვლის თაობაზე.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ოფიციალური კიევის "ამბიციური" განცხადებაა - უკრაინას სურს, გაამრავალფეროვნოს ენერგომომარაგების სფერო, რაც საშუალებას მისცემს, არ იყოს მთლიანად დამოკიდებული რუსეთზე. რუსულ ნავთობზე ფასის გაზრდით რუსეთი უახლოვდება მსოფლიო ტარიფებს, რაც უკრაინას საშუალებას აძლევს, ნავთობმომარაგება ყაზახეთიდან და აზერბაიჯანიდან აწარმოოს. ამით კი მცირდება უკრაინის მჭიდრო დამოკიდებულება რუსეთზე. დღეს ნავთობის - 90 და გაზის 80 პროცენტი უკრაინას რუსეთიდან მიეწოდება.

**"რუსეთი ჩვენი პარტნიორია, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში მოვაგვაროთ ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი"**, - განაცხადა გასულ კვირას უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ. უკრაინის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიამ და "გაზ დე ფრანს"-მა უკვე შეიმუშავეს ახალი გაზსადენის მშენებლობის პროექტი. ამ გაზსადენით უკრაინა ირანულ გაზს შავი ზღვის გავლით მიიღებს.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტი შეეცდება, მიიზიდოს ფრანგი ინვესტორები. აღსანიშნავია, რომ 1991-2005 წ.წ. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ 8,35 მლრდ დოლარს შეადგენდა.

დემოკრატიზაცია და გამჭვირვალობა, ამ ორ სიტყვას ხშირად იმეორებდა უკრაინის პრეზიდენტი. **"დემოკრატიზაცია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, მომგებიანია,** - აღნიშნა ვიქტორ იუშენკომ,- **რადგან მის საფუძველზე იქმნება კონკურენტუნარიანი ბაზარი".**

**"რევოლუციის დამთავრებისთანავე მივხვდი, რომ მოსახლეობა სწრაფ ცვლილებებს ელოდა. უკრაინელებს სურდათ, რომ მეორე დღესვე უკეთესობისკენ შეცვლილიყო ყველაფერი"**, - განაცხადა პრეზიდენტმა იუშენკომ. სამი ძირითადი საკითხი - პრიორიტეტული სოციალური პროგრამები, სტრუქტურული რეფორმები და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეცვლა - წარმოადგენდა მის საპრეზიდენტო პროგრამას. **"18000 სახელმწიფო მოხელის გათავისუფლებით დავიწყეთ ხელისუფლების სურათის შეცვლა - ახალი უკრაინის ასაშენებლად ახალი ადამიანები გვესაჭიროებოდა"**, - განმარტავს პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო. რაც შეეხება მეორე საკითხს, ბიუჯეტში შეტანილ იქნა "ამბიციური" სიახლეები: სერიოზულად გაიზარდა პენსიები (50 პროცენტით), მარტოხელა დედებს მოემატათ დახმარება, ექიმებსა და სამხედრო პირებს გაეზარდათ ხელფასი. **"უკრაინის ისტორიაში ეს ყველაზე სოციალური ბიუჯეტია, ვფიქრობ, რომ დღეს უკრაინაში ვერ ნახავთ უკმაყოფილო პენსიონერს, მაშინ, როცა ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ ქვეყანათა შორის უკრაინაში ყველაზე დაბალი პენსიები იყო"**, - ამტკიცებს უკრაინის პრეზიდენტი.

პრეზიდენტ შირაკთან ვიზიტის შემდეგ ვიქტორ იუშენკო სენლისში უკრაინულ დიასპორას ხვდებოდა და ახლა უკვე მათ არწმუნებდა ახალი უკრაინის "მშვენიერ" მომავალში.

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
# განცხადება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლისა და "მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის N176 ბრძანებულების მე-13 მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ქუთაისის საოლქო სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 2. | თბილისის საოლქო სასამართლო | 4 | საშტატო ერთეული |
| 3. | თბილისის საქალაქო სასამართლო | 19 | საშტატო ერთეული |
| 4. | აბაშის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 5. | ადიგენის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 6. | ბაღდათის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 7. | გარდაბნის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 8. | გორის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 9. | თელავის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 10. | თიანეთის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 11. | ლაგოდეხის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 12. | მარნეულის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 13. | საჩხერის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 14. | ჩოხატაურის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 15. | ჩხოროწყუს რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 16. | წალენჯიხის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 17. | წალკის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 18. | რუსთავის საქალაქო სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 19. | ფოთის საქალაქო სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 20. | ბათუმის საქალაქო სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 21. | სოხუმის საქალაქო და სოხუმის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 22. | აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლო | 6 | საშტატო ერთეული |
| 23. | გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 24. | გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლო | 3 | საშტატო ერთეული |
| 25. | ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 26. | აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლო | 3 | საშტატო ერთეული |
| 27. | ქობულეთის რაიონული სასამართლო | 2 | საშტატო ერთეული |
| 28. | ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |
| 29. | ხულოს რაიონული სასამართლო | 1 | საშტატო ერთეული |

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 2005 წლის 22 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, 1100-დან 1600 საათამდე.

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტური ადგილის მითითებით (შეივსება ადგილზე);
ბ) ავტობიოგრაფია;
გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;
დ) საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;
ე) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N 27);
ვ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
თ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ი) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
კ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ.

შენიშვნა: კანდიდატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2005 წლის მაისის თვეში გამოცხადებულ მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში, წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში:

**ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. N12**
**ტელეფონი:** *27-31-00, 27-31-03, 27-31-04, 27-31-05, 27-31-06, 27-31-07, 27-31-08*

## ყირგიზეთის ეროვნული ბანკი გოცირიძის წერილს გამოეხმაურა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ 21 ივნისს მიიღო ყირგიზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის ულან სარბანოვის წერილი, რომელშიც ყირგიზი კოლეგა საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს ადასტურებს. ულან სარბანოვი ჰპირდება საქართველოს ხელისუფლებას, რომ "აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო სტრუქტურებთან ყირგიზეთის კომერციული საბანკო დაწესებულებების უკანონო თანამშრომლობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევას მკაცრი რეაგირება მოჰყვება."

ყირგიზეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ულან სარბანოვმა, წერილში საკითხის დეტალურად შესწავლისა და ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მისი დაუყოვნებლივ აღკვეთის პირობა დადო.

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის ცალკეული ბანკების მსგავსად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო სტრუქტურებთან ყირგიზეთის ერთ-ერთი კომერციული საბანკო დაწესებულების თანამშრომლობასაც ჰქონდა ადგილი. ყირგიზეთის ხელისუფლების ინფორმირების და მათი ბანკების აფხაზურ სტრუქტურებთან შესაძლო უკანონო თანამშრომლობის აღკვეთის მიზნით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ მიმდინარე წლის მაისში ყირგიზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს ოფიციალური წერილი გაუგზავნა.

**24 საათი**

### მოკლედ

#### კომპანია "მეგაკომი" საქართველოში მესამე თაობის მობილური ქსელების დანერგვას გეგმავს

კომპანია "მეგაკომი" საქართველოში ახალი - მესამე თაობის მობილური ქსელების დანერგვას გეგმავს. ახალი, CDMA-2000 ქსელის დანერგვა, სავარაუდოდ, 10 თვეში მოხდება. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკა-მოწყობილობების მომწოდებელი კომპანიის შერჩევა. აღსანიშნავია, რომ მესამე თაობის მობილურ ქსელში ჩასართავად ქართველ მომხმარებელს ახალი, CDMA-ის ტიპის მობილური სატელეფონო აპარატების შეძენა მოუწევს, რადგან ამ ქსელში ჩართვა ჩვეულებრივი მობილური აპარატებით შეუძლებელი იქნება. აღსანიშნავია, რომ კომპანია "მეგაკომი" იქნება ფიჭური ქსელის პირველი კომპანია, რომელიც ამ სისტემას საქართველოში დანერგავს. აღსანიშნავია, რომ კომპანია "მეგაკომს" გასულ წელს სიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ვადა გაუვიდა. აღნიშნული ლიცენზიით სარგებლობის ვადა მას ათი წლით ჰქონდა განსაზღვრული. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მიმდინარე წლის 3 მაისს "მეგაკომს" ლიცენზიის მოქმედების ვადა 2013 წლამდე გაუგრძელეს. ლიცენზიით "მეგაკომი" თავის საქმიანობას 800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში განახორციელებს, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ლიცენზიის გაგრძელებისათვის კომპანიამ 435 ათასი დოლარი გადაიხადა.

კომპანია "მეგაკომმა", რომელიც 1995 წლიდან აშშ-ს კერძო პირის 100-პროცენტიან საკუთრებაში იმყოფებოდა, მფლობელი შეიცვალა. 2005 წლის იანვარში კომპანია მთლიანად რუსულ-ქართული ჰოლდინგის GMC ჯგუფის მფლობელობაში გადავიდა. ჰოლდინგი GMC უკვე ათი წელია საქართველოში, უკრაინაში და რუსეთში ნავთობისა და რესტორნების ბიზნესში საქმიანობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### სოსო ცისკარიშვილი: "ჭიათურმანგანუმით" სერიოზული ინვესტორი არ დაინტერესდება

"ჭიათურმანგანუმის" ამჟამინდელი ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და კომპანიით არც ერთი სერიოზული ინვესტორი არ დაინტერესდება. აქედან გამომდინარე, "ევრაზჰოლდინგის" გადაწყვეტილებაც, რომელმაც კომპანიის ყიდვა გადაიფიქრა, ბუნებრივია, - მიაჩნია ეკონომიკის ექსპერტს, სოსო ცისკარიშვილს.

"ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის პროცესს ვინც იცნობს, მას პრივატიზაციას ვერავინ უწოდებს," - განაცხადა მან.

ექსპერტის აზრით, ინვესტორის უარი, შესაძლოა, იმ პირობების შეუსრულებლობას უკავშირდებოდეს, რომელიც საქართველოს მთავრობამ აიღო და რომელიც დოკუმენტურად არ გაფორმებულა.

როგორც ცისკარიშვილმა აღნიშნა, ინვესტორ კომპანიას იმ სამი მაღაროს მიყიდვას უპირებდნენ, რომლებშიც ამოწურულია მარაგები, გასარემონტებელია და მათი ექსპლუატაციაში შეყვანა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მოსაგვარებელი იყო ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემაც.

შეგახსენებთ, რომ "ევრაზჰოლდინგს" "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხეჰესში" 132 მილიონ დოლარი უნდა გადაეხადა. ოფიციალური ინფორმაციით, საგარანტიო თანხა - 20 მილიონი დოლარი მას უკვე გადახდილი აქვს. **მედია-ნიუსი**

#### ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასაყიდად 9 ობიექტს გამოიტანს

დღეს, 23 ივნისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 9 გასაყიდი ობიექტის პრეზენტაციას მოაწყობს, რომელთა შორის ყველაზე ძვირადღირებული თბილისში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 9,079 კვადრატული მეტრის შენობა-ნაგებობებია. აღნიშნული ობიექტის საწყისი ფასი 1 200 000 აშშ დოლარია. სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ ჩოლოყაშვილზე მდებარე სპორტული კომპლექსის, შპს "მონიოს" შეძენის მსურველებსაც, რომლის საწყისი ფასი 250 000 აშშ დოლარით განისაზღვრება. გაცილებით ნაკლები თანხით შეფასდა ისეთი სამრეწველო დანიშნულების ობიექტები, როგორიცაა "შულავერის არამადნეული მასალების ქარხანა" (საწყისი ფასი - 280 000 დოლარი) და სს "ავტომობილისტი" (საწყისი ფასი - 160 000 აშშ დოლარი). ობიექტთა ნუსხაში შედის, აგრეთვე, შპს "მეტალურგპროექტი" (საწყისი ფასი - 60 000 აშშ დოლარი), თბილისში მდებარე შპს "სტამბა" (საწყისი ფასი - 55 000 დოლარი) და ყოფილი სახაზინო საწარმო "კომუნსპეცრემმშენის" ქონება (85 000 დოლარი), საინტერესოა, რომ სს "ჰიდროენერგომონტაჟი", რომელიც ჭავჭავაძის გამზირზე მდებარეობს და რომლის ფართი 990 კვ.მეტრია, შეფასებულია 77 000 დოლარად, მაშინ, როცა გლდანში მდებარე მასზე მცირე ფართობის მქონე (600 კვ მ) შპს "კულტმშენის" საწყისი ფასი 85 000 აშშ დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### ჩეჩელაშვილი ბაქოში გაემგზავრა

ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა გუშინ საგადასახადო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი ვაჟა პეტრიაშვილი თანამშრომლებს წარუდგინა. შემდეგ კი - 16 საათზე, აზერბაიჯანში გაემგზავრა. აზერბაიჯანში მისი ვიზიტი მეზობელი ქვეყნის მიმართ საქართველოს დავალიანების პრობლემების მოგვარებას უკავშირდება.

აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს დავალიანების საერთო მოცულობა 16 მილიონი დოლარია. ვალის დაფარვას ქართული მხარე პროდუქტებით - შაქრითა და ღვინით აპირებს. თავად აზერბაიჯანი კი, საქართველოში შავი ზღვის ერთ-ერთი პორტის პრივატიზებას ითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### საქართველოში 302 ბაზარი და ბაზრობა მუშაობს

სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წლის მაისში საქართველოში ფუნქციონირებდა სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე 302 ბაზარი და ბაზრობა, რომელთა 30 პროცენტი განლაგებულია ქალაქ თბილისში, 25 პროცენტი - იმერეთის, 10 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის, 8 პროცენტი - კახეთის, დანარჩენი - ქვემო ქართლის, აჭარის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. ექსპერტული შეფასებით, 2005 წლის იანვარ-მაისში საქართველოს ბაზრებსა და ბაზრობებზე სასურსათო, სამრეწველო და შერეული საქონლით მოვაჭრე ფიზიკურ პირთა მიერ საცალოდ რეალიზებულია 1,2 მლრ. ლარის ოდენობის სამომხმარებლო საქონელი (0,3 პროცენტით მეტი გასულ წელთან შედარებით). სამომხმარებლო საქონლის 60,6 პროცენტი რეალიზებულია დახლზე მოვაჭრეების მიერ, 32,2 პროცენტი - ბაზრობის საცალო სავაჭრო საწარმოებში (მაღაზიებში, ჯიხურებში), 7,2 პროცენტი - ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეთა მიერ. ბაზრობებზე საცალოდ რეალიზებული საქონლის მოცულობის სამი მეოთხედი არასასურსათო საქონელია, რომლის 43 პროცენტი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სასაქონლო ჯგუფს უკავია; რეალიზებული სასურსათო და უალკოჰოლო საქონლის 41 პროცენტი ხილი და ბოსტნეულია. **მედიანიუსი**

## მთავრობა "ევრაზჰოლდინგის" წასვლით შექმნილ პრობლემებს არ იმჩნევს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება რუსული კომპანია "ევრაზჰოლდინგის" მიერ "ჭიათურმანგანუმის" შესყიდვაზე უარის თქმას, ნოღაიდელს მიაჩნია, რომ აღნიშნული კონტრაქტის ჩაშლა საქართველოს ბიუჯეტზე მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს.

ნოღაიდელის თქმით, აღნიშნული კონტრაქტის ჩაშლაში საქართველოს ხელისუფლებას არანაირი წვლილი არ მიუძღვის და პრობლემები თვითონ "ევრაზჰოლდინგს" შეექმნა.

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესების მეტი გამჭვირვალობის მიზნით, უახლოეს მომავალში ეკონომიკის მინისტრი ლექსო ალექსიშვილი სპეციალურ ბრიფინგს ჩაატარებს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს გააცნობს.

გუშინ ნოღაიდელმა ასევე კიდევ ერთხელ ისაუბრა სტიქიით დაზარალებული რაიონების შესახებ და განაცხადა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა უახლოეს მომავალში სტიქიით დაზარალებული რაიონების ინფრასტრუქტურა აღდგეს.

საერთო ჯამში კი, სახელმწიფო კანცელარიაში, დღის წესრიგის თანახმად, 11 საკითხი განიხილეს. მათ შორის გახლდათ: პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი მშენებლობის პროექტების სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ, ასევე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. დღის წესრიგში შეტანილი გახლდათ ახალქალაქის რაიონში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების, ლიცენზიებისა და ნებართვების საკითხებიც. ასევე - "ტყიბულნახშირის" მაღაროში ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსების, ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ბუნებრივი აირით მომარაგებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების თემებიც.

## რა უნდა MICROSOFT-ს საქართველოში

*2005 წლის ბოლოს, საქართველოს მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, ქართულენოვანი Windows XP-ით ისარგებლოს. საქართველოში, ეს კომპანია Microsoft-ის პირველი პროექტი გახლავთ, რომელიც ქართულ კომპანია UGT-სთან ერთად ხორციელდება. პროექტის პრეზენტაცია გუშინ "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში" გაიმართა.*

ნინო ნარჩემაშვილი



კორპორაცია Microsoft-თან Microsoft Windows XP-ის ქართულენოვანი ლოკალიზაციის პროექტის შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო. 2005 წლის 1 მაისიდან კი UGT-სა და Microsoft-ს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას და პროექტის პირველი ეტაპის განხორციელება დაიწყო, რომელიც 2700 სიტყვის გადათარგმნას მოიცავს. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება 85 ათასი სიტყვისაგან შემდგარი 35 ათასი ფრაზის თარგმნა. სპეციალურად შექმნილი საიტის მეშვეობით, მსურველებს ტერმინების საკუთარი გადმოქართულებული ვერსიის შემოთავაზების საშუალება ექნებათ. ასე რომ, როგორც Microsoft-ის დსთ-ს ქვეყნების პროექტების დირექტორი ჯონ ვაითი აღნიშნავს, **"პროექტის მიმდინარეობა იქნება საჯარო. გადაქართულებული სიტყვები კი საქართველოს განათლების სამინისტროს შეფასებისა და დასტურის შემდეგ Microsoft-ის სათაო ოფისში გადაიგზავნება."** UGT-ს ხელმძღვანელის გიორგი ჭირაქაძის ინფორმაციით, ტერმინებისა და სიტყვების გადმოქართულებისათვის იმუშავებს ფილოლოგების, ქართული ენის ექსპერტებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი. პროექტის მნიშვნელობას კი UGT-ს ხელმძღვანელი ასე განმარტავს - **"გადაილახება ენობრივი ბარიერი ქართველი ბავშვებისათვის, განსაკუთრებით, რეგიონებში. კომპიუტერს უფრო ადვილად აითვისებენ სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული შედარებით ასაკოვანი ადამიანები."**

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ Windows-ის ქართული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება და მისი მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ფულად დანახარჯებთან. ეს იქნება დანამატი პაკეტი, რომლით სარგებლობაც უსასყიდლოდ შეეძლება ყველას, ვინც Microsoft Windows XP-ით სარგებლობს.

## ბენზინსა და დიზელზე ფასი 15-20 თეთრით მოიმატებს

*როგორც მოსალოდნელი იყო, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე შექმნილმა პანიკურმა და დაძაბულმა სიტუაციამ ქართულ ბაზარზეც იქონია გავლენა. საქართველოში ბენზინსა და დიზელზე ფასი 15-20 თეთრით მოიმატებს, - აცხადებს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.*

დიანა ჩაჩუა

**"მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა საქართველოს ბაზარზეც მოახდენს გავლენას, რადგანაც 100 პროცენტით იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი. თუ საერთაშორისო ბაზარზე ფასების ზრდა არ შემცირდება, ნავთობპროდუქტებზე ფასები ადეკვატურად საქართველოშიც გაიზრდება,"** - აცხადებს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი. თუმცა, ამავე დროს, იმის საშიშროება, რომ ბენზინის ფასმა ერთბაშად 2 ლარს მიაღწიოს, ჯერჯერობით არ არსებობს.

**"ამჟამად ქვეყანაში დარჩენილი მარაგები იყიდება და როდესაც ის ამოიწურება, ფასების ზრდა შესამჩნევი მაშინ გახდება,"** - დაამატა ვანო მთვრალაშვილმა.

ნავთობის და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ბაზარზე შექმნილი სიტუაციის შესახებ "24 საათი" პერიოდულად გაწვდით ინფორმაციას. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო პერიოდში ბენზინზე მოთხოვნილება, წინა პერიოდთან შედარებით, 3 პროცენტით, დიზელის საწვავზე კი - 6,5 პროცენტით გაიზარდა. ტრადიციულად, ბენზინსა და დიზელის საწვავზე ფასი განსაკუთრებით ზაფხულში მატულობს, რაც მათზე დიდი მოთხოვნილებითაა განპირობებული.

საწვავზე მზარდი მოთხოვნილების გამო, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების დატვირთვაც გაიზარდა. აშშ-სა და ევროპაში ისინი მთელი (95-პროცენტიანი) დატვირთვით მუშაობენ.

20 ივნისს ნავთობის ფასმა ნიუიორკის სავაჭრო ბირჟაზე, პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, ბარელზე 59 დოლარს გადააჭარბა. 21 ივნისს კი პირველად გაჩნდა იმის საშიშროება, რომ ბარელი ნავთობის ფასი 60-დოლარიან ბარიერს გადააბიჯებს. ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ კომპანია "Forties"-ის ჩრდილოეთ ზღვაში მდებარე ნავთობსაბადო ტექნიკური პრობლემების გამო დაიხურა, ისედაც "ნერვიული" ბაზარი კიდევ უფრო დაძაბა.

**"ბაზარი იმდენად ახლოა ბარელზე 60-დოლარიან ნიშნულთან, რომ ფაქტობრივად, ამ ბარიერის გადასალახად განწირულია. უნდა ვაღიაროთ, რომ ნავთობის მიწოდებაში უმნიშვნელო შეფერხებამ, ან სულაც, ამაზე მინიშნებამაც კი შეიძლება ნავთობის ფასი უსაშველოდ გაზარდოს,"** - მიიჩნევენ საკონსალტინგო ფირმა "Refco"-ს ანალიტიკოსები.

შანსები იმისა, რომ ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაცია (ოპეკი) ბაზრის დახმარებას შეძლებს, თითქმის აღარ არსებობს. მიმდინარე კვირას "ოპეკი"-ს პრეზიდენტმა ახმად-ალ-ფახდ-ალ-საბახმა განაცხადა, რომ თუ ნავთობის ფასები კვლავ მაღალი დარჩება, ხვალ ნავთობის კარტელის ქვეყნებთან დღე-ღამეში ნავთობის მოპოვების 500 ათასი ბარელით გაზრდის შესახებ კონსულტაციებს დაიწყებს.

თუმცა, "ოპეკის" ეს დაპირება ბაზარზე ვერ აისახა. ანალიტიკოსები არ არიან დარწმუნებულნი, რომ მას ნავთობის მოწოდების გაზრდისთვის საკმარისი ტექნიკური საშუალებები გააჩნია.

პესიმისტური სიტუაციის მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკურ კონტექსტში ოპტიმიზმის რიგი საფუძვლები არსებობს, - თვლიან ექსპერტები. ჯერ ერთი, ინფლაციის გათვალისწინებით, ნავთობის ფასები 1980 წელს ირან-ერაყის ომის დაწყების შემდეგ არსებულ მდგომარეობას ჩამორჩება. მეორეც, ინდუსტრიალიზაციის შემცირებამ და მომსახურების სექტორის გაფართოებამ დასავლური ეკონომიკა ნავთობპროდუქტებზე ნაკლებად დამოკიდებული გახადა. საქმე ის არის, რომ მძღოლების მიერ საწვავში გადახდილი თანხიდან ლომის წილი გადასახადების გასტუმრებაზე იხარჯება. ყოველ შემთხვევაში, ასეა ევროპაში. **"ხოლო იმისთვის, რომ ნავთობის ფასი რეალურად აისახოს მძღოლების საფულეებზე, ამას ფასის მნიშვნელოვნად გაზრდა სჭირდება,"** - თვლიან ექსპერტები.

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გავლენა საერთოდ არ არსებობს. როგორც ბენზინით მოვაჭრეთა ასოციაციის წევრმა რეი ხოლლოვეიმ აღნიშნა, არსებული პრობლემები, ნავთობის მაღალი ფასების გარდა, აშშ-ში გადამამუშავებელი სიმძლავრეების სიმცირითაც არის გამოწვეული. ნებისმიერ შემთხვევაში, ბრიტანეთის ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავი რეკორდის მოხსნით "იმუქრება". ექსპერტის შეფასებით, საწვავის ფასები ივლისში კიდევ უფრო მოიმატებს, როცა ამერიკაში მძღოლების სეზონი დაიწყება. რეი ხოლლოვეი ბენზინის ფასების დაცემას სექტემბერში ვარაუდობს.

"Goldman Sachs"-ის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ არსებული პრობლემების შენარჩუნება ბარელი ნავთობის ფასის 100 დოლარამდე გაზრდას გამოიწვევს. ეს შეიძლება მართლაც მოხდეს, თუმცა ნავთობის ბიზნესში ერთი გამონათქვამი არსებობს: მაღალი ფასები ყოველთვის დაბალი ფასებით მთავრდება.

### საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

## საგადასახადო გეგმა გაარღვია

6 თვეში "დახარჯულია" წლის ბიუჯეტის 35,3 პროცენტი

20 ივნისის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 1 მილიარდ 065,9 მლნ ლარი, რაც შემოსავლების გეგმის - 1 მილიარდ 085,2 მლნ ლარის 98 პროცენტია. ამ გეგმის მიხედვით, საგადასახადო დეპარტამენტს შესასრულებელი დარჩა 30 მლნ ლარი და მისაღებია 4,8 მლნ ლარის გრანტი.

აქ აღსანიშნავია, რომ საბაჟო სამსახურმა შემოსავლების გეგმა გადააჭარბა 300 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლებიც 11,7 მლნ ლარის გადაჭარბებით არის შესრულებული, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, მიუხედავად იმისა, რომ "ჭიათურმანგანუმის" ინვესტორს, როგორც ამ დღეებში გაირკვა, ფული გრაფიკის მიხედვით არ აქვს გადახდილი, მაინც 2,8 მლნ ლარით არის გადაჭარბებული, ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად დეფიციტის დაფინანსების წყაროებიდან გამოყენებულია 102,7 მლნ ლარი.

მიუხედავად ამისა, გასულ მონიტორინგშიც ვწერდით, რომ ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა არის სრულიად არარეალური და აბსურდული. კერძოდ, ხარჯების გეგმა, წლის პირველი ნახევრის მიხედვით, არის 1 მილიარდ 497,1 მლნ ლარი (შეგახსენებთ - ეს მაშინ, როცა შემოსავლების გეგმად განსაზღვრულია 1 მილიარდ 85,2 მილიონი ლარი და ამ გეგმის გადაჭარბებაზე გვამცნობს ხოლმე ხელისუფლება ყოველთვიურად). კიდევ უფრო საინტერესო დეტალი: 20 ივნისის მონაცემებით, გაწეულია 987,9 მლნ ლარის ხარჯი, ხოლო ხაზინის ანგარიშზე მობილიზებულია 180,6 მლნ ლარი. ანუ ხარჯების გეგმა რომ შესრულდეს, დარჩენილ 7 სამუშაო დღეში ბიუჯეტში უნდა მოხდეს დამატებით 328,5 მლნ ლარის მობილიზება, რაც წარმოუდგენელია. საერთოდ, საინტერესოა, რომ წლიური გეგმის მიმართ საკმაოდ დაბალი შესრულებაა ხარჯების მიმართულებით. დახარჯულია წლის ბიუჯეტის 35,3 პროცენტი, როცა, ვიმეორებთ, 7 სამუშაო დღეა დარჩენილი.

ამას დაემატება ის შეცდომაც, რაც გამოწვეული იყო პრივატიზაციის თანხების ბიუჯეტში დაფიქსირებით. ეს შეცდომა უფრო ნათელი გახდა დღეს, როცა "ევრაზჰოლდინგმა" "ჭიათურმანგანუმის" შესყიდვაზე უარი თქვა. ცხადია, ხელისუფლება შეეცდება, ამ თანხის კომპენსირება ისევ "ჭიათურმანგანუმის" და სხვა ობიექტების გაყიდვით მოახდინოს, თუმცა, ამ ობიექტების ფასის განსაზღვრის დროს ზემოთ ხსენებული ფაქტორი სახელმწიფოს აუცილებლად უარყოფით ქულად ჩაეწერება. კერძოდ - ნებისმიერი ინვესტორი, რომელმაც იცის, რომ სახელმწიფოს ვალდებულება აქვს, მოაგროვოს დამატებით 175 მილიონი ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტში "გაწერილი" საპრივატიზაციო თანხები), დაიწყებს ვაჭრობას და ამგვარი ვითარება სახელმწიფოს არახელსაყრელ პირობებში ჩააგდებს. შედეგად კი, ან პრივატიზაციის პროცესში მოუწევს ფასებთან მიმართებაში დათმობებზე წასვლა, ან პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების მუხლი ვერ შესრულდება, რაც წლის ბოლოსათვის მდგომარეობას დაამძიმებს.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2005 წელი (მლნ ლარი)

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი) | 855.16 | 802.79 | 280.28 | 386.80 | 136.65 | 337.39 | 2799.08 |
| შემოსავლების 6 თვის გეგმა | 373.46 | 359.78 | 118.13 | 210.48 | 23.40 | 411.83 | 1497.07 |
| შემოსავლები ფაქტი (მლნ ლარი) | 373.76 | 330.39 | 129.81 | 213.27 | 18.62 | 102.66 | 1168.52 |
| შემოსავლები ფაქტი (პროცენტული) | 100% | 92% | 110% | 101% | 80% | 25% | 78% |
| გეგმის შესრულებამდე (მლნ ლარი) | 0.30 | -29.39 | 11.68 | 2.79 | -4.77 | -309.17 | -328.55 |
| წლის ბოლომდე შესასრულებელი (მლნ ლარი) | 481.40 | 472.40 | 150.47 | 173.53 | 118.03 | 234.73 | 1,630.56 |

* [illegible]

# აბდულა ოჯალანის ყოფილი თანამებრძოლი ქართული მართლმსაჯულების ხელშია

*სასჯელაღსრულების №5 საპყრობილეში თურქეთის მოქალაქე დურსუნ ალი ქუჩუკი, თითქმის მეხუთე თვეა, ქართული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას ელოდება. ყალბი დოკუმენტის გამოყენებასა და საზღვრის უკანონო გადმოკვეთა-გადაკვეთის მცდელობისთვის დაპატიმრებული ქუჩუკის სახელი საზოგადოებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, როცა მისი ვინაობა გამოაშკარავდა - კერძოდ, გაირკვა, რომ ის ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის, ამჟამად თურქეთის ციხეში მყოფი აბდულა ოჯალანის თანამებრძოლი იყო.*

თამარ კაციტაძე

დურსუნ ალი ქუჩუკი ქართველი სამართალდამცველების ხელში წელს, თებერვალში მოხვდა - როდესაც გერმანიაში აპირებდა გაფრენას. თბილისის აეროპორტში მესაზღვრეებმა ერთ-ერთი მოქალაქის საბუთები საეჭვოდ მიიჩნიეს და გადასამოწმებლად იგი უშიშროების სამინისტროს გადასცეს. უშიშროების საგამოძიებო ნაწილში დაწყებული შემოწმების დროს კი დაკავებულმა აღიარა, რომ იგი თურქეთის მოქალაქე, ქურთი დურსუნ ალი ქუჩუკი იყო, რომელიც 1993 წელს თურქეთიდან, პოლიტიკური დევნის გამო, გერმანიაში გაიქცა და ლტოლვილის სტატუსიც მიიღო.

ქუჩუკის ადვოკატის მირიან ნიკოლაძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თურქეთის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მოტივებითაა დევნილი, რადგანაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჩაერთო თურქეთში მცხოვრები ქურთების მოძრაობაში, რომელიც ქურთებით დასახლებული ტერიტორიის თურქეთიდან გამოყოფასა და ქურთისტანის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ქუჩუკის ნაამბობის თანახმად, იგი სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაში მოღვაწეობდა, თუმცა მისი საქმიანობა, ძირითადად, იდეოლოგიით შემოიფარგლებოდა.

**"ქურთების მოძრაობა თურქეთის ხელისუფლების მხრიდან უკანონოდ არის გამოცხადებული და მიუხედავად იმისა, რომ ქუჩუკს არავითარი კრიმინალი არ ჩაუდენია, თურქეთის სამართალდამცველებმა იგი დააპატიმრეს და, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამო, 16 წლით პატიმრობა მიუსაჯეს"**, - გვითხრა მირიან ნიკოლაძემ.

თექვსმეტწლიანი პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე ქუჩუკმა მეუღლესთან ერთად სამშობლო დატოვა და, პოლიტიკური დევნილის სტატუსით, გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა ქურთების მოძრაობასთან აქტიური თანამშრომლობა არ გაუწყვეტავს. როგორც თავად ქუჩუკი ირწმუნება, ვინაიდან გერმანიაში თურქული დიასპორა საკმაოდ ძლიერი იყო, იგი ევროპაშიც დიდ ზეწოლას და დევნას განიცდიდა, ამიტომ იძულებული გახდა, გერმანიიდანაც გაქცეულიყო. ჩვენი ინფორმაციით, კარგა ხნის მანძილზე ქუჩუკი ერაყში იმყოფებოდა, სადაც ქურთული დიასპორა საკმაოდ ძლიერია. სავარაუდოდ, ამ პერიოდში გადაიკვეთა ქუჩუკის და ქურთების მუშათა პარტიის ლიდერის - ოჯალანის გზები.

**"მართალია, გარკვეული პერიოდის მანძილზე ქუჩუკი და ოჯალანი ერთად მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი აბსოლუტურად განსხვავებული იყო. როგორც ქუჩუკიმ მითხრა, იგი დემოკრატიული ბრძოლის მომხრეა, ოჯალანი კი, მოგეხსენებათ, უფრო აგრესიულია. სწორედ ამ მიზეზის გამო, ამ ორი ლიდერის გზები გაიყო. ამით ქუჩუკი, ფაქტობრივად, ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა - ერთი მხრივ, თურქეთის ხელისუფლებისგან და მეორე მხრივ - ოჯალანის მომხრეებისგან. სწორედ ამიტომ არ ჩნდებოდა ქუჩუკი"**, - ამბობს ნიკოლაძე.

როგორც ირკვევა, ქუჩუკი ერაყიდანაც ორმაგი დევნის გამო გაიქცა და იგი კვლავ გერმანიაში აპირებდა დაბრუნებას. საქართველოში იგი სომხეთიდან შემოვიდა. რამდენ ხანს იყო ქურთების მოძრაობის იდეოლოგი მეზობელ ქვეყანაში, ჩვენთვის უცნობია. თუმცა, როგორც თავად აცხადებს, საბერძნეთის პასპორტი, შეცვლილი გვარით და სახელით, სწორედ იქ მისცეს.

**"საქართველოში ქუჩუკი არ გაჩერებულა. როგორც თავად განმარტავს, იგი აქ არავის იცნობდა, არც ენა იცოდა და ამიტომ დარჩენა არც უფიქრია. მან აიღო გერმანიის ბილეთი და გაფრენას აპირებდა, მაგრამ დააპატიმრეს"**, - აღნიშნავს მირიან ნიკოლაძე.

მას შემდეგ, რაც ქართველი სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ დურსუნ ალი ქუჩუკი თურქეთის მოქალაქე იყო, კანონის შესაბამისად, პიროვნების დადგენის მიზნით, აღნიშნულ ქვეყანაში მოთხოვნა გაიგზავნა.

**"თურქებმა რომ გაიგეს, ქუჩუკი საქართველოს ციხეში იყო, სასწრაფოდ გამოგზავნეს მოთხოვნა, მისი გადაცემის შესახებ. თურქები გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მიუთითებდნენ, რატომ უნდა გადაგზავნილიყო პატიმარი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობა დაარღვია; ანდა რაში სდებდნენ მას ბრალს საკუთარ ქვეყანაში"**, - ამბობს ადვოკატი.

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ქუჩუკის გადაგზავნის შესახებ თურქების პირველ მოთხოვნას, არასრულყოფილი მასალების გამო, უარით უპასუხა. თუმცა, თურქული მხარისგან ქუჩუკით დაინტერესება ამით არ დასრულებულა. მათ სასწრაფოდ გამოგზავნეს წერილები გენერალურ პროკურატურაში და ინტერპოლის საქართველოს წარმომადგენლობაში და კვლავ დაჟინებით ითხოვდნენ პატიმრის გადაცემას.

**"ქურთი პატიმარი თურქეთში გადაგზავნის სასტიკი წინააღმდეგია, რადგან დარწმუნებულია, რომ იქ წამებით სიკვდილი ემუქრება. ვფიქრობთ, ამაში ეჭვი არავის შეეპარება"**, - გვითხრა ადვოკატმა.

სწორედ ამ მიზეზის გამო, მირიან ნიკოლაძემ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობას მიმართა და ქუჩუკისთვის, როგორც პოლიტიკური დევნილისთვის, ლტოლვილის სტატუსი მოითხოვა.

**"თვეების მანძილზე ქართული მხარისგან ჩვენს მოთხოვნაზე პასუხს ვერ ვიღებდით. სამაგიეროდ, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა მას თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი მიანიჭა და საკუთარი დაცვის ქვეშ აიყვანა"**, - აღნიშნავს ნიკოლაძე.

რამდენიმე დღის წინ კი ქურთი პატიმრის ადვოკატმა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ოფიციალურ წერილი მიიღო.

**"მიენიჭოს დურსუნ ალი ქუჩუკს ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი"**, - აღნიშნულია დოკუმენტში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ქუჩუკს თურქეთისთვის გადაცემის საფრთხე აღარ ემუქრება. მისი ადვოკატი კი ვარაუდობს, რომ საქართველოს ხელისუფლება მის დაცვის ქვეშ მყოფს საბოლოოდ ლტოლვილის სტატუსსაც მიანიჭებს და პოლიტიკურ დევნილს ამით სიცოცხლე შეუნარჩუნდება.

ვიდრე ქურთი პატიმრის სტატუსის მინიჭება-არმინიჭებაზე და თურქეთისთვის გადაცემა-არგადაცემაზე მსჯელობა მიმდინარეობს, ამასობაში ქუჩუკის საქმის გამოძიება დასრულდა და იგი განსახილველად სასამართლოს გადაეცა.

**"ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ ქუჩუკს საქართველოს კანონმდებლობა არ დაურღვევია, მაგრამ ვფიქრობთ, მართლმსაჯულებისთვის გასაგები იქნება ის, რომ ქურთი მწერლის და საზოგადო მოღვაწის მხრიდან კანონის დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი იძულებით იყო გამოწვეული. დღეს კი, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული პიროვნებისადმი კეთილი ნება ოფიციალურად დაადასტურა და მას ლტოლვილის მაძიებლის სტატუსი მისცა, ვფიქრობთ, ეს მისი გათავისუფლების საფუძველიც გახდება"**, - განაცხადა მირიან ნიკოლაძემ.

რა შედგით დასრულდება დურსუნ ალი ქუჩუკის საქმე, ამას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ შევიტყობთ. ამჟამად კი პრობლემა ის გახლავთ, რომ მისი საქმე, ერთ თვეზე მეტია, რაც სასამართლოში გადაიგზავნა, მაგრამ, ქართულ მართლმსაჯულებაში დაწყებული რეფორმის გამო, მისი განხილვა ჯერაც არ დაწყებულა.

# მონიტორინგის საბჭოს წევრები კოპაძის გათავისუფლებას ამჯერად პრეზიდენტისგან ითხოვენ

*მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ იუსტიციის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოსა და სახალხო დამცველის ოფისის რეკომენდაცია და მათ მიერ პენიტენციურ სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები არ გაითვალისწინა - ანუ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან არ გაათავისუფლა, მონიტორინგის საბჭო ამჯერად პრეზიდენტს მიმართავს. მოთხოვნა იგივეა - შოთა კოპაძის მოხსნა.*

**"ბატონო პრეზიდენტო, მოგეხსენებათ, რომ თქვენი 2004 წლის 3 აგვისტოს N309 ბრძანებულების შესაბამისად, ვახორციელებთ თქვენს მიერ დაკისრებულ საპატიო მოვალეობას, ნებართვის გარეშე შევიდეთ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენის, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ამ მოვალეობის განხორციელებისას არაერთხელ მოგვიწოდებია თქვენთვის და საზოგადოებისათვის ინფორმაცია სამართალდამცველ უწყებებსა და საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით არსებული სავალალო მდგომარეობის შესახებ.**

**მიუხედავად ამისა, ვინაიდან სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არ შეიმჩნევა ვითარების გაუმჯობესება, ყოველდღიურად ხდება იქ მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევა, ადგილი აქვს მათ მიმართ დისკრიმინაციულ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და კვლავაც გამეფებულია ფართომასშტაბიანი კორუფცია, მოგმართავთ, თქვენივე ბრძანებულების შესაბამისად, გაითვალისწინოთ ჩვენი რეკომენდაცია და თქვენი უფლებამოსილებების ფარგლებში, ყველა ღონე იხმაროთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ვითარებისათვის პასუხისმგებელი პირის, დეპარტამენტის თავმჯდომარის - შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის".**

ასეთი განცხადებით მიმართავენ პრეზიდენტს არასამთავრობო ორგანიზაციები და კოპაძის საკითხის უფრო დაწვრილებით განსახილველად შეხვედრასაც სთხოვენ.

"შეუცვლელი ადამიანები არ არსებობს. თუ პრეზიდენტს კოპაძის შემცვლელი არ მოუნახავს, ჩვენ შევხვდებით და დავარწმუნებთ", - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი, მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე თეა თუთბერიძე.

*24 საათი*

# ევროსაბჭოს მითითება - საქართველომ ადამიანის უფლებები ეროვნულ დონეზე უნდა დაიცვას

*ცოტა ხნის წინ სტრასბურგიდან დაბრუნდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მინისტრი კოტე კემულარია ხელმძღვანელობდა. ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ვიზიტის შედეგებზე გუშინ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ პრესკონფერენცია გამართა.*




*გუშინ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ პრესკონფერენცია გამართა.*

ქართული დელეგაციას ევროსაბჭოს მაღალჩინოსნებთან საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ, სადაც საქართველოსათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი განიხილეს და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებიც დასახეს. ევროსაბჭოს გენერალურ მდივან ტერი დევისთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს მიერ სამი საერთაშორისო დოკუმენტის - ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოს კონვენციის, რეგიონების და უმცირესობების ენების ევროპული ქარტიისა და განახლებული სოციალური ქარტიის რატიფიკაციის საკითხებზე.

კორკელიას თქმით, ქართულმა მხარემ ევროსაბჭოში კანონმდებლობის დახვეწისთვის ექსპერტული დახმარება მოითხოვა, რათა ქართული კანონმდებლობა სრულ ჰარმონიაში იყოს ევროპულ საერთაშორისო აქტებთან, რომელთანაც იგი მიერთებულია.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებაზეც. ევროსაბჭოს მითითებით, ქვეყანას, რომელსაც გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს აღებული, ადამიანის უფლებები ეროვნულ დონეზე უნდა ჰქონდეს დაცული.

როგორც კორკელიამ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერთან ვიზიტისას საუბარი შეეხო აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს. ქართულმა მხარემ ევროსაბჭოში ამ საკითხში ევროსტრუქტურების დახმარება ითხოვა, რათა რაიმე სამართლებრივი მექანიზმით აღდგეს პატიმართა უფლებები.

**"ევროსაბჭოს წარმომადგენლებს მოვახსენეთ, რომ საქართველო ვერ ახერხებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას და ვთხოვეთ, რომ, ამ მხრივ, მათ გაგვიწიონ დახმარება"**, - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

კორკელიამ პრესკონფერენციაზე დაასახელა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი მამასახლისის და ნანავას საქმეები. ისინი აფხაზეთში, დრანდის ციხეში უკანონოდ იყვნენ დაპატიმრებულნი. ამ საკითხზე "24 საათი" უკვე წერდა. 85 წლის ნანავა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა შეიწყალა, მამასახლისის კი დღემდე ციხეშია. მის საქმეს ევროსასამართლო პრიორიტეტად მიიჩნევს და დაჩქარებული წესით განიხილავს.

სტრასბურგში ვიზიტისას საუბარი შეეხო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროსასამართლოში საქართველოს წარმომადგენლის სამსახურის ფუნქციების გაფართოებას. მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, ამ სამსახურს დაეკისრება ვალდებულება, ევროსაბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის თქმით, სტრასბურგში ვიზიტი წარმატებული იყო იმითაც, რომ ქართულმა მხარემ ფინანსური მხარდაჭერის გარანტიებიც მიიღო, რაც, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვას მოხმარდება.

## მოკლედ

### ნიკოლოზ ყიფიანის თვითმკვლელობის ფაქტს საგარეჯოს პოლიცია იძიებს

კახეთის რეზერვისტთა საველე ბატალიონის მოხალისის, 29 წლის ნიკოლოზ ყიფიანის თვითმკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე საგარეჯოს რაიონის პოლიციამ აღძრა. გამოძიებას ამოღებული აქვს ყიფიანის წერილი, რომელიც მან თვითმკვლელობამდე დაწერა. წერილში იგი თვითმკვლელობის მიზეზზე არ საუბრობს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" შსს-ს კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსმა თემურ ანჯაფარიძემ განუცხადა, ყიფიანმა თვითმკვლელობა 19 ივნისს საღამოს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში ჩაიდინა. ყიფიანი წერილში ახლობლებს ემშვიდობება და თავის სიკვდილში არავის ადანაშაულებს. ეროვნული გვარდიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მალხაზ თოფურიას განცხადებთ გავრცელებული ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ყიფიანი რეზერვისტი იყო, სინამდვილეს არ შეეფერება. **"იგი მოხალისედ ჩაეწერა; იმ 600 მოხალისეს შორის, რომელთა რიცხვში ყიფიანიც იყო, უნდა შერჩეულიყო 350 რეზერვისტი. მე ვუთანაგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს, მაგრამ, ასევე, არასწორია ინფორმაცია, თითქოსდა, ყიფიანის თვითმკვლელობის მიზეზი რეზერვისტების მიერ მიყენებული შეურაცხყოფა გახდა. ყიფიანმა ბანაკში მხოლოდ ერთი ღამე გაათენა და არანაირ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. მან დაწერა წერილი, რომლითაც მშობლებს გამოემშვიდობა და თან დაურთო ადრე სიკვდილზე დაწერილი საკუთარი ლექსი. "გემშვიდობებით, როგორც ლერმონტოვი", წერია მის ბარათში"**, - ჩვენთან საუბრისას განაცხადა მალხაზ თოფურიამ, რომლის თქმითაც, გავრცელებული დაუზუსტებელი ინფორმაციები რეზერვისტთა ბანაკების იმიჯს ლახავს. **24 საათი**

### რესტორან "ხიდეშლების" ადმინისტრაციას უჩივიან

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სახალხო დამცველის აპარატი 19 ივნისს რესტორან "ხიდაშელების" ადმინისტრაციის მიერ ინვალიდი ბავშვებისთვის სადილზე უარის თქმის ფაქტზე სამართალდამცველებისგან რეაგირებას ითხოვენ. საქმე ისაა, რომ დედაქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის დაფინანსებით, 19 ივნისს განხორციელებულ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, 8 ინვალიდი მოზარდი, რომლებსაც გადაადგილება მხოლოდ ეტლის საშუალებით შეუძლიათ, ექსკურსიაზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იმყოფებოდა. ბავშვებს თან ახლდნენ ასოციაცია "ანიკას" პრეზიდენტი ირინა ინასარიძე და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის დედათა და ბავშვთა განყოფილების უფროსი თიკო შელია.

როგორც ირინა ინასარიძე აცხადებს, ექსკურსიის შემდეგ მათ სადილობა გადაწყვიტეს და აირჩიეს რესტორანი "ხიდაშელები", რომელსაც შესასვლელში კიბეები არ აქვს და ბავშვებისთვის იქ შესვლა უფრო იოლი იყო. რესტორნის ადმინისტრაციამ, ადგილების არქონის მიზეზით, ბავშვები რესტორანში არ შეუშვა. "თუმცა, იქ ბევრი თავისუფალი მაგიდა იყო", - ამბობს ასოციაცია "ანიკას" პრეზიდენტი. როგორც გაირკვა, ინასარიძე და შელია აღნიშნული ფაქტის შემდეგ დაუკავშირდნენ პრეზიდენტის რწმუნებულს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ვასიკო მაღლაფერიძეს. რწმუნებულმა რესტორნის ადმინისტრაციას აუხსნა, რომ მსგავსი საქციელი დაუშვებელი იყო. ამის შემდეგ მაღლაფერიძეს დაუკავშირდნენ გარკვეული პირები და კერძო ბიზნესზე ზეწოლაში დაანაშაულეს, - აცხადებენ მომხდარის შემსწრენი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის ანა დოლიძის განმარტებით, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის მიხედვით, ინვალიდებისთვის კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. "პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის აღნიშნული ფაქტი ცნობილია და მათ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონ; ან რესტორნის ადმინისტრაციამ ინვალიდ ბავშვებს ბოდიში მაინც უნდა მოუხადოს", - აცხადებს ანა დოლიძე. რესტორნის ადმინისტრაციის ქმედებას აკრიტიკებს სახალო დამცველი სოზარ სუბარიც. "ეს შემთხვევა კარგად გამოხატავს საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულებას, ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ და თვალნათლივ ადასტურებს იმ უარყოფით შედეგებს, რაც ახლავს ტოლერანტობის დეფიციტს ჩვენს ქვეყანაში", - აცხადებს ომბუდსმენი. **24 საათი**

### N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილეს პატიმრობა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გუშინ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N7 საპყრობილის დირექტორის მოადგილეს - დავით ვარდოსანიძეს, რომელსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ედება ბრალი. ვარდოსანიძე 17 ივნისს საპყრობილეში მომხდარი ინციდენტის გამო აღძრულ საქმეზე 18 ივნისს დააკავეს. შემთხვევა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის გიორგი ონიანის საპყრობილეში შესვლასა და იქ ფარულ ვიდეოგადაღებას უკავშირდება. ონიანს გადაღებული ვიდეომასალის საპყრობილიდან გატანისას შეექმნა პრობლემა და საპყრობილის ადმინისტრაციას დაუპირისპირდა. მას ვიდეომასალით 2 საათის განმავლობაში საპყრობილიდან არ უშვებდნენ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვარდოსანიძის ინტერესების დამცველი თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს. **ჯი-ეიჩ-ენი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

1

იურიდიული ოფისი „გაპი"

და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აღავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ფოფოლა ექიზაშვილი**

ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილის - სერგო ბაგრატის-ძე ექიზაშვილის ქვრივი. დღემდე პენსიას ვღებულობ ჩემი ასაკისა და ავადმყოფობის (მეორე ჯგუფი) გამო. გთხოვთ, განმიმარტოთ - ხომ მეკუთვნის მე, 78 წლის ქალს, შრომისუუნაროს ჩემი ომის ვეტერანი, აწ გარდაცვლილი მეუღლის პენსია და რამდენი ლარი მეკუთვნის (ჩემი მეუღლე იყო რიგითი ჯარისკაცი)?

ქალბატონო ფოფოლა,

“ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის თანახმად:

მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა,ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა/შემგომში დაღუპულთა,გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა

ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ა) შრომიუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;

გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომიუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.

დაღუპულთა /გარდაცვლილთა/ ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მიხედვით პენსიის ოდენობა შეადგენს 28 ლარს.

**არსენ ბურჯალიანი**

1992 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ვმუშაობ სპორტის აკადემიაში, ვიყავი კათედრის გამგეც. 2002 წელს ამირჩიეს პროფესორად, შევასრულე ყველა მოთხოვნა და ინსტრუქციის სრული დაცვით 2004 წელს წარმადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოზე დასამტკიცებლად, მაგრამ ახალმა უმაღლესი განათლების კანონმა გააუქმა ეს საბჭოები და დავრჩი წოდების გარეშე. დღესაც ვარ კათედრის უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. რამდენად კანონიერია ეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს აკადემიაში 2005 წლის 20 მაისს დაცული სადოქტორო დისერტაციის მფლობელს ე.მაჩაიძეს 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებით გაუფორმეს ბრძანება პროფესორის თანამდებობაზე. თუმცა დოქტორობის დიპლომი მას ჯერ არც წარმოუდგენია და არც კონკურსი გამოცხადებულა მის თანამდებობაზე.

ბატონო არსენ,

2004 წლის 21 დეკემბრის “უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 30-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 87-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების და 89-ე მუხლის მე-9 და მე-11 ნაწილების მიხედვით:

მუხლი 30. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოების შედგენისა და თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის მოწვევის წესი და პირობები.

3. სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან დოქტორის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

მუხლი 33. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 34. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული წესით საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 35. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. დამატებით პირობებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

4. სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საშემსრულებლო სპეციალობებისთვის ღია კონკურსის საფუძველზე აკადემიური თანამდებობების დაკავების პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, რაც აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში.

მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოების პირველ არჩევნებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ატარებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2 წლისა.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ კანონის შესაბამისი მართვის ორგანოების პირველი არჩევიდან არა უგვიანეს 6 თვისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კანონის შესაბამის ახალ წესდებებს.

მუხლი 89. ეროვნული გამოცდების ცენტრი, სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური და საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა

9. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

11. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე.

თქვენ უფლება გაქვთ, დამატებით ინფორმაციის მოსაპოვებლად განცხადებით მიმართოთ უნივერსიტეტს, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია გასცეს ინფორმაცია.

**მარიკა ბალიაშვილი**

ვარ სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდი 1991 წლიდან, მარტოხელა (ქმარ-შვილი არ მყოლია), მაქვს 45 ლარი პენსია. სამი წლის წინ თვალებზე არასრულფასოვანი ოპერაციის შედეგად დამაბრმავეს, დაუხმარებლად ვერ დავდივარ. 1) რა დახმარება მეკუთვნის მთავრობისაგან და ვისგან? 2) თუ სხვას აქვს 97 ლარი პენსია (45+52), დღის 23 ლარის გარდა, რატომ მე არა? 3) როდიდან მეკუთვნოდა მარტოხელობის 22 ლარი დანამატი მუშაობის თუ არამუშაობის პერიოდში? 4) ხელფასი მქონდა 50 ლარი, რას უდრის ჩემი ფასიანი შვებულება? 5) მუშაობის დროს 3 წელი არ მისარგებლია კუთვნილი შვებულებით, უბრალოდ არ მომცეს და არც გადამიტანეს, მეკუთვნის თუ არა შვებულების ფული განთავისუფლების შემდეგ (სამივე წლის)? 6) საავადმყოფო ფურცლის შემდეგ შეიძლება თუ არა ავადმყოფმა ისარგებლოს ფასიანი შვებულებით?

ქალბატონო მარიკა,

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის თანახმად, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების ოდენობა არის: ა) მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისათვის - 22 ლარი.

“შრომის კანონთა კოდექსის" 65-ე მუხლის, 67-ე მუხლის 1-ლი, მე-4 და მე-6 ნაწილების, 72-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 74-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 65. ყოველწლიური შვებულება

ყველა მუშასა და მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

მუხლი 67. შვებულება

1. ყველა მუშაკს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და ხელფასის შენარჩუნებით.

.4. დაუშვებელია ყოველწლიური შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნილ პირს შვებულებით არ უსარგებლია.

6. დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის დროს აღებული შვებულება ყოველწლირ შვებულებაში არ ჩაითვლება.

მუხლი 72. შვებულების ყოველწლიურად მიცემა. შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

4. აკრძალულია ყოველწლიური შვებულების მიუცემლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, აგრეთვე შვებულების მიუცემლობა თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშისა და მოსამსახურეებისათვის და იმ მუშაკებისათვის, რომლებსაც შრომის მავნე პირობებთან დაკავშირებით აქვთ დამატებითი შვებულების უფლება.

მუხლი 74. უხელფასო შვებულება

ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით მუშას ან მოსამსახურეს მისი განცხადებით შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება, რაც ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით), აუცილებლობის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით ეს შვებულება მუშამ ან მოსამსახურემ შეიძლება აანაზღაუროს მომდევნო პერიოდში, წარმოების პირობებისა და შესაძლებობებიდან გამომდინარე.

ამრიგად, თქვენ არ გისარგებლიათ რა შვებულებით, ეს ნიშნავს, რომ ასრულებდით სამსახურეობრივ მოვალეობას, რისთვისაც თქვენ მიიღებდით ხელფასს, ამიტომ თქვენ არ გეკუთვნით მითითებული სამი თვის შვებულების ფული. რაც შეეხება სხვა სოცილურ დახმარებებს, თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ განცხადებით ადგილობრივ სოც.უზრუნველყოფის ორგანოს განცხადებით მითითებული საკითხის ირგვლივ, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ვალდებულია გასცეს ინფორმაცია.

**ნიკოლოზ გრიგოლია**

ერთ სართულიანი კერძო სახლი გლდანში ვიყიდეთ მამამ, მე და ჩემმა ძმამ, რომელიც ახლა ციხეშია. ბინის ნასყიდობა ჩემი ძმის სახელზეა, ჩაწერილი კი არ არის ბინაში, მე და მამა ვართ ჩაწერილები., გვაქვს საბინაო წიგნი და ნასყიდობის დოკუმენტი. გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონის თანახმად გვაქვს თუ არა უფლება მე და მამამ გავყიდოთ ბინა ჩემი ძმის ნებართვის გარეშე ან რა დოკუმენტებია საჭირო ჩემი ძმის მხრიდან და ჩვენგან, რომ გავყიდოთ ბინა, რათა სამი სხვადასხვა ბინა ვიყიდოთ თითოეულმა?

ბატონო ნიკოლოზ,

სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 311-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 183. უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები**

1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

2. საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი.თუ ერთ-ერთი მხარე მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს ამის შესახებ.

**მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება**

1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.

2. რეესტრის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.

ამრიგად, ბინის მესაკუთრე გახლავთ ის, ვინც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. თუ თქვენი ძმა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, იგი იქნება ბინის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში ბინის გასაყიდად (განსაკარგავად) საჭიროა, თქვენმა ძმამ უშუალოდ გაყიდოს ბინა ან მის მიერ გაცემული იქნეს მინდობილობა, რომელშიც აღინიშნება თუ რა უფლებები ექნება პირს, რომელზეც გაიცემა მინდობილობა, აღნიშნული დოკუმენტი კი უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა.

**თორნიკე ყუფარაძე**

ვცხოვრობ ვაკეში, ჭავჭავაძის პრ. 12-ში, 5 სართულიან სახლში. ზედა სართულის მაცხოვრებლებს უნდათ სახლს დააშენონ მანსარდები თავისთვის. გამიგია, თითქოს ამ პროსპექტის სახლებზე ყოველგვარი დაშენება ფასადის გამო აკრძალულია. მართალია ეს თუ არა ან ამის გასაგებად ვის უნდა მივმართო?

ბატონო თორნიკე,

სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის, 224-ე მუხლის პირველი ნაწილის და 228-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 208. ცნება**

1. მრავალბინიან სახლებში არსებობს საკუთრების უფლება ბინაზე (ბინის საკუთრება) და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად (არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება).

2. ბინის საკუთრება და არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად.

3. მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

4. ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იზოლირებულ ბინებზე ან შენობის სხვა იზოლირებულ ნაწილზე. მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად.

**მუხლი 224. საერთო საკუთრების მართვა**

1. საერთო საკუთრების მართვა ეკისრებათ ბინის მესაკუთრეებს ერთობლივად, თუ ამ კოდექსით ანდა ბინის მესაკუთრეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

**მუხლი 228. კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა**

1. გადაწყვეტილებათა მიღებისას ყოველ მესაკუთრეს თითო ხმა აქვს. თუ ბინას რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს, მათ შეუძლიათ ხმის უფლება მხოლოდ ერთობლივად გამოიყენონ.

2. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტი.

3. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ახალი კრება იმავე დღის წესრიგით. ეს კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად,რის შესახებაც უნდა აღინიშნოს კრების მოწვევისას.

4. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კოდექსით ან ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამრიგად, პირველ რიგში საჭიროა ბინის მესაკუთრეთა თანხმობა, ხოლო შემდეგ ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში მოპოვებულ იქნეს შესაბამისი დოკუმენტები. რაც შეეხება აკრძალვას, თქვენ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ ქალაქის მერიაში.

გია ბუაძე

გთხოვთ, მიპასუხოთ, რას ნიშნავს უწყვეტი შრომის სტაჟი, წყვეტილი შრომის სტაჟი, დროის რა მონაკვეთი ითვლება შრომის სტაჟის გამწყვეტად? ითვლება თუ არა შრომით საერთო ან პროფილით მუშაობის სტაჟში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი? თუ უმაღლესში მოწყობამდე პიროვნებას არ უმუშავია და მუშაობა დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე, უმაღლესში გავლილი აქვს სამხედრო კათედრაზე სწავლება?

ბატონო გია,

შრომის სტაჟის უწყვეტობა ნიშნავს, რომ პიროვნება მუშაობს ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში უწყვეტად, ე.ი. როცა პიროვნება არ ანებებს თავს სამსახურს ან არ ანთავისუფლებენ სამსახურიდან. დრო, როცა პიროვნება არსად არ მუშაობს, ნიშნავს, რომ შრომის სტაჟი შეწყვეტილია. მაგალითად: პიროვნება მუშაობდა ათი წელი, შემდეგ კი უმუშევრად იყო სამი წელი, შემდგომ კი კვლავ დაიწყო მუშაობა და იმუშავა ოცი წელიწადი. დრო, რომლის განმავლობაშიც პიროვნება არ მუშაობდა (ამ შემთხვევაში სამი წელი), არ ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში, ანუ საერთო შრომის სტაჟი იქნება ოცდაათი წელიწადი. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი არ შედის შრომის სტაჟში, მისი ათვლა იწყება რომელიმე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის დაწყებიდან. “შრომის კანონთა კოდექსის" 42-ე მესამე მუხლის პირველი ნაწილის “გ" ქვეპუნქტი ადგენს, რომ საწარმოდან, დაწესებულებიდან და ორგანიზაციიდან მათი ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა), მუშაკთა რიცხოვნობის შტატების შემცირების გამო განთავისუფლებულ მუშაკებს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტისას უნარჩუნდებათ უწყვეტი შრომის სტაჟი, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება.

**ალექსანდრე მეგრელიშვილი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან. მოქმედებაშია თუ არა კანონის ეს მუხლი?

ბატონო ალექსანდრე,

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ" ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება

3. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ბ) მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ- ან ორშვილიან პირს კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3 000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

მოქმედი საგადასახადო კოდექსით სხვა რაიმე შეღავათი მითითებული საკითხის ირგვლივ არ არის დადგენილი. თქვენს მიერ მითითებული მუხლი კი ეხება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წარმომადგენელის უფლებებს.

ЗАЧЕМ СВИНЬЕ КУЛЬТУРА И НАУКА



B2

ბაკურიანის ტყის ზღაპარი - 2014



B4

"ჰაბაკუკი" - ყინულის გემი, რომელიც ვერ გახდა ავიამზიდი



B6

ნომრის სტუმარი

# ტიტები, ვარდები და აჯაფსანდალი

## ფრანსუაზა კომპანიენი: "სანდრას არ ვაწუხებ, ისედაც ბევრი ხალხია, ვინც მისგან რაღაცას ითხოვს".

ლელა მჭედლიძე

*მისი ქართველი მეგობრები ხშირად საუბრობენ მასზე, როგორც მხიარულ და ენერგიულ ადამიანზე, რომელთან ურთიერთობაც დიდი სიამოვნებაა. ის მოუღლელია. ვინ იცის, მერამდენედ ჩამოდის საქართველოში და როგორც ამბობს, ივლის მანამ, სანამ თავად ამისი თავი ექნება, მის მეგობრებს კი მისი ნახვის სურვილი. ფრანსუაზა კომპანიენი ამსტერდამის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე ინტერკულტურული კომუნიკაციის საგანს ასწავლის.*

**- მეგობრებთან საუბარში, თქვენ რამდენიმეჯერ ახსენეთ სიტყვა "აჯაფსანდალი". რისი ბრალია ეს, იდიომატური გამოთქმები გიყვართ, თუ ქართული სამზარეულოსადმი ვერ ხართ გულგრილი?**

- ალბათ ორივესი. მაგრამ აქცენტს უფრო ქართულ სამზარეულოზე გავაკეთებ. ძალზე ხშირად მიდარდია იმაზე, რომ ჰააგაში ქართული რესტორანი არ იყო. ვურჩევდი ქართველებს, რომ ჰოლანდიაში ქართული სახლი დაეარსებინათ, რომელშიც ქართული რესტორანიც იქნებოდა.

**- რამდენადაც ვიცი, ერაყში დაიბადეთ, იზრდებოდით თურქეთში, ცხოვრობდით ბრაზილიასა და აშშ-ში, საბოლოოდ ჰოლანდიაში დაფუძნდით. რა იყო თქვენი ცხოვრების ამგვარი სტილის მიზეზი?**

- მართალი ხართ. არა საქართველოს, არამედ ერაყის ბაღდადში დავიბადე. მშობლები ამ დროისათვის იქ ცხოვრობდნენ. მამაჩემი ბიზნეს- სკოლაში სწავლობდა და ბიზნესმენმა თავიდან მუშაობა სწორედ ერაყში დაიწყო. მოგვიანებით მუშაობა თურქეთში "KLM ჰოლანდიური სამეფო ავიახაზებისათვის" მოუწია. შემდეგ ოჯახთან ერთად ბრაზილიაში გადავიდა. აშშ-ში სასწავლებლად უკვე დამოუკიდებლად წავედი. 18 წლისამ ბავშვის ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის შესწავლა დავიწყე. პირველის როგორც მთავარი საგნის, მეორესი კი როგორც დამხმარესი. შემდეგ ჩემს მთავარ სპეციალობად უკვე ანთროპოლოგია იქცა. ამ დროს ნამდვილად ვერ წარმომედგინა, რომ ბავშვის დახმარებისათვის ფული უნდა ამელო. ვიღაც, როგორც ფსიქოლოგს, საუბრისთვის თანხას გადამიხდიდა. ახლა უკვე ვიცი, რომ ხალხს ურჩევნია საკმაო თანხა გაიღოს თერაპევტისათვის, მაგრამ 20 წლის ასაკში ეს ნამდვილად ვერ წარმომედგინა.

**- რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ, ვინ არიან თქვენი მშობლები?**

- მამაჩემი ჰოლანდიელი ბიზნესმენი იყო, საკმაოდ მოუსვენარი კაცი. დედა წარმოშობით ფრანგი, საბავშვო ბაღის აღმზრდელი. შეიძლება ითქვას, რომ დედა უფრო დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი გახლდათ. თუმცა, მათი ქორწინების პირველ წლებში მაინც ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც ეს ტრადიციულ ოჯახებში ხდება. მამა ოჯახისთვის ფულს შოულობდა, დედა სახლის მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული. შვილების აღზრდას ორივე დიდ ყურადღებას უთმობდა.

**- საქართველოში როგორ აღმოჩნდით?**

- ლექტორი ვარ და გლობალიზაციის საკითხის შესწავლით ვიყავი დაინტერესებული. საქართველოში 90-იან წლებში კვლევის ჩასატარებლად ჩამოვედი. მართლაც საინტერესო იყო, თუ რა ვითარება არსებობდა ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპაში. კვლევისათვის საქართველო რამდენიმე მიზეზის გამო ავირჩიე. იმედი მქონდა, რომ უკრაინასა და ჰოლანდიასთან შედარებით აქ მიმდინარე პროცესების მიმოხილვას უფრო კარგად შევძლებდი. გარდა იმისა, რომ შედარებით პატარა ქვეყანაზე იყო საუბარი, 1994 წელს აქ ბევრ საინტერესო პროცესს ეყრებოდა საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს დომინანტური მდგომარეობა ეკავათ. ამას კი ჩემი კველევისათის მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერთან ერთად, საქართველო წარმოადგენდა და წარმოადგენს ხიდს აზიასა და აღმოსავლეთ ევროპას შორის. შეიძლებოდა ამ ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ქვეყნასა და მის მეზობლად მდებარე აზერბაიჯანსა და თურქეთთან პარალელის გავლება. ყველაფერთან ერთად მქონდა იმის იმედი, რომ აქ არ მომწყინდებოდა, არ "ჩავიძირებოდი". 1996 წელს ჩემი შეხედულებების გადასამოწმებლად და კვლევის დასაწყებად საქართველოში ჩამოვედი. პირველ რიგში იმის გარკვევა მინდოდა, დამელაპარაკებოდა თუ არა ხალხი. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ ჩამოვლას აზრი არ ჰქონდა. მახსოვს, ერთ-ერთი ვისაც მაშინ ამ თემაზე შევხვდი და ვესაუბრე გია ნოდია იყო. ის დიდი ენთუზიზმით იყო განწყობილი.

**- რამდენად გამართლდა თქვენი შიში? რა სირთულეებს წააწყდით კვლევის პერიოდში?**

- ბევრი საკითხი იყო, რომელიც არ მესმოდა და რის გამოც თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი. პირველად ენის პრობლემა და ბარიერი არსებობდა. უცხოობის გრძნობა, როცა არავის იცნობ და ერთგვარად დაუცველი ხარ. როცა საქართველოში პირველად ჩამოვედი, არც მობილური ტელეფონი მქონდა და არც საკრედიტო ბარათი, საკმაოდ გზას აცდენილად ვგრძნობდი თავს. სხვა პრობლემა ხალხის ალაპარაკება იყო. მათგან იმის გაგება, თუ ვინ იყვნენ, რას ელოდნენ სამომავლოდ სინამდვილეში და არა ის, თუ რის გაგონებას ველოდი მათგან მე. მოკლედ, ჩემი ნაშრომი, სახელად "ტრადიციებსა და თანამდროვეობას შორის: არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების როლი დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში", ამ საკითხებს ეხებოდა.

**- როგორც აღნიშნეთ თქვენი კვლევის პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციებს დომინანტური როლი ეკავათ. შეიძლება თუ არა ითქვას იგივე დღევანდელ პერიოდზე?**

- არ ვიცი, რამდენადაც ვხედავ, არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი მაშინდელი წარმომადგენელი ხელისუფლებაშია. ახლა, როცა კვლევას მოვრჩი, საქართველოში არა საქმის გამო, არამედ მეგობრების სანახავად ჩამოვდივარ. სპეციალურად, ჩემი საუკეთესო მეგობრის დაბადების დღეზე დასასწრებად და, იმედი მაქვს, ამ ტრადიციას მანამდე დავიცავ, სანამ შემეძლება, ან სანამ ჩემს მეგობრებს არ მობეზრდებათ.

**- თქვენ საკმაოდ დიდი გამოცდილება გაქვთ, რა პარალალების გატარება შეიძლება საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, სადაც გიცხოვრიათ?**

- ძალიან დიდი სხვაობაა ევროპულ ქვეყნებთან, მაგალითად, ჰოლანდიასთან. თუნდაც მეგობრობის ფაქტორი აიღეთ. ფაქტია, რომ ამ მხრივ საქართველოში უფრო ახლო არიან ვიდრე ჰოლანდიაში. გარდა ამისა, ჰოლანდია არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრსითაა "ბრტყელი ქვეყანა", არამედ ორგანიზაციული მოწყობის მხრივაც. როგორც წესი, იქ საკმოდ პატარა მანძილი არსებობს მუშაკსა და ხელმძღვანელ პირს შორის. თუმცა, მდგომარეობა ახლა უკვე საქართველოშიც იცვლება. არა მხოლოდ ხელმძღვანელსა და უმცროს შორის იერარქიაში. მდგომარეობა იცვლება როგორც ბიზნეს აქტიურობის თვალსაზრისით, ისე მენტანტილიტის მხრივ. მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია ან ცუდი, რადგან დანამდვილებით იმის წინასწარ თქმა, თუ რა არის კარგი ან ცუდი, არ შეიძლება. მე მხოლოდ სხვაობებზე ვსაუბრობ.

თუმცა, სხვაობა არსებობს არა მხოლოდ სხვა ქვეყნებთან შედარებით, არამედ, თავად ქართულ საზოგადოებაში, თითქოსდა ერთი თაობის წარმომადგენლებში.

**- რა არის ამის მიზეზი? ან რას გულისხმობთ?**

- განსხვავების მიზეზი, მაგალითად, განათლებაც არის, რომელიც ზოგმა საბჭოთა პერიოდში მიიღო, ზოგმა გარდაქმნის შემდგომ. აქედან გამომდინარე მათ უკვე განსხვავებული პერსპექტივა და მომავალი აქვთ. გარდა ამისა, მაგალითად, შესამჩნევია, რომ ბევრი საკმაოდ თავისუფლად და დამოუკიდებლად მოაზროვნე ახალგაზრდა ეკლესიისკენ იხრება. დანარჩენები რაღაც გარკვეული ახალი მიმდინარეობებით არიან გატაცებული. ჰოლანდიაში ძალზე უმნიშვნელო ნაწილი დადის ეკლესიაში.

როგორც ადრე ვთქვი, ძალზე რთულია, ცუდ და კარგ მხარეებზე ისაუბრო. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საიდან მოდიხარ, ვინ ხარ. მადლობელი ვარ ქართველი ხალხისა, რომელიც როგორც სტუმარს ყოველთვის გაგრძნობინებს, რომ ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, მშვენიერია. და თუ რამე გაფუჭდა, ეს შენი კი არა სხვისი ბრალია. მთაში წასულს თუ თავი აგტკივდა, ეს შენი სუსტი ჯანმრთელობის კი არა მთების ბრალია, რადგან მთაში სხვანაირი, განსხვავებული ჰაერია. მიყვარს ქართველების ის ხერხი, რომლითაც ქართველები ბავშვების აღზრდას ეწევიან. ის სითბო და სირბილე, რაც მშობელსა და ბავშვს შორის დამოკიდებულებაში ჩანს.

**- თუ არ ვცდები, თქვენ საქართველოს პირველ ლედისაც იცნობთ...**

- ზუსტად არ მახსოვს, როდის შევხვდი სანდრა რულოვსს პირველად. თუ არ ვცდები, იგი მაშინ წითელი ჯვრის ორგანიზაციისათვის მუშაობდა. საღამოზე მაშინ რუსეთში ჰოლანდიის ელჩმა მიმიყვანა. მახსოვს, ერთ-ერთი საღამოს შემდეგ სანდრასთან სახლშიც ვიყავი. თუ არ ვცდები, იმდროსიათვის ის ქართულის გაკვეთილებს იღებდა. ჯერ კიდევ მაშინ შევნიშნე, რომ სანდრას კარგი "პიარისთვის" დამახასიათებელი ყველა თვისება ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ძალზე კონტაქტური იყო, ადამიანთან ურთიერთობისას მისთვის საინტერესო დეტალებს იმახსოვრებდა, რომელსაც შემდეგ მიუბრუნდებოდა ხოლმე. მაგალითად, შეეძლო შენთვის საინტერესო თემაზე ოპერატიულად გამოეგზავნა რაღაც მასალა. რა თქმა უნდა, ჩემ გარშემო ძალზე ბევრი თბილი ადამიანია, რომელიც, შესაძლოა, ყურადღებიანი იყოს, მაგრამ ძალზე ბევრ მათგანს მსგავსი რამის გაკეთება უბრალოდ დაეზარება. სანდრას საქართველოშიც ვუნახივარ და ჰოლანდიაშიც. თუმცა, მე არ ვარ ის ფიგურა, რომელიც მასთან მჭიდრო კონტაქტშია. ისედაც ძალზე ბევრი ხალხია, ვინც მისგან რაღაცას ითხოვს და ამდენად მის შეწუხებას ვერიდები.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- ძალზე საინტერესო იქნებოდა იმის შესწავლა, რაც რევოლუციის შემდგომ საქართველოში მოხდა. მეორე მხრივ, არ იქნებოდა ცუდი იმის გამოკვლევა, თუ რა ხდება თურქეთში, სადაც გავიზარდე. რა მსგავსებაა სტამბულსა და თბილისს შორის. თუნდაც დემოკრატიულობის ხარისხის თვალსაზრისით. ახლა განსხვავებულ კულტურათა შორის კომუნიკაციებზე ვკითხულობ ლექციებს. კულტურა ზოგ შემთხვევაში გარკვეული "ქვესინდისის" როლს თამაშობს.



ძალიან მინდა, რომ ქართველი ავტორების ბევრი წიგნი და ნაშრომი ითარგმნოს. რათა მას, ჩემი ჩათვლით უფრო კარგად გაეცნოს უცხოური საზოგადოება.

**- როგორც აღნიშნეთ, საინტერესო იქნებოდა კვლევის გაკეთება იმ ცვლილებებზე, რომელიც პოსტრევოლუციურ საქართველოში არსებობს. რა თვალშისაცემი სხვაობის შემჩნევა შეუძლია უცხოელ სტუმარს რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ საქართველოში?**

- ალბათ იმ ცვლილებებს, რომელიც აეროპორტიდან იწყება, როცა უცხოელს ვიზაში 80 დოლარის გადახდა აღარ უწევს. თურქეთის მსგავსად ქვეყანაში შემოსასვლელად 10 დოლარის გადახდაა საკმარისი. გარდა ამისა, თვალში ბევრი ახალი მშენებლობაა მოსახვედრი. ისიც, რომ ბევრი შეკეთდა და გარემონტდა. ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ ხალხს უფრო მეტი ფული გაუჩნდა. აშკარად მეტი ინგლისურად მოლაპარაკეა, მეტი ხალისიანი ფერი, როგოც ხალხის ჩაცმულობაში, ისე ქუჩაში. ამავე დროს, არ შეიძლება არ შენიშნო, რომ ქუჩაში ჯერ ისევ ბევრი მათხოვარი ბავშვი და მოხუცია. ჩვენი საუბრის დასასრულ კი ქართველებს, ყველას გისურვებთ იგივეს, რასაც საკუთარ თავს ვუსურვებდი.





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
მარსელ მიტუა
"აკომპანიატორი"
რეჟისორი: მანანა სურმავა
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თეატრი ათონელზე**
პრემიერა
სლავომირ მროჟეკი
"ემიგრანტები"
რეჟისორი: ი. აფაქიძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"მოპარული სილამაზე"
რეჟისორი: ბერნარდო ბერტოლუჩი
დას: 18:00 სთ.

## გამოფენები

**ბავშვთა სურათების გალერეა**
ცისანა ბაღდავაძის (12 წლის) ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა
გახსნა: 15:00 სთ.

**ვერნისაჟი**
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

**ბაიას გალერეა**
მაია ზაალიშვილის ფოტონამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
"საუკეთესო ანტინარკოტიკული პლაკატი"

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
ალექსი ბერდიშევის ნამუშვრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ნიუ არტი**
კოტე მინდაძე
"ინფრაწითელი შოუ"
გახსნა: 18:00

**ბავშვთა სურათების გალერეა**
თათა ჯანაშიას ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 16:00 სთ.

**ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე**
რეწვის ფესტივალი "არტ-გენი"
**23 ივნისი**
სტუმრები აჭარიდან
დას: 20:00 სთ.

ნინო ქათამაძე
დას: 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*




# ЗАЧЕМ СВИНЬЕ КУЛЬТУРА И НАУКА

## ტოტალიტარული პროპაგანდა პლაკატებში

ვერა ნეფარიძე

*22 ივნისი, საბჭოთა კავშირთან ფაშისტური გერმანიის ომის დაწყების თარიღი არ გამოჰპარვიათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. როგორ იყენებდნენ ფაშისტები და სოციალისტები არტს? ბიბლიოთეკის პლაკატისა და ესტამპის ფონდში დაცული ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდის პლაკატები გუშინ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა ორი ავტორიტარული რეჟიმის პროპაგანდის მსგავსებებსა და განსხვავებებს.*

გამოფენის ძირითადი ნაწილი საბჭოური "ხელოვნებით აგიტაციის" ნიმუშებს ეთმობოდა. თუმცა, საგანგებოდ კავკასიელებისთვის გერმანელების მიერ შექმნილი ექვსიოდე პლაკატი, რომლებიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მათი საბჭოური "წარმოებისგან", ნათელ სურათს ქმნიდა, რომ მაშინდელი პროპაგანდისტული ბრძოლის ხერხები თითქმის ერთნაირი იყო.

"ამ გამოფენის მოწყობა კარგა ხანია გვინდოდა, მაგრამ ძირითადად, ტექნიკური მიზეზების გამო, აქამდე ვერ მოხერხდა", - გვითხრა ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატისა და ესტამპის ფონდის განყოფილების წარმომადგენელმა დოდო მჭედლიშვილმა. ამჯერად ეს ტექნიკური დაბრკოლება ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა "გოეთეს ინსტიტუტის" დახმარებით შეძლეს. გერმანელები გამოფენის ორგანიზატორებს ძირითადად ჩარჩოებითა და სტენდებით დაეხმარნენ; ამას გარდა, ექსპოზიციას დაამატეს ექვსი გერმანული პლაკატი. ეს პლაკატები რამდენიმე წლის წინათ ბავარიის სახელმწიფო არქივში შემთხვევით აღმოაჩინა ლაშა ბაქრაძემ; გოეთეს ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა კი გამოიწერა და ცხადია, საქართველოში ამ პლაკატების ასლები გამოაგზავნეს. ექვსიდან სამი პლაკატი საქართველოს მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული; მათ შორის ორი ქართულ ენაზეა, ერთი კი - რუსულად. Народы Кавказа, Мы несем вам освобождение от большевистского ига! - იუწყება ერთ-ერთი; თუმცა, ისევე როგორც დანარჩენ ხუთს, მასაც საქართველომდე ჩამოღწევა არ ღირსებია. სხვათა შორის, მათ ავტორებთან ერთად, ისიც უცნობია, ომამდე იქნა ისინი შესრულებული თუ ომის დროს.





*ფაშისტური და სოციალისტური პლაკატები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს.*

სამაგიეროდ, გაცილებით მრავალრიცხოვანია (სულ 60 პლაკატია დარბაზში წარმოდგენილი) საბჭოური პროპაგანდისტული პლაკატები. Вот что несет тебя фашизм; Так будет с фашистским зверем! - აცნობებს საბჭოთა ხალხს ვ. კოკორენკინის მიერ შესრულებული პლაკატი; ამავე მხატვრის მორიგი ნამუშევარი კი ამგვარია: პლაკატზე გამოსახულია დანებჩაცემული მგელი წარწერით: "დაჰკარ ფაშისტ ქვეწარმავალს!" განსაკუთრებული მაინც ამ პლაკატებზე მოყვანილი პოეტური სტროფებია. თუნდაც ასეთი:

"Зачем свинье культура и
наука
ведь кругозор ее до
крайности убог
"Мейн Кампф" - предел ее
свинного хрюка
А идеал - фельдфебельский
сапог!"

პლაკატებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია ომამდელი და ომისდროინდელი გამოცემები: წიგნები, ფოტოები, მხატვრული ფილმების აფიშები; მაგალითად: ფოტოკადრები ფილმიდან: "ღიმილის ბიჭები"; შოთა მანაგაძის ფილმის "ჯვარცმული კუნძულის" აფიშა; მიხეილ მრევლიშვილის წიგნი "ხარატაანთ კერა / საბედისწერო მოსაწვევი" და ა.შ. როგორც ორგანიზატორებმაც განმარტეს, ამ ექსპოზიციის მიზანი არ ყოფილა მხოლოდ პროპაგანდისტული საბჭოთა პლაკატების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის; არამედ, ის, რომ თავი მოყეარათ ხელოვნების ნიმუშებისთვის, რომლებიც ნათელ სურათს შეგვიქმნის ათეული წლების წინანდელი ცხოვრების შესახებ. თუმცა კი, გამოფენის იდეა მაშინ მომწიფდა, როდესაც (წელს, 9 მაისს) გოეთეს ინსტიტუტში ლაშა ბაქრაძემ ომის დროინდელი გერმანული პლაკატების გამოფენა მოაწყო. გუშინდელ პრეზენტაციაზე ლაშა ბაქრაძე ერთ-ერთი მომხსენებელიც იყო და მანვე გაიხსენა ის ქართველები, რომლებიც საკმაოდ ბევრნი იყვნენ ფაშისტთა რიგებში და არანაკლებ დარწმუნებულები იყვნენ, რომ იბრძოდნენ სამშობლოსთვის, ვიდრე მათი საბჭოთა თანამემამულეები. ხოლო საკუთარი სიტყვების საილუსტრაციოდ სტუმრებს ურჩია შეედარებინათ თუნდაც ამ ორი ავტორიტარული რეჟიმის - ფაშისტებისა და საბჭოთა სოციალისტების პროპაგანდისტული პლაკატები, თუ რამდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს. დაბოლოს, როგორც გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ განაცხადა, მისი სურვილია, მსგავსი თემატური გამოფენები ხშირად გაიმართოს ამავე დარბაზში, რასაც, თუკი სურვილის დონეზე არ დარჩება, ალბათ ყველა მიესალმება. მათ კი, ვინც ვერ მოასწრო, ექსპოზიციის ნახვის შესაძლებლობა დღესაც ექნებათ.

# 25 ათასი ნარკომანი

## ნუ გახდებით თვითმკვლელები - მოგიწოდებენ სტუდენტები

ია ვეკუა

ორიოდე წლის წინ თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის მთელ პერიმეტრზე მოძრავი ტროლეიბუსის გარე "ფასადზე" უცნაური ნახატი გაჩნდა. ფერადი ყვავილები და პეპლები ადამიანის ორ სტილიზებულ ფიგურასთან ერთად ანტინარკოტიკული კამპანიის სიმბოლოდ იქცნენ. თუმცა, სატრანსპორტო-სააგიტაციო აქციამ თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. ამის შემდეგ იმავე ხასიათის ჭრელი პანო ზემელზე მდებარე ერთ უფუნქციო კედელზეც გაჩნდა. აქციის მხატვრულად გამფორმებლები, იმ დროს ჯერ კიდევ არარექტორ გია ბუღაძის, სტუდენტები - ე.წ ტროპისტები იყვნენ, რომლებმაც ნახატს კოხტა დევიზიც გაუკეთეს: "არ გაცვალო ცაში ვარსკვლავები და შენ გულში სინდისი ნარკოტიკებზე". მეორე დღესვე ადგილობრივმა ოხუნჯებმა საპასუხო წარწერა გააკეთეს "ტეხავს კოტიკა ბეზ ნარკოტიკა".

...ეს ისე, თბილისური უახლესი წარსულის გასახსენებლად, აწმყო კი ასეთია: ოფიციალურად საქართველოში 25 ათასი ნარკომანია, არაოფიციალური მონაცემებით კი მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ერთი შეხედვით, ამ ციფრის შემცირებისთვის უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია თუ სახელმწიფო პროგრამები იღვწიან, თუმცა რეალური სურათი მხოლოდ ახალი ნარკოტიკის შავ ბაზარზე შემოსვლით თუ იცვლება - დღეს სუბოტექსი, ხვალ "ვინტი".

ნარკომანიის წინააღმდეგ თავისებურად იბრძვიან მისი მომხმარებლების ძირითადი კატეგორიის თაობის წარმომადგენლებიც. გუშინ გალერეა "ჰობში" ანტინარკოტიკული პლაკატების გამოფენა და გამარჯვებულთა დაჯილდოების მოკრძალებული, თუმცა საკმაო ოპტიმისტური ცერემონიალი გაიმართა.




*გამარჯვებული შორენა ოთხოზურია.*

ღონისძიება საქართველოს ანტინარკოტიკული ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. ეს არის ერთგვარი კონგლომერატი (გნებავთ, ჰოლდინგი), რომელიც ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ მებრძოლ უამრავ ორგანიზაციას აერთიანებს. გამოფენის ფინიშამდე მიყვანაში გერმანიის საელჩო, ევროკავშირი და გალერეა "ჰობი" დაეხმარა. ცხადია, ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია სამხატვრო აკადემიას, რომლის სტუდენტებმა პლაკატების სახით წარმოადგინეს საკუთარი განწყობა ნარკოტიკების მიმართ.

მათი განწყობა ერთმნიშვნელოვანია - ნარკოტიკი მომხმარებელს მარიონეტად, თვითმკვლელად, სხვისთვის სახიფათოდ აქცევს. ასეთ ადამიანს საზოგადოება აუცილებლად გარიყავს, ამიტომ მომხმარებელმა, პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოს პრობლემა და თვითგადარჩენის გზები. ერთი სიტყვით, გამოფენის მონაწილენი ამ პროცესის მხოლოდ მაყურებლები არიან და ერთადერთი რაც შეუძლიათ, ნარკოტიკებზე დამოკიდებულთათვის ასეთი რჩევის მიცემაა. დანარჩენი კი უკვე ნახსენები ორგანიზაციისა და მისი მსგავსი გაეთიანებების საქმეა.

კონკურსის შედეგები ასე განაწილდა: მეოთხე ადგილი ნინო ხვედელიანს ერგო, მესამე და მეორე ადგილები ნინო ნიკოლოსიანმა დაიკავა, რადგან ერთბაშად ორი ნამუშევრით იყო წარმოდგენილი. პირველი ადგილი კი შორენა ოთხოზურიამ დაისაკუთრა. იგი გამოფენის, მართლაც, საუკეთესო ნამუშევრის ავტორი იყო: ახალგაზრდა მამაკაცის ნეგატივად დაბეჭდილი პორტრეტის გმირი თავს იკლავს, იარაღად კი ნემსი აურჩევია. ოთხოზურიას პლაკატის დევიზიც, სწორედ, ამის პასუხია: "ნუ ჩაიდენ თვითმკვლელობას!"

სამივე გამარჯვებულს გადაეცათ 500 ლარი, რომლითაც სპეციალურ მაღაზიაში მხატვრისთვის საჭირო მასალას და სხვა ნივთებს შეიძენენ. პირველ ადგილზე გასული პლაკატი უახლოეს მომავალში დაიბეჭდება (მომავალში დანარჩენი პლაკატებიც), რომლებიც ანტინარკოტიკული აქციებისთვის გამოიყენება.

შეგახსენებთ, რომ 26 ივნისი ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი აქციებია დაგეგმილი. საკვირაოდ გადაკეტილ რუსთაველზე კი კონცერტი გაიმართება.

# "ქიმერიონის" კონკურსი

## ახალგაზრდა პოეტების შუამდგომელი

*ლიტერატურული კონკურსები არ გვაქვსო, ნამდვილად ვერ დავიწუწუნებთ. მაგრამ, როგორც ჩანს, არაა საკმარისი. შემოქმედთა კავშირ "ქიმერიონს" გადაწყვეტილი აქვს, ახალგაზრდა პოეტების წარმოჩენას ტრადიციული, ყოველწლიური კონკურსი მიუძღვნას.*

"ამ სახის კონკურსი მიიზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც პოეზია გაუხდიათ ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ მიზნად, ნიჭის რეალიზების საშუალება კი არა აქვთ. ამის გარდა, ახალგაზრდა თაობამ, დღეს "გზადაკარგულს" რომ უწოდებს საკუთარ თავს, უნდა იგრძნოს, რომ მისი ხალასი სიტყვა სჭირდება საქართველოს", - ასეთია მთავარი მოტივაცია, რაც საორგანიზაციო კომიტეტში კონკურსის აუცილებლობის მთავარ არგუმენტად მიაჩნიათ.

შემოქმედთა კავშირი "ქიმერიონი" 2003 წელს დააარსეს ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა და ავტორიტეტულმა ხელოვანებმა. კავშირის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი პოეზიას უჭირავს. "ქართული ლექსის გადარჩენას ემსახურება "ქიმერიონი", - ამბობს კავშირის თავმჯდომარე ვანო იბერი და გვაცნობებს, რომ ახალგაზრდა პოეტთა ლიტერატურული კონკურსის ორგანიზებაში მის კავშირთან ერთად, მონაწილეობენ: დიმიტრი ყიფიანის საზოგადოება; ასევე, ლიტერატურული სალონები "მაჯახელა" და "დიაოხი".

კონკურსი 30 წლამდე ახალგაზრდების პოეტურ ქმნილებებს განიხილავს. მსურველებმა სამი ლექსი ან ორი ბალადა უნდა წარადგინონ გაზეთ "ნერგის" რედაქციაში. ორგანიზატორთა სურვილია, კონკურსი ტრადიციული გახდეს. თუმცა, საამისოდ მათ პირველ რიგში მატერიალური მხარდამჭერები უნდა აღმოაჩინონ. ქველმოქმედების იმედად, "ქიმერიონს" განსაზღვრული აქვს დააწესოს პოეტების - ლაშა გახარიასა (ნომინაცია: ლირიკა) და ნუგზარ ბერაძის (იგივე ღიღინო ცახურის, ნომინაცია: ბალადა) სახელობის პრემიები. "ჩვენი დუხჭირი ცხოვრების გამო ბევრისთვის იქნებ უცნობი, მაგრამ მართლაც უნიჭიერესი პოეტები", - ასე მოიხსენიებენ გარდაცვლილ მეგობრებს ორგანიზატორები.

კონკურსს ჰყავს ჟიური დათო მაღრაძის, ვახტანგ ჯავახაძის, მზია ხეთაგურის, შერმადინ ქალდანისა და ქეთი დოლიძის შემადგენლობით. ისინი ახალგაზრდა პოეტების ნამუშევრებს 20 ივლისამდე დაელოდებიან. 1 აგვისტოს შვიდ გამარჯვებულს დაასახელებენ, ხოლო ფინალური საღამო შვიდი აგვისტოსთვის არის დაგეგმილი. გამარჯვებულებს ფულადი ანაზღაურება, დიპლომები და სუვენირები ელით. რაც მთავარია, ჰპირდებიან, რომ კონკურსი იქნება სათანადო შუამდგომელი გამომცემლებთან. ***24 საათი***

# სახლი, რომელშიც გულები იმსხვრევა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ერთხელ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: "ჩვენ ჯერ ვაშენებთ ჩვენ სახლებს და შემდეგ ისინი აწყობენ ჩვენ ცხოვრებას". ძალაუნებურად მახსენდება ეს სიტყვები, როდესაც კონექტიკუტის შტატის ჩრდილო-დასავლეთის პატარა მიგდებულ სოფელ უორენში მდებარე სახლს ვეწვევი ხოლმე. უორენი, როგორც მისი მცხოვრებლები ამბობენ, "უსაფრთხოდაა დაშორებული" შტატის აღმოსავლეთ რაიონისგან, სადაც მდიდარი ნიუ იორკის სული მეფობს.

ბუნებრივიც და სიმბოლურიცაა, რომ სწორედ აქ შეხვდა, დაქორწინდა და ბედნიერი 47 წელი გაატარა ორმა საოცარმა ადამიანმა - მწერალმა ფრენსის დიუ პლესი გრეიმ და მხატვარმა კლივ გრეიმ. "ეს ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც იდეალურად გაირუჯო მზეზე მინსკში", - ხუმრობდა ფრენსისი ჯერ კიდევ ლუკაშენკოს მეფობის დაწყებამდე.

ფორმალურად კლივ ფრენსისი არ მოუტაცებია, არ გაუხვევია ქურქში და არ დაუდია ბედაურის უნაგირზე. მაგრამ მან თავისი გულის რჩეული, ფაქტობრივად, სიმდიდრესა და ბრწყინვალების გარემოს გამოჰგლიჯა და აიძულა ემსახურა მუზებისათვის, რაც, როგორც პუშკინი ამბობდა, "ვერ იტანს ამაოებას". ფრენსისისთვის უორენი მიხაილოვსკი გახდა.

მწერლის მშობლები ევროპისა და ამერიკის მაღალი საზოგადოების ეპიცენტრში იყვნენ. ფრენსისის დედა ცნობილი რუსი ლამაზმანი ტატიანა იაკოვლევა იყო, ემიგრანტი, რომელიც პარიზში ცხოვრობდა და რომელსაც ვლადიმერ მაიაკოვსკისთან მშფოთვარე რომანი ჰქონდა. მაგრამ იგი, ონეგინის ტატიანას მსგავსად, ცოლად გაჰყვა სხვას - ფრანგ დიპლომატს ვიკონტ ბერტრან დიუ პლესის, რომელიც, როგორც თვითონ აღიარა, არასოდეს უყვარდა. ასე რომ, ფრენსისს სიყვარულის შვილს ვერ დაარქმევ, თუმცა, ჭორაობდნენ, რომ მამამისი ავტორი იყო ნაწარმოებისა "ღრუბელი შარვალში".

პოეტისა და დიპლომატის შემდეგ შოუმენ ალექსანდრ ლიბერმანის ჯერი დადგა. ფრენსისის დედა და მამინაცვალი ევროპიდან ამერიკაში ჩამოვიდნენ ლატაკები, როგორც ეკლესიის თაგვები. გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, 1941 წელს, ნიუ იორკში გამოიქცნენ. და თუმცა ტატიანა და საშა ეკლესიის თაგვებივით ღარიბები იყვნენ, მაღალი საზოგადოების კიბეზე ჩექმებიანი კატებივით დაიწყეს აღმასვლა. ტატიანას ტიტულმა და ალექსანდრეს მოხერხებულობამ მათ გზა გაუხსნა ნიუ იორკის ფინანსური არისტოკრატიის სახლებში. სოციალურ კიბეზე აღმავალ მშობლებს ფრენსისისთვის არ ეცალათ. მან თავის მემუარებში ისინი მოკლე, მაგრამ ამომწურავი სათაურით მოიხსენია - "ისინი" ("Them"). სწორედ "ისინი" და არა "ჩვენ".

ნიუ იორკში კატებად ქცეულმა თაგვებმა ომით და ოკუპაციით ტრავმირებული ათი წლის ფრენსისი სასწრაფოდ გადაულოცეს ბაბუას როჩესტერში, ბაბუას, რომელიც მას მანამდე არ ენახა. თვითონ კი დასახლდნენ ნიუ იორკის ფეშენებელურ რაიონში - ცენტრალ-პარკ საუზში. გოგონა თავს მიტოვებულად და მარტოდ გრძნობდა. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ის მშობლებმა თავისთან, მანჰეტენში გადაიყვანეს, მის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ და თითქმის არასოდეს ერთად არ უსხდნენ მაგიდას. ყოველ საღამოს ტატიანა და ალექსანდრე დაკავებული იყვნენ ელიტურ საზოგადოებასთან "კავშირის გაბმით", უიკ-ენდებზე კი თვითონ აწყობდნენ საღამოებს ისტ 70-სტრიტის სახლში, სადაც შემდგომში საცხოვრებლადაც გადაბარგდნენ. ლიბერმანი მოხერხებულად მიიწევდა წარმატების კიბეზე და საბოლოოდ ჟურნალების კონცერნის "Conde Nast" ლეგენდარული რედაქტორ-დირექტორი გახდა (მანამდე იგი მოდების ცნობილი ჟურნალის "Vogue"-ის სამხატვრო რედაქტორი იყო). ტატიანაც წინ მიიწევდა. პოეტის ყოფილი მუზა წარმატებულ მოდელიერად იქცა და ვიკონტესას ტიტულს არაოფიციალური ტიტული - საქსი მიუმატა ("საქს ფიფზ ავენიუ" - ფეშენებელური უნივერმაღი ნიუ იორკში).

მაგრამ რაც უფრო წარმატებული ხდებოდნენ დედა და მამინაცვალი, მით უფრო იზრდებოდა ფრენსისის გაუცხოება. აი, მაგალითი, რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს. როდესაც გოგონას მამა ხმელთაშუა ზღვაში საჰაერო ბრძოლაში დაიღუპა, დედამ მთელი წლის განმავლობაში არ ჩათვალა საჭიროდ მისთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი! ბოლოს, როდესაც გადაწყვიტა თქმა, ეს თვითონ კი არა, ოჯახის მეგობრის საშუალებით გააკეთა. თვითონ იმ საღამოს მაღალ საზოგადოებაში სადილობდა. 1942 წელს ფრენსისი შევიდა სკოლაში "სპენსი". ერთხელ სკოლის ბიბლიოთეკაში მას გული წაუვიდა. ექიმმა დაადგინა, რომ გულყრის მიზეზი არასაკმარისი კვება იყო! ეს ცნობა ლიბერმანებისთვის სიურპრიზი გამოდგა. სახლში არავინ იცოდა, რომ გოგონა არ ჭამდა საჭმელს, რომელსაც მოსამსახურე მისთვის ტოვებდა, სწორედ რომ ტოვებდა და სწორედ - მოსამსახურე. ყველაფრის მიუხედავად, თავის მემუარებში "ისინი" ფრენსისი "მათზე" შემწყნარებლურად წერს, და ცდილობს, გაამართლოს კიდეც მათი უგულობა. მაგრამ მისი ბავშვები აღშფოთებული არიან ცნობილი ბებიის საქციელით.

ბერნარდ-კოლეჯში სწავლისას ფრენსისი ფილოსოფიამ გაიტაცა. იგი სულ უფრო შორდებოდა მშობლებს, მათ ამაოებით აღსავსე ცხოვრებას. დადიოდა ოპერაში, ბევრს კითხულობდა. "მე სულ უფრო მივისწრაფოდი ინტელექტუალებისკენ, ბიჭებისკენ, რომლებიც ვიოლინოზე უკრავდნენ და შოპენჰაუერის ციტატებს ამბობდნენ. "ჩემი სექსუალური ფანტაზია ლიბერალური რადიოსადგურის დიქტორთან შეხვედრის სურვილს არ ცდებოდა", - გულღიად იხსენებს ფრენსისი.

საბოლოოდ გოგონას ბედმა გაუღიმა. კონექტიკუტში ამხანაგებმა მას გრეი გააცნეს. მალე დაქორწინდნენ. მაშინ ფრენსისი 26 წლის იყო. კლივ გრეი უზომოდ დაჯილდოებული, შემოქმედებითი ბუნების ადამიანი იყო. ის ხატვას ეუფლებოდა ჟაკ ვილონთან, მარსელ დიუშამპის ძმასთან. ფრენსისთან შეხვედრის მომენტში გრეი უკვე განმარტოებით ცხოვრობდა უორენში, თავისი მშობლების - ლიტველი ემიგრანტების სახლში, რომლებიც ამერიკაში წარმატებულ საბანკო ბიზნესს აწარმოებდნენ. კლივი ფრენსისის მამინაცვლის სრული ანტიპოდი იყო. პირველი განდეგილი მხატვრის ცხოვრებით ცხოვრობდა, მეორე კი რეკლამისა და თვითრეკლამის განსახიერება იყო. გრეი, რომელიც ჩამოშორდა თავის მშობლებს, რომლებიც არა მუზებს, არამედ მამონს ემსახურებოდნენ, ცდილობდა, იმავე გზაზე დაეყენებინა მისი ახალგაზრდა ცოლი. ის ფრენსისს აქეზებდა მხატვრული პროზის შექმნაში და მას დაეხმარა პრესტიჟულ ჟურნალ "ნიუ იორკერში" პირველი მოთხრობის დაბეჭდვაში. ეს 60-ანების შუა წლები იყო. შემდგომში მოთხრობა ფრენსისის პირველი რომანის "შეყვარებულები და ტირანები" ("Lovers and Tyrans") პირველი თავი გახდა. რომანი ამერიკის ფემინისტურ წრეებში მოვლენად იქცა. ამას მოყვა სიმონ ვაილისა და მარკიზ დე სადის ბიოგრაფიები. ლიბერმანებთან მან საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა. "ჩემ მშობლებს უნდოდათ, რომ მე გავმხდარიყავი ფრანსუაზა დე ლა რენტა ან ანა ვინტური (ცნობილი მოდელიერები). ჩემ მამინაცვალს ეზიზღებოდა ინტელექტუალები და აღმერთებდა მასმედიას. მე მგონი, 70-ანების დასაწყისიდან მას ერთი წიგნიც კი არ გადაუშლია", - იხსენებს ფრენსისი.

მაგრამ გრეიმ, თუმცა ის აბსტრაქციონისტი იყო, გადაწყვიტა, ფრენსისი გამოეგლიჯა ბრწყინვალების სამყაროდან არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. ამ მიზნით მან ცოლი მივარდნილ უორენში გაიტყუა და ისინი გრეის წყნარ, მყუდრო, "დაუვარცხნელ", XVIII საუკუნეში უბრალო ქვისგან აშენებულ სახლში დასახლდნენ. სიამტკბილობით ცხოვრობდნენ, მაგრამ მუშაობდნენ ცალცალკე. ორივეს თავისი ატელიე ჰქონდა. ერთში ფრენსისი წერდა, მეორეში კი კლივი ხატავდა. ატელიეები ქუჩის მოპირდაპირე მხარეებზე მდებარეობდა. "როგორც მწერალი და პიროვნება, მე ჩემი მეუღლისა და ამ სახლის პირმშო ვარ, - ამბობს ფრენსისი და თითქმის იმეორებს ჩერჩილის სიტყვებს, - ჩვენ ორივენი ვეძებდით თავშესაფარს ამ სახლში; მე - ჩემი ოჯახისგან, ის - თავისი. და ერთმანეთში".

სახლი უორენში იყო ბოჰემის სახლი, სრულიად საწინააღმდეგო ლიბერმანების თეთრი და ცივი სახლისა. გრეების სახლში სავარძლები თითქოს წიგნების კითხვისა და მუსიკის მოსმენისთვის იყო განკუთვნილი. კედლები წიგნის თაროებითა და სურათებითაა მოფენილი, რომელიც მათ მეგობარმა მხატვრებმა აჩუქეს. მათ შორისაა რობერტ მაზერველის და ელენ ფრანკენტალერის ნახატები, ისეთი ოსტატების ფოტოები, როგორებიც არიან რიჩარდ ავედონი და ირვინგ პენი. განსაკუთრებული ადგილი უკავია მარკ შაგალის ნახატს, რომელიც ფრენსისისა და კლივის საქორწინო მოსაწვევი ბარათის მეორე მხარესაა დაბეჭდილი. ფრენსისის საძინებელი ოთახის კომოდზე შეყვარებულების ფოტოა, რომელიც მათი ქორწინების დღეს მარლენ დიტრიხთან ერთად არის გადაღებული. ფოტოს ორივე მხარეს რუსული თოჯინებია განლაგებული, რომლებიც ფრენსისმა ოკუპირებული საფრანგეთიდან ჩამოიტანა. შაგალის ნახატის ქვეშ მოთავსებული ბევრი პალეხის ზარდახშაც რუსეთს გვახსენებს.

დრომ ფრენსისის მშობლებიც შეცვალა. ბრწყინვალე ცხოვრებით გადაღლილები, სიბერეში ისინი მშიდ და ბოჰემურ ცხოვრებას მიეცნენ. ისინი ქალიშვილის სახლთან ახლოს გადასახლდნენ და სამაგალითო ბებია და ბაბუა გახდნენ, შვილიშვილებს ერთიორად აძლევდნენ იმას, რაც შვილს დააკლეს. მეტიც, სიძის გავლენით, ალექსანდრ ლიბერმანი სკულპტორი გახდა. ახლა მისი მონუმენტური რკინის სკულპტურები გრეების სახლის წინ გადაშლილ მდელოს ამშვენებს.

რაც შეეხება ფრენსისს, ახლა სულ მარტო ცხოვრობს, მარტო თავის მოგონებებთან და პუდელთან ერთად, რომელსაც ფლობერი ჰქვია. ეს ყოველთვის მაგონებს ვერტინსკის შანსონს, სადაც პუდელი არა, მაგრამ თუთიყუში ფლობერი სევდიანად მღერის "ჟამე, ჟამე" და ფრანგულად ტირის...


კლივ გრეი.


ფრენსის დიუ პლესი გრეი.

# ყველაფერი ჰილარის შესახებ

## გაცხარებული დებატები ერთი წიგნის გამო

ედვარდ კლეინი ცნობილი ავტორია. ვინც კითხულობს ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, ჩათვალოს, რომ კლეინსაც კარგად იცნობს. "ნიუ იორკ ტაიმსისა" და "ნიუსუიქის" ყოფილი რედაქტორის კალამს სამი ბესტსელერი წიგნი ეკუთვნის კენედების შესახებ.

ეხლავე მოგახსენებთ რა შუაშია ის ამჯერად. გაირკვა, რომ კლეინი ჯეკი კენედი-ონასისის სიცოცხლის ბოლო დღეებზე მუშაობისა და ყოველკვირეული საგაზეთო სვეტების წერის პარალელურად ერთ ნოვატორულ იდეაზე მუშაობდა. თუმცა, თვითონ გვითხრას:

"უცებ დამარტყა, რომ ჰილარი კლინტონმა ჩვენს დროში აბსოლუტურად ყველა კენედი შეცვალა. არ არსებობს არც ერთი ქალი და კაცი, რომელიც ამ ქალბატონზე უფრო მძაფრ ინტერესს იწვევდეს პუბლიკაში. ეს გავიაზრე, ცოტა რამ გამოვიკვლიე და მივხვდი, რომ შეიძლებოდა მის შესახებ რაღაც ახალი მეთქვა".

ეს ახალი კლეინმა მართლაც დაწერა. სამშაბათს კი წიგნის პრეზენტაციაც გამართა. სათაური თავის ნაშრომს ისეთი დაარქვა, მოდი და ნუ იყიდი: "სიმართლე ჰილარის შესახებ: რა იცოდა და როდის იცოდა მან, და რამდენად შორს წავა იმისთვის, რომ პრეზიდენტი გახდეს".

ასეთი სათაურის დარქმევა მართლაც საჭირო იყო. ბოლო დროს ხომ ჰილარი კლინტონზე ისედაც ათასობით თაბახი დაიხარჯა, ყოფილმა პირველმა ლედიმ ბესტსელერი ავტობიოგრაფიაც გამოსცა. ამ ფონზე განსაკუთრებით მძაფრდება ცნობისმოყვარეობა და მნიშვნელობას იძენს კითხვა - რა არის ამბიციური მწერლის ახალი სათქმელი კლინტონების ოჯახის შესახებ?




დავიწყოთ იმით, რომ "სიმართლე ჰილარის შესახებ" კლეინის მეხუთე წიგნია ცხრა წლის განმავლობაში. უცნაურად გრძელი და ექსპრესიული სათაურის გარდა, საინტერესოა თვით გამომცემლის შენიშვნაც: "ეს შოკის მომგვრელი ახალი კვლევა" გახლავთ. ფაქტია ისიც, რომ მკითხველი "დაება". ჰილარის მოძულეთა გულები ერთიანად აჩქროლდა და შეკვეთებიც ისე გაიზარდა, რომ გამომცემლობა "პინგვინის" პატარა ფილიალი "სენტინელი" იძულებული გახდა 350 ათასიანი ტირაჟით გამოეცა წიგნი.

ინტერესს ისიც აღვივებს, რომ მეორე მხარე - კლინტონების მხარე, ედვარდ კლეინის ნაშრომს საშინლად აფასებს. "ეს წიგნი საზიზღარი ვულგარული დეტალებით და შეთითხნილი ბრალდებებითაა სავსე. მისი ავტორი კი ის კაცია, რომელიც ფულისთვის ყველანაირ ნაგავს წერს", - ასეთია კლინტონის პრეს-მდივნის ფილიპ რაინის ოფიციალური კომენტარი.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ კლეინის მიერ გამოყენებული ცნობები წინათაც დაბეჭდილა. ეს 336-გვერდიანი კვლევა, როგორც "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი ენ გერჰარტი ირწმუნება, ისე ვრცლად ეყრდნობა ამ ცნობებს, რომ კლეინის ბრალი მკითხველის თვალში აშკარად მსუბუქდება.

ავტორი ამტკიცებს, რომ ჰილარი კლინტონმა მშვენივრად იცოდა მეუღლისა და მონიკა ლევინსკის კავშირის შესახებ მანამ, სანამ ამის შესახებ საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი. ამის დასტურად კლეინს მყარი საბუთი არ გააჩნია. ის ეყრდნობა ანონიმ რესპონდენტს დემოკრატების ნაციონალური კომიტეტიდან და, რაც მთავარია, არც ამ წყაროს ინფორმაციაა "პირველი ხელის".

ასეა თუ ისე, ედვარდ კლეინმა ჰილარისა და მისი მეუღლის შესახებ ბრალდებების სრულიად ახალი წყება აღმოაჩინა; ახალი მათთვისაც, ვინც ფიქრობდა, რომ ჰილარის ყველა სკანდალი უკვე გამსკდარი და გამომზეურებული იყო. ალბათ, ამიტომაც დებატები ჯერ კიდევ ცხელ-ცხელი წიგნის შესახებ ამერიკულ პრესაში არ ცხრება. People, New York Post, Vanity Fair - წიგნს ავად თუ კარგად, ყველა ეხმიანება. კრიტიკულად განწყობილი ფრთის ერთი ნაწილი კი იმასაც ეჭვობს, რომ კლეინის წიგნი კონსერვატორების შეკვეთა იყო, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონის მონაწილეობის შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ.

ამ მოტივის დამცველები კლეინის წიგნს ადარებენ გახმაურებულ და კრიტიკულ გამოცემას Unit for Command-ს ჯონ კერის სამხედრო სამსახურის შესახებ, რომელმაც კერის ავტორიტეტი საარჩევნო კამპანიის დროს მკვეთრად დასცა.

თვითონ ავტორი, ცხადია, ამ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ წიგნში გაკეთებული დასკვნები, მხოლოდ და მხოლოდ, მას ეკუთვნის და შეკვეთაც არ ყოფილა. რაც შეეხება Unit for Command-თან შედარებას, კლეინი დასძენს: "თუ ამ წიგნის მიზანი იყო ჯონ კერის ხასიათის და თვისებების წარმოჩენა და თუ ამ წიგნს ამ კუთხით ადარებენ ჩემსას, მაშინ პრობლემა არ მაქვს".

ასეა თუ ისე, საგამომცემლო სკანდალი უკვე შედგა. ედვარდ კლეინის წიგნს კი მკითხველი გამოუჩნდა. თუ როგორ იმოქმედებს ის ჰილარი კლინტონის რეიტინგზე, ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს.

პაულო კოელიოს სვეტი

# თხილამურის ჯოხი და წესები



2003 წლის შემოდგომაზე სტოკჰოლმის ცენტრში გვიან ღამით მივსეირნობდი. ქალმა ჩამიარა, თხილამურის ჯოხებით მიდიოდა. ერთი ფიქრი ვიფიქრე, ალბათ, რაღაც ჭრილობა აწუხებს და ასე იმიტომ დადის-თქო, მაგრამ მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ საკმაოდ სწრაფად მოძრაობდა, რიტმული ნაბიჯებით, ისე, თითქოს, თოვლით დაფარულ ზედაპირზე მისრიალებსო. არადა, თოვლი არსად იყო, ფეხქვეშ სტოკჰოლმის ქუჩების ასფალტის მეტი არაფერი გვეგო. ამიტომაც ბოლოს დავასკვენი: "ეს ქალი, ალბათ, გიჟია, აბა, სხვანაირად, როგორ შეუძლია ასფალტზე თხილამურის ჯოხებით ისრიალოს?"

სასტუმროში დაბრუნებულმა ამ ინციდენტის შესახებ ჩემს რედაქტორს ვუამბე. რედაქტორმა აქეთ მომდო შარი, გიჟი თვითონ ხარო. და გაირკვა, რაც მე მინახავს, ყოფილა განსაკუთრებული ტიპის ვარჯიში, რომელსაც "სკანდინავიური სიარული" ჰქვია. თურმე, ამ დროს ფეხები, მკლავები, მხრები და უკანა კუნთები ერთიანად მოძრაობს და სხეულიც კაჟდება.

ქუჩაში სეირნობა (და ეს დროის გაყვანის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ხერხია, მშვილდოსნობასთან ერთად) იმიტომ მიყვარს, რომ ამ დროს ვაკვირდები გარემოს, ვფიქრობ, ვამჩნევ ჩემს გარშემო არსებულ ძვირფას დეტალებს, ვესაუბრები მეუღლეს, რომელიც ჩემს მხარდამხარ მიაბიჯებს. "სკანდინავიური სიარული" კი... რა გითხრათ, რედაქტორის განმარტებებს ინტერესით ვუსმინე, მაგრამ დიდად ვერ მოვიხიბლე და იქვე დავივიწყე.

თუმცა, ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ თხილამურის ჯოხის გახსენება მაინც მომიხდა. სპორტულ მაღაზიაში შევედი, მშვილდისთვის მსურდა რაღაც ნაწილების ყიდვა და იქვე მთის მოთხილამურეთათვის განკუთვნილი ჯოხები შევნიშნე - ალუმინისგან დამზადებული, ძალიან მსუბუქი, ის იმავე ტელესკოპური სისტემის საშუალებით იკეცებოდა, როგორც კამერის შტატივი. გამახსენდა "სკანდინავიური სიარული" და ჩემთვის გავიფიქრე: "ხომ არ მეცადა? ვიყიდე ორი წყვილი, ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის. სახლში ორივემ ჯოხები ჩვენ-ჩვენ სიმაღლეზე დავაყენეთ და მეორე დღეს, გადავწყვიტეთ, ჯოხებით გვესეირნა.

და რა შესანიშნავი რამ ყოფილა! ავედით მთაზე, შემდეგ ძირს დავეშვით, განცდა კი მართლა ისეთი გვქონდა, თითქოს, სხეულის ყოველი კუნთი მოძრაობდა, ბალანსსაც უკეთ ვგრძნობდით და ნაკლებადაც დავიღალეთ. თან, ერთ საათშიც გაცილებით დიდი მანძილი გავიარეთ, ვიდრე სხვა დროს ვახერხებთ ხოლმე. მერე გამახსენდა, რომ დამშრალი წყაროს სათავესთან მინდოდა მიდამოს დათვალიერება, მაგრამ ბილიკი ისეთი ქვა-ღორღიანი იყო, რომ ვერ მოვახერხე. ახლა კი, როცა თხილამურის ჯოხი მქონდა, ვიფიქრე, რომ ამას აუცილებლად შევძლებდი და მართლაც ასე მოხდა.

მერე ჩემმა ცოლმა ინტერნეტშიც მიაგნო ცნობას იმის შესახებ, რომ "სკანდინავიური სიარულის" დროს 46 პროცენტით მეტ კალორიას წვავ, ვიდრე ჩვეულებრივი სეირნობისას. ამ ამბავმა ისე აღაფრთოვანა, რომ "სკანდინავიური სიარული" ჩვენი ყოველდღიური რუტინის ნაწილად იქცა.

ერთ შუადღეს, როცა სხვა საქმე არაფერი მქონდა, ინტერნეტში მეც გადავწყვიტე, საკითხის შესახებ დამატებითი ცნობები მომეძიებინა. მეგონა, გამიჭირდებოდა, მაგრამ ვებ-გვერდს ვებ-გვერდს მოჰყვებოდა, იყო ფედერაციები, ჯგუფები, ფორუმები, მოდელები და... წესები!

არც ვიცი, რამ მაიძულა წესებით სავსე ვებ-გვერდზე შესვლა. არადა, წავიკითხე და შიშმა შემიპყრო - თურმე, ყველაფერს უკუღმა ვაკეთებდი. თურმე, ჯოხები უფრო მაღლა უნდა დამემაგრებინა, უნდა გამომემუშავებინა ერთი კონკრეტული რიტმი, ერთ კონკრეტულ კუთხეში უნდა გამეჩერებინა ხელის მოსაჭიდი, მხარიც სხვანაირად უნდა მემოძრავებინა, იდაყვებიც, მოკლედ, უნდა დამეცვა ძალიან ზუსტად შედგენილი, ტექნიკურ წვრილმანებამდე გათვლილი წესები.

ფურცლები ამოვბეჭდე. მომდევნო დღიდან ისე დავიწყე ვარჯიში, როგორც სპეციალისტები მიუთითებდნენ. წესებს კი ვიცავდი, მაგრამ სიარულის მიმართ ინტერესი დავკარგე, გარშემო ველარაფერს ვუყურებდი, ველარც იმ წვრილმან, მაგრამ ჩემთვის ძალიან ფასეულ დეტალებს ვამჩნევდი, ბუნებაში უხვად რომ მოიძებნება, ველარც ჩემს ცოლს ვესაუბრებოდი, მოკლედ, ველარაფერზე ვფიქრობდი, წესების გარდა. დავიღალე და კვირის ბოლოს საკუთარ თავს ვკითხე: რატომ ვსწავლობ ყველაფერ ამას?

ჩემი ყოველდღიური სეირნობის მიზანი ხომ გიმნასტობა არასდროს ყოფილა. არც ის მგონია, პირველ სკანდინავიელებს, რომელთაც ეს ვარჯიში მოიგონეს, რამე სხვა ჰქონოდათ გონებაში, ვიდრე სიარულისგან სიამოვნების მიღება და სხეულის წონასწორობის აღდგენაა. მეც და ჩემი ცოლიც ინტუიციით მივხვდით, თუ რა იქნებოდა თხილამურის ჯოხის იდეალური სიმაღლე, ინტუიციით განვსაზღვრეთ ისიც, თუ სხეულიდან რა მანძილზე უნდა გვჭეროდა ჯოხი, უფრო მოხერხებულად რომ გვევლო. მაგრამ ახლა, წესების გამო, ველარ ვახერხებდი ფიქრს იმ თემებზე, რომლებზე ფიქრიც მსიამოვნებდა. მათ ნაცვლად მაღელვებდა კალორიების დაკლება, კუნთების გაკაჟება და ა.შ.

ამიტომაც ბოლოს გადავწყვიტე, დამევიწყებინა ის, რაც ვისწავლე. ასეც მოვიქეცი და კვლავაც დავიწყე ნება-ნება სეირნობა თხილამურის ჯოხით, გარემოს შეცნობა და იმ ბედნიერებით ტკბობა, რომელიც მოძრაობით გაკაჟებული სხეულის შეგრძნებას მოაქვს. ხოლო თუ ოდესმე მომინდება გიმნასტიკას გავყვე, "მოძრაობის მედიტაციის" ნაცვლად, ფიზკულტურის დარბაზს მივაკითხავ. ამ წუთს კი ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, ჩემი ინტუიციაზე აგებული "სკანდინავიური სიარულით". მერე რა რომ, 46 პროცენტით მეტ კალორიას არ ვწვავ.

ვსეირნობ ყოველდღე, და თან დანანებით ვფიქრობ - რატომ ჭირს ადამიანს წესების მანია?

www.paulocoelho.com

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

### "მილანმა" კალაძეზე ფასი შეამცირა, "ჩელსიმ" კი დელ ორნო შეიძინა

Tribalfootball-ის ცნობით, ლონდონის "ჩელსისთან" პირველი ტურის მოლაპარაკების შემდეგ იტალიურმა კლუბმა "მილანმა" ქართველი მცველის კახი კალაძის სატრანსფერო თანხა შეამცირა. თავდაპირველად "მილანი" ქართველ ლეგიონერში რვა მილიონი გირვანქა სტერლინგის მიღებას გეგმავდა, ახლა კი მზად არის, კალაძე ექვს მილიონად გაყიდოს. ამავე დროს ბრიტანული პრესის ცნობით, მხარეებმა კრესპოს მომავალზეც უნდა მოითათბირონ. მოგეხსენებათ, რომ კრესპო, რომელმაც გასული სეზონი იჯარის წესით გაატარა "მილანში", "ჩელსის" კუთვნილებაა.

სხვათა შორის, ლონდონის "ჩელსიმ" 12 მილიონი ევრო გადაიხადა "ატლეტიკის" მცველის ასიერ დელ ორნოსთვის. "როიტერსის" ცნობით, ესპანელმა ფეხბურთელმა სამწლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი.

"დელ ორნო მსოფლიო დონის ფეხბურთელია. ჩვენ დაცვის პოზიციის გამყარება გვჭირდება, ასიერს კი ეს ძალიან კარგად გამოსდის. დარწმუნებული ვარ, ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდება, "ჩელსი" კი მისი დახმარებით დიდ წარმატებას მიაღწევს როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში", - განაცხადა "არისტოკრატთა" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ.

### "იუვენტუსმა" ფეხბურთელი გაასხვისა

იტალიურმა საფეხბურთო კლუბმა "სიენამ" შეთანხმებას მიაღწია "იუვენტუსთან" ნახევარმცველის რუბენ ოლივეირას იჯარით აყვანასთან დაკავშირებით. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ ხმაურდება. ოლივეირა "სიენას" შემადგენლობაშო მომავალ სეზონს გაატარებს.

### კლიუვერტი ინგლისის დატოვებით კმაყოფილია

თავდამსხმელმა პატრიკ კლიუვერტმა, რომელმაც ახლახან კონტრაქტი გააფორმა ესპანურ "ვალენსიასთან", აღიარა, რომ ინგლისის დატოვების გამო ძალიან კმაყოფილია. შეგახსენებთ, იგი "ნიუკასლში" გამოდიოდა. ცნობილია, რომ უფრო ადრე ფეხბურთელი "ბარსელონას" ღირსებასაც იცავდა.

"ესპანური ფეხბურთი უფრო მომწონს, ვიდრე ინგლისური. ამიტომაც ამჟამად ჩემთვის ესპანეთში თამაში გაცილებით უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე საქმის ფინანსური მხარე", - განაცხადა ფეხბურთელმა.

### პაკი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა

ჰოლანდიის კლუბის "პსვ"-ს ნახევარმცველი პაკ ჩჟი სუნი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა. სამხრეთკორეელი ფეხბურთელის წარმომადგენლის ცნობით, ნახევარმცველის სატრანსფერო თანხამ ექვსი მილიონი ევრო შეადგინა. გუშინ პაკი ინგლისში გაემგზავრა სამედიცინო შემოწმების გასავლელად.

### კამარა "სელტიკის" ფეხბურთელი გახდა

გვინეის ეროვნული ნაკრების მცველმა მოჰამედ კამარამ შოტლანდიის "სელტიკთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი გუნდის ახალი მწვთნელის გორდონ სტრაჩანის პირველი შენაძენი გახდა.

"კამარა სწრაფია, აქვს გამოცდილება და ენთუზიაზმი", - განაცხადა სტრაჩანმა. თავის მხრივ, კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ ლოუელმა დასძინა: "იმედი გვაქვს, კამარა ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენია ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს. დარწმუნებული ვართ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ".

### რიკელმე "ვილიარეალის" ფეხბურთელი გახდა

არგენტინელმა ფეხბურთელმა ხუან რომან რიკელმემ ოთხწლიან კონტარქტს მოაწერა ხელი ესპანურ კლუბ "ვილიარეალთან". უკანასკნელი ორი სეზონი რიკელმემ, რომელზეც უფლებები ეკუთვნოდა "ბარსელონას", "ვილიარეალში" ითამაშა იჯარის წესით. გასული სეზონის დასასრულს კატალონიელების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელის გუნდში ყოფნის საჭიროებას ვერ ხედავს.

"ბარსელონა" რიკელმესთვის შვიდ მილიონ ევროს მიიღებს.

ოლიმპიზმი

# ბაკურიანის ტყის ზღაპარი - 2014

## საქართველო ოლიმპიურ მორევში გადაეშვა

ბიგა გურასაშვილი

*ის, რასაც საქართველო შეეჭიდა, დღევანდელი გადასახედიდან ზღაპარს ჰგავს. თუმცა, ზღაპარი მაშინ იქნება, თუ 2014 წელს ბაკურიანი XXII ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ყოველ შემთხვევაში, ვალდებულება აღებულია. გუშინ ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში ჩატარებულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) რიგგარეშე სესიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მიმართვას - ოლიმპიური ქარტიის 34-ე მუხლის შესაბამისად ეთხოვოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განიხილოს და მიანიჭოს ბორჯომს XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის განმცხადებლის სტატუსი!*


პრეზიდენტმა ზამთრის ოლიმპიური თამაშების განაცხადზე ხელი მოაწერა.

პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს სურს ისეთი ამბიციური ღონისძიების მასპინძლობა, როგორიც ოლიმპიური თამაშებია. რას ნიშნავს ეს და რა მასშტაბებზეა საუბარი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. პროექტის განხორციელება მოითხოვს არა ერთ-ორ მილიონს, არამედ ასეულობით მილიონ დოლარს. საქართველო რომ მდიდარი ქვეყანა იყოს, ალბათ, ერთი-ორი მილიარდი დოლარიც დაგვჭირდებოდა, მაგრამ რაკი ჩვენთან მუშახელი იაფია, შედარებით იაფად შეგვიძლია ამ საქმიდან გამოძრომა, თუმცა, მოგება მდიდარი ქვეყნების ადეკვატური იქნება. ეს, რა თქმა უნდა, თეორიულად, მანამდე კი ურთულესი პროცედურების გავლაა საჭირო.

გუშინდელი თავშეყრის მიზეზი პირველი ფაზის მეორე ეტაპი გახლდათ. პირველი ეტაპი მაისში იყო, როდესაც მასპინძლობის მოსურნე ბორჯომის რაიონმა საჭირო განაცხადი გააკეთა, გუშინ კი სეოკ-მა ქალაქ აპლიკანტს განმცხადებლის სტატუსი მიანიჭა და 28 ივლისისთვის, როდესაც სოკ-ში მასპინძლობის მოსურნე ქალაქთა განცხადებების შეტანის ბოლო ვადაა, ნაბიჯიც გადაიდგა. ეს ნაბიჯი, როგორც ამას ფორმალობა მოითხოვს, ქვეყნის პრეზიდენტის ხელმოწერით უნდა ყოფილიყო დამშვენებული. 16 აგვისტოს სოკ-ში 150 ათასი დოლარია შესატანი, რაც ასევე ერთ-ერთი ეტაპის განუყოფელი ნაწილია.

მეორე და მნიშვნელოვანი ფაზა: ქალაქისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რაც უკვე ძნელი მოსაპოვებელია. იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიზმის მამებმა მწვანე შუქი აგვინთეს, სოკ-ში 500 ათასი დოლარი იქნება შესატანი. სტატუსის მინიჭება კი იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის თამაშებისთვის რბოლაში ოფიციალურად ჩავერთვებით. კულმინაციას - XXII ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის - გამარჯვებულის ვინაობის გაცხადებას 2007 წლის ივლისში, გვატემალაში სოკ-ის სესიაზე უნდა ველოდოთ.

სხვათა შორის, აქედანვე ცნობილია იმ ქალაქთა ვინაობა, რომლებთანაც ბაკურიანს მოუწევს პაექრობა. მათ შორის ერთ-ერთი ფავორიტთაგანია პიოჩინგი (კორეა), რომელიც მესამე ცდაზე მიდის. ამბობენ, ჰარბინიც (ჩინეთი) იგივეს აპირებსო. ორივე ეს ქალაქი 2010 წლის თამაშებისთვისაც იბრძოდა, მაგრამ ამ რბოლაში 2003 წლის 2 ივლისის პრაღის სესიაზე გამარჯვებულად ვანკუვერი (კანადა) ცნეს.

...2014 წლის თამაშებისთვის ბრძოლაში სავარაუდო მეტოქედ ინსბრუკიც (ავსტრია) მოიაზრება. გარდა ამისა, კონკურენტთა შორის, სავარაუდოდ, ჩვენს ძველ მეტოქეებსაც - კრასნაია პოლიანას (სოჭი, რუსეთი) და ალმაატა-მედეოს (ყაზახეთი) შეიძლება გადავეყაროთ. საქმე ისაა, რომ 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის კანდიდატი ქალაქები ირჩეოდა, შიდა ანუ საბჭოთა ტენდერში ბრძოლა სწორედ კრასნაია პოლიანას, ალმაატა-მედეოსა და ბაკურიანს შორის წარიმართა. უპირატესობა კრასნაია პოლიანას მიენიჭა, სოკ-ის სესიაზე გამარჯვებულად კი ნაგანო (იაპონია) გამოცხადდა.

და მაინც, რისი გვეიმედება და რატომ ვართ ასე შეგულიანებული. გადაწყვეტილების მიღებამდე ბაკურიანს 14 ექსპერტისგან შემდგარი დელეგაცია სტუმრობდა, რომელმაც ბაკურიანი და მთლიანად ბორჯომის რაიონი შესაფერ ადგილად მიიჩნია.

"ჩვენი კოზირი ისაა, რომ ასეთი რელიეფური პირობები ბევრს არა აქვს. დარბაზების, სპორტული ობიექტების მშენებლობა იოლია, თუმცა, დიდი თანხებს მოითხოვს, მაგრამ რელიეფს ვერანაირი ფულით ვერ შექმნი, - ამბობს ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე, - ხელს შეგვიწყობს კომპაქტურობაც. მართალია, არ ყოფილა შემთხვევა, პირველივე განაცხადით დაეკმაყოფილებინოთ თამაშების მოსურნე ქალაქი, მაგრამ გამორიცხული არაფერია. გააჩნია, როგორ ვიმუშავებთ. თუ ხელი მოგვეცარა, 2018 წლისთვის ჩვენი შანსი ბევრად დიდი იქნება".

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა ცხრა წლით ადრე იწყება. ათვლა 28 ივლისს დაიწყება, წამმზომი კი უკვე ჩართულია.

"ჩვენ უნდა გავხდეთ სპორტული ქვეყანა. ის, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა გვინდა, იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანას სურს განვითარდეს მშვიდობიანად, რომ არ გვსურს არეულობა, კონფლიქტები და სისხლის ღვრა არც საკუთარ ტერიტორიაზე და არც სადმე ახლომახლო. ესაა ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის", - ბაკურიანის განაცხადზე ხელმოწერამდე აცხადებდა მიხეილ სააკაშვილი. სოკ-ში წარსადგენ ისტორიულ განაცხადს ერთობ კურიოზულ ვითარებაში მოეწერა ხელი. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტს ავტოკალამი თან არ აღმოაჩნდა და იგი ლერი ხაბელოვისგან - სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტისგან ითხოვა, რა თქმა უნდა, უკან დაბრუნებით.

"მაშინ, როდესაც დაურიგებელ პენსიებსა და ათას გასაჭირზე გვქონდა დისკუსიები, დღევანდელი გადაწყვეტილება უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მართალი გითხრათ, მოუთმენლად ველოდი დღევანდელ დღეს, ამ წუთს. მოუთმენლად ველოდი იმიტომ, რომ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ჩვენს გამარჯვებაში. მინდა გითხრათ, არაფერი არ გამოვა, თუ თითოეული თქვენგანი არ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია", - ოპტიმისტურად დაასრულა რიგგარეშე სესია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა.

ჩოგბურთი

# ქართული ჩოგბურთის "ARIZONA DREAM"

მიხეილ აბაიშვილი

ქართული ჩოგბურთის, ისევე როგორც სპორტის დანარჩენი სახეობების მთავარი პრობლემა რომ მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაუფინანსებლობაა, დამეთანხმებით. ეს პრობლემა ჩოგბურთთან დაკავშირებით განსაკუთრებით თვალშისაცემია, რადგან, სპეციფიკიდან გამომდინარე, სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებით ძვირად ღირებულია და დამსახურებულად ითვლება ელიტურად. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 წლის ასაკიდან ერთი ჩოგბურთელის საწვრთნელ პროცესზე, მის ეკიპირებასა და ტურნირებში მონაწილეობაზე ყოველწლიურად დაახლოებით 60 ათასი დოლარი იხარჯება. ასაკის მატებასთან ერთად თანხა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიო საჩოგბურთო ელიტასთან ქართველი ჩოგბურთელები მიახლოებასაც ვერ ახერხებენ. თუმცა, სიტუაცია შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს და ქართველმა ჩოგბურთელებმაც გაარღვიონ ის "რკინის ბადე", რომელიც მათ უმაღლესი საჩოგბურთო იერარქიისგან აშორებთ. ქართულ ჩოგბურთს მხსნელად და მშველელად მოევლინა ამ სახეობაზე შეყვარებული ამერიკელი მილიონერი რობერტ დისთეითი. მისტერ დისთეითი ამერიკაში ცნობილი ბიზნესმენია. მისი ბიზნესი ძირითადად კინოინდუსტრიას უკავშირდება. ის არიზონის შტატიდანაა და ამ შტატში სოლიდური ავტორიტეტით სარგებლობს. თავად განსაჯეთ: რობერტ დისთეითი საქართველოს ცნობილი მეგობრის, არიზონის შტატის სენატორ მაკ კეინის სპონსორია, პოლიტიკურ წრეებშიც ავტორიტეტით სარგებლობს. ჩოგბურთი მისი ჰობია. კონკრეტულად ქართული ჩოგბურთისადმი ინტერესი საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გაუღვიძა. რამდენიმე კვირაა, რაც რობერტ დისთეითი თბილისშია. მან თითქმის ყველა ქართული საჩოგბურთო აკადემია თუ კორტი შემოიარა. ვოიაჟის მიზანი ნიჭიერი ნორჩი ჩოგბურთელების აღმოჩენა და მათი ამერიკაში წაყვანაა. არიზონაში, ქალაქ თემფიში დისთეითს საკუთარი საჩოგბურთო აკადემია აქვს, რომელიც ამ ტიპის სპორტული ნაგებობების უახლეს სტანდარტებს პასუხობს. აქ დასაქმებული არიან კონტინენტის წამყვანი საჩოგბურთო სპეციალისტები. საქართველოში შერჩეული ნიჭიერი ჩოგბურთელები (14-18 წლის ასაკის) სწორედ ამ აკადემიაში გაემგზავრებიან და საუკეთესო პირობებში გააგრძელებენ დაოსტატებას. ყველა ხარჯს თავის თავზე იღებს რობერტ დისთეითი. პირველი ნაკადი, რომელიც 12 ჩოგბურთელისგან შედგება, უკვე შეკრებილია. ერთი დეტალი: ამერიკის საელჩომ ცოტათი გააჭიანურა ვიზების გაცემის პროცესი. დაჩქარების მიზნით დისთეითი დაუკავშირდა არიზონის გენერალურ პროკურატურას, რომელმაც ოფიციალური წერილით მიმართა თბილისში ამერიკის საკონსულოს. შედეგად ხუთმა ჩოგბურთელმა უკვე მიიღო აშშ-ში წასვლის ნებართვა. დანარჩენების საკითხსაც ამ დღეებში მოაგვარებს.


რობერტ დისთეითი ქართველ ჩოგბურთელებს ამერიკაში თავის საჩოგბურთო აკადემიაში ავარჯიშებს.

ბატონ დისთეითს კრწანისში, ახალახან აშენებულ საჩოგბურთო კორტებზე შევხვდით, სადაც იგი შერჩეულ ჩოგბურთელებს პირადად ავარჯიშებდა.

**- რატომ გადაწყვიტეთ, ქართველ ჩოგბურთელებს დახმარებოდით?**

- TMI-მ (რობერტ დისთეითის კომპანია) არიზონაში, ქალაქ თემფიში გახსნა ჩოგბურთის აკადემია, სადაც ახალგაზრდა ნიჭიერი ჩოგბურთელები ვარჯიშობენ. საქართველოში ჩამოსულმა მრავალი ნიჭიერი ჩოგბურთელი გავიცანი და მივხვდი, რომ თქვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობაში დიდი პოტენციალია. მაგრამ ქართველ ჩოგბურთელებს დაუფინანსებლობის გამო არა აქვთ ამ პოტენციალის გამოვლენის და რეალიზების საშუალება. სწორედ ამიტომ გადაწყვიტე მათი ამერიკაში წაყვანა. ეს მათთვის განვითარების შანსი იქნება.

**- როგორ შეარჩიეთ პირველი ნაკადი?**

- პირველი კრიტერიუმი იყო ის, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ, როგორ აფასებენ ისინი სპორტის ამ სახეობას. მინდოდა დამენახა თამაშის სურვილი და ამბიცია. ცხადია, ყურადღებას ვაქცევდი ნიჭსაც.

**- დაფინანსებას მთლიანად თქვენი აკადემია უზრუნველყოფს?**

- მე აკადემიის მთავარი აქციონერი ვარ და შემიძლია გითხრათ, რომ მგზავრობით დაწყებული, თემფიში ცხოვრების, წვრთნის, ეკიპირებისა და სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობის ხარჯებს TMI მთლიანად თავის თავზე აიღებს.

**- თქვენ უკვე შეარჩიეთ თორმეტი ნორჩი ჩოგბურთელი. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვთ მათ?**

- ეს პერსპექტივა რომ არ დამენახა, ისინი ამ ნაკადში ვერც მოხვდებოდნენ. მათ დიდი მომავალი აქვთ. დარწმუნებული ვარ, ამერიკაში გამგზავრება ამ ჩოგბურთელების დიდ მოთამაშეებად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს.

**- ეს იქნება ერთჯერადი აქცია თუ თანამშრომლობა გაგრძელდება?**

- ჩემი მიზანია გრძელვადიანი თანამშრომლობა საქართველოსთან და ქართველ ჩოგბურთელებთან. მომწონს საქმისადმი მათი დამოკიდებულება. ეს ჩოგბურთელები შრომისთვის მზად არიან და ამას ყველა ვარჯიშზე ავლენენ. აქ კი განვითარების ნაკლები შანსი აქვთ. სწორედ ამიტომ მინდა, რომ მათ დავეხმარო. TMI რეგულარულად განახორციელებს ასეთ აქციებს.

ინფოთეკა

### "ლიონის" რიგები მონსორომ შეავსო

მომავალ სეზონზე მცველი სილვენ მოსორო ფრანგულ კლუბ "ლიონში" ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ადრე "სოშოს" ღირსებას იცავდა, საფრანგეთის ჩემპიონ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. "როიტერსის" ცნობით, მონსოროს ტრანსფერი "ლიონს" ხუთი მილიონი ევრო დაუჯდა.

### ჯერარდი "ლივერპულის" ერთგულია

Tribalfootball-ის ცნობით, ინგლისელმა ნახევარმცველმა სტივენ ჯერარდმა ლივერპულთან ახლოს სახლი შეიძინა. ამით მან ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის დატოვებას არ აპირებს.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ მადრიდის "რეალი" მზად იყო, ამ ფეხბურთელში 40 მილიონი ევრო გადაეხადა.

### "იუვენტუსის" ყოფილი ექიმი დასაჯეს

"იუვენტუსის" ყოფილმა ექიმმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ის იმაში დაადანაშაულეს, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში "იუვეს" ფეხბურთელებს აკრძალულ პრეპარატებს აძლევდა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV სპორტი

### ხუთშაბათი. 23 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). პირველი მატჩი
14:00 ბრაზილიის თასი. ფინალი. "ფლუმინენსე" - "პაულისტა". საპასუხო მატჩი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. კოლუმბია - არგენტინა
17:45 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. ესპანეთი - თურქეთი
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:30 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). პირველი მატჩი
22:15 "ფეხბურთი ჭრილში"
22:45 ბრაზილიის თასი. ფინალი. "ფლუმინენსე" - "პაულისტა". საპასუხო მატჩი
00:30 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 15:30, 18:45 პრესცენტრი
10:20, 15:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
12:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
13:30 აფროსნობა. "ამერიკის თასი". მეოთხე აქტი ვალენსიაში
14:00 ფლორბოლი. მსოფლიო ჩემპიონატი სინგაპურში. ქალები
15:50 სახვალიო ტელეპროგრამა
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:45 აფროსნობა. "ამერიკის თასი". მეოთხე აქტი ვალენსიაში
02:15 02:15-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "DETROIT PISTONS". მე-7 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
10:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:00 რეიდ თავგადასავალი
11:30 ცხენოსნობა. სუპერლიგა ჰოლანდიაში
12:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. საბერძნეთი - მექსიკა
13:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ბრაზილია - იაპონია
14:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
14:45 მოტოსპორტი. ჰოლანდიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. საბერძნეთი - მექსიკა
21:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ბრაზილია - იაპონია
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "აკროპოლისის რალი"
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:30 ფეხბურთი. ხმელთაშუა ზღვის თამაშები ესპანეთში. ესპანეთი - ბოსნია
01:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 მებრძოლთა კლუბი

კალათბურთი

# მეშვიდე და გადამწყვეტი...

## სან ანტონიო - დეტროიტი 86:95 (სერიის ანგარიში - 3:3)



ჩონსი ბილაპსმა 8 სამქულიანიდან 5 ჩააგდო.

NBA-ის შარშანდელმა ტრიუმფატორმა "დეტროიტ პისტონზმა" "სან ანტონიოს" უფლება არ მისცა ვადამდე გაენაღდებინა ჩემპიონის ბეჭედი და ფინალური სერიის მეექვსე მატჩში სტუმრად დაამარცხა მეტოქე ანგარიშით - 95:86. ახლა ჩემპიონის ბედი გადამწყვეტ, მეშვიდე მატჩში გაირკვევა, რომელიც კვლავ სან ანტონიოში გაიმართება.

მეექვსე მატჩის პირველი ორი მეოთხედი უაღრესად დრამატული და დაძაბული გამოდგა როგორც ანგარიშის, ისე თამაშის მიხედვით. ასეთი რამ ფინალურ სერიაშიც იშვიათად ხდება. შეტევებს ორივე გუნდი შედეგიანად ამთავრებდა და დაცვაშიც უშეცდომოდ მოქმედებდა. ამის შედეგად, პირველი მეოთხედის შემდეგ ანგარიში საყაიმო - 23:23 იყო.

მეორე მეოთხედი პირველის პირდაპირი გაგრძელება იყო. არც "სპერსისა" და არც "პისტონზის" კალათბურთელები არ ზრუნავდნენ მდგომარეობის გამწვავებაზე და ცდილობდნენ, ბოლომდე გაეთამაშებინათ ბურთი, ვიდრე რომელიმე პარტნიორს ტყორცნისთვის ხელსაყრელ პოზიციაზე არ გაიყვანდნენ. თუმცა, მასპინძლებმა ამ დაძაბულ მდგომარეობაში მოახერხეს და დიდ შესვენებაზე მცირე უპირატესობით წავიდნენ. მანუ ჯინობილიმ პარტნიორების შესანიშნავი გადაცემით ისარგებლა და ბურთი მეტოქის კალათში მოათავსა - 47:46.

მატჩის მესამე მეოთხედი კი მასპინძლებმა აშკარად ჩააგდეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთში თამაში არ წაუვიდათ გუნდის ლიდერებს - ტიმ დანკანსა და მანუ ჯინობილის. მათ რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ბურთი ვერ მოათავსეს სტუმართა კალათში. "პისტონზმა" კი პირიქით, კარგად გამოიყენა "სან ანტონიოს" დროებითი ჩავარდნა და თავისი შეტევები ზუსტი ტყორცნებით დააგვირგვინა.

"დეტროიტის" შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩონსი ბილაპსმა და რაშიდ უოლესმა. მაგალითად, ბილაპსმა რვა სამქულიანი ტყორცნიდან ხუთი ზუსტად მოათავსა. შედეგად, მეოთხე მეოთხედის წინ მასპინძელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა და ახლა უკვე "სან ანტონიო" აღმოჩნდა მდევრის როლში - 67:71.

თუმცა, გრეგ პოპოვიჩის გუნდმა ამის გაკეთება ვერ მოახერხა და "დეტროიტმა" სტუმრად პირველი გამარჯვება იზეიმა "სან ანტონიოზე". ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი რიჩარდ ჰემილტონი გახდა, რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ეპიზოდში, მეოთხე მეოთხედში, "სპერსის" ფორვარდმა ბრიუს ბოუენმა სპეციალური ნიღბით მოთამაშე რიჩარდ ჰემილტონს საკმაოდ მტკივნეული დარტყმა მიაყენა. ჰემილტონი იძულებული გახდა დროებით მოედანი დაეტოვებინა, მაგრამ საკუთარ თავში ძალა გამონახა და კვლავ თამაშში ჩაება.

ამრიგად, მოიგეს რა ფინალური სერიის მეექვსე მატჩი, "დეტროიტის" კალათბურთელებმა საერთო ანგარიში გაათანაბრეს - 3:3. ახლა პირველად მოხდა, რომ 1994 წლის შემდეგ, როცა ჰიუსტონს შვიდივე მატჩი დასჭირდა "ნიუ-იორკის" დასამარცხებლად, NBA-ის ჩემპიონის გამოსავლენად რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა მატჩის გამართვა გახდა საჭირო. გადამწყვეტი მეშვიდე მატჩი სან ანტონიოში ხუთშაბათს გაიმართება. სწორედ ეს მატჩი დაასახელებს პლანეტის საუკეთესო საკლუბო გუნდის ვინაობას.

მატჩის შემდეგ "დეტროიტის" ფორვარდმა ანტონიო მაკდაიესმა განაცხადა, რომ გამარჯვების მთავარი მიზეზი სწორად შერჩეული ტაქტიკა და მწვრთნელის მითითებათა ზედმიწევნით ზუსტი შესრულება გახდა. "მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენ შევეცადეთ მთელ მოედანზე პრესინგი გვეთამაშა და ეს გამოგვივიდა კიდეც. ჩვენ ბურთს შეგნებულად დიდხანს ვათამაშებდით და ამით ბურთის დაკარგვისა და ჩაჭრის ალბათობა მინიმუმამდე შევამცირეთ", - განაცხადა სტუმართა ფორვარდმა.

თავის მხრივ, გამარჯვებულთა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა ასეთი განცხადება გააკეთა. "მე ამ ბიჭების მხარდამხარ უკვე ორი სეზონია ვმუშაობ და მათში არც ერთხელ არ შევმცდარვარ. ყველაზე უფრო ის მახარებს, რომ ისინი დიდი პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. თანაც, გუნდს სურს, ჩემპიონატი წელსაც მოიგოს".

სხვათა შორის, სან ანტონიოში მატჩის შემდეგ ლარი ბრაუნმა კიდევ ერთი, თავისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. "დეტროიტის" გამარჯვება "სან ანტონიოსთან" მისთვის პლეი-ოფებში მოპოვებული ზუსტად მე-100 მიღწევა იყო სამწვრთნელო კარიერის მანძილზე.

საფეხბურთო გალერეა

# რობერტო კარლოსი: "არდადეგები შესანიშნავია"

რობერტო კარლოსი ბრაზილიაში იმყოფება და ქალაქ არარასის (სან-პაულოს შტატი) ვილაზე ნებივრობს. თუმცა ისე გულმოდგინედ ადევნებს თვალს მსოფლიო ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს. მან იცის, რომ მადრიდის "რეალი" აპირებს შეიძინოს რობინიო, სერხიო რამოსი, დიოგო და პაბლო გარსია. ყველა მათგანზე დიოგოს გარდა, რომელსაც ის არ იცნობს, რობერტო კარლოსი დადებითი აზრის არის.

**- შვებულება როგორ მიმდინარეობს?**

- ძალიან მშვიდად. მე ჩემი მშობლების, დებისა და გოგონების წრეში ვისვენებ. მე სახლში დიდ დროს ვატარებ და ძალიან ხშირად ვუყურებ ფეხბურთს. თვალყურს ვადევნებ კონფედერაციის მატჩებს. არცერთ თამაშს არ ვტოვებ და ვიცი რა ხდება ესპანეთში. არდადეგები იმისთვის არსებობს, რომ ძალები მოიკრიბო და ფსიქოლოგიურად დაისვენო. მომავალი სეზონი კვლავ მძიმე იქნება და მზად უნდა დახვდე, რომ შეცდომები აღარ დაუშვა. მე ტელეფონით ვესაუბრები ჩემს მეგობრებსა და თანაგუნდელებს და ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებით, რომ კვლავ უნდა დავიწყოთ ჯილდოების მოპოვება. ჩვენ ამ საკითხს ჯერ კიდევ არდადეგებზე გასვლამდე განვიხილავდით, ამიტომ დიდი სურვილი გვაქვს, რომ სეზონი რაც შეიძლება ჩქარა დაიწყოს. ჩვენ გვინდა, რომ გულშემატკივარი ჩვენთან ერთად შეგულიანდეს რადგან ჩვენ უკვე შეგულიანებულნი ვართ იმით, რომ ჯილდოს მოგება და ჩვენი თამაშით გულშემატკივრების გახარება გვსურს.

**- როგორ მიდის საქმე ორმაგი მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით?**

- ყველაფერი პრაქტიკულად გაკეთებულია. ყველა საბუთი უკვე კლუბშია თავმოყრილი და აუცილებელი პროცედურები მალე დაიწყება. ვფიქრობ, როცა ტურნედან დავბრუნდები ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იქნება. წესით არავითარი პრობლემა არ უნდა შეიქმნას.

**- ესპანეთში უკვე 8 წელია ცხოვრობ და წესით პრობლემა არ უნდა შეგექმნას. თანაც, ესპანეთის მოქალაქე თუ გახდები გუნდს კიდევ ერთი უცხოელის დამატების უფლება ექნება.**

- დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წელს ისე დავიწყებ, როგორც ესპანელი.



რობერტო კარლოსი ბრაზილიაში ისვენებს და ფეხბურთი ენატრება.

**- ეს გახარებს?**

- დიახ. მე იქ დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობ და ბედნიერი ვარ. მე თავს ამ ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ ვგრძნობ და რაც მთავარია, ვგრძნობ, რომ ადამიანებს ვუყვარვარ. და თუ იმასაც შევძლებ, რომ მადრიდის "რეალისთვის" კიდევ ერთ უცხოელს გავუხსნა გზა და ამით კლუბს დავეხმარო, ეს მთლად უკეთესი იქნება.

**- ეს ადგილი შეიძლება რობინიომ დაიკავოს?**

- დაე ასე იყოს. ეს შესანიშნავი იქნება. რობინიო ფენომენია. ის შესანიშნავი ფეხბურთელია და ამის დემონსტრირებას ახდენს. მას გაზრდის საშუალება უნდა მიეცეს, რადგან ის ახალგაზრდა ფეხბურთელია. მას დიდი ნიჭი აქვს და კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. მასზე ამჟამად ბევრს საუბრობენ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ის არის ყმაწვილი ცივი გონებით. მან იცის, რომ ბევრი ადამიანი აკვირდება და მასზე საუბრობს და ის ამჟღავნებს, რომ ჩამოყალიბებული ადამიანია.

**- მას შემთხვევით არ უთქვამს, "რეალში" მოდის, თუ არა?**

- მე მას რამდენჯერმე ვესაუბრე, მაგრამ დღემდე მას თავისი კლუბისგან ოფიციალურად არაფერი სმენია. ბრაზილიაში ის დიდ ზეწოლას განიცდის იმის გამო, რომ "სანტოსში" დარჩეს. რობინიოს კონტრაქტი აქვს და ზოგიერთ ბიზნესმენს ფულის გადახდაც სურს იმისთვის, რომ რობინიო ბრაზილიაში დარჩეს. ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან რობინიო ბრაზილიაში უსაყვარლესი ფეხბურთელია. ის ნამდვილი კერპია და ბუნებრივია, რომ გულშემატკივარს სურს მისით კიდევ დატკბეს. თუმცა ნათელია, რომ მე მსურს ის "რეალში" ჩემი პარტნიორი იყოს. მას მინდორზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლია და გულშემატკივარი სიამოვნებას მიიღებს. ჩვენ კი რობინიო ტიტულების მოგებაში დაგვეხმარება. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია.

**- ასევე გაიჟღერა პაბლო გარსიასა და დიოგოს გვარებმა. მათ იცნობ?**

- პაბლო გარსიას კი, დიოგოს არა.

**- რას ფიქრობ პაბლო გარსიაზე?**

- ის კარგი ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია ჩვენი შემადგენლობა დააბალანსოს. "რეალის" წინააღმდეგ ყველა მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ის ფიზიკურად ძ იერია და გუნდს დაეხმარება გახდეს უფრო ბრძოლისუნარიანი და ძლიერი. მე მგონია, რომ ის კარგი შენაძენი იქნება. მაგრამ ის უკვე მართლა იყიდეს?

**- სერხიო რამოსზე რას იტყვი?**

- იცის შესანიშნავი ფეხბურთელია. ჯერ კიდევ სეზონის დამთავრებამდე ამბობდნენ, რომ შეიძლება "რეალმა" იყიდოსო. ის კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც "სევილიაში" თამაშით დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლია. ის მომწონს და რამოსი შეიძლება კარგი შენაძენი გახდეს გუნდის გაძლიერების თვალსაზრისით.

**- შენ თქვი, რომ თანაგუნდელებს უკავშირდები. ვის?**

- ამას წინათ რონალდოს ვესაუბრე, რომელიც ამჟამად რიოდე-ჟანეიროში იმყოფება. მან მითხრა, რომ ისვენებს და სრულიად ბედნიერია. ვიცი, რომ მას სურს რაც შეიძლება ჩქარა ითამაშოს და დაადასტუროს, რომ ის უდიდესი ფორვარდია. დარწმუნებული ვარ, რომ ის პროგრესს კიდევ განიცდის, რადგან ძალიან სურს ამის გაკეთება.

**- იცი, რომ გუტიმ წასვლის სურვილი გამოთქვა, იმისთვის, რომ უფრო მეტი ითამაშოს?**

- არა, არაფერი ვიცი. გუტი განსაკუთრებული ფეხბურთელია და ეს ნორმალურია, რომ მას უფრო ხშირად თამაშის სურვილი აქვს. მადრიდში ძალიან რთულია, რომ სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში ითამაშო და გუტისაც იგივე მოსდის, რაც სხვა ფეხბურთელებს. და ეს ნორმალურია, რომ ის უკმაყოფილოა. ეს ნიშნავს, რომ მას ამბიციები აქვს.

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა__________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი

# "ჰაბაკუკი" - ყინულის გემი, რომელიც ვერ გახდა ავიამზიდი



დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო ყინულის ავიამზიდი.

მეორე მსოფლიო ომში, როცა მოკავშირეები თავიანთი ჯარების ევროპაში გადასხმის გეგმას ამუშავებდნენ, მთელი სერიოზულობით განიხილებოდა ყინულის უზარმაზარი ავიამზიდების ფლოტის შექმნის პროექტი. ეს ბევრისთვის არასერიოზული წამოწყება იყო, თუმცა მაშინაც იყვნენ და ახლაც არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეს სრულიად რეალური და ორიგინალური იდეა იყო, რომელსაც განხორციელება ეწერა.

ცნობილი არაა, თუ ვის დაებადა ეს საკმაოდ თავზეხელაღებული იდეა, მაგრამ ფაქტია, რომ აისბერგ-აეროდრომების დამზადების შესაძლებლობას თურმე თვით ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი და ბრიტანული შემტევი შეიარაღების განვითარების "გაერთიანებული ოპერაციების" ხელმძღვანელი, ლორდი ლუი მაუნტბატენი განიხილავდენ.

თავიდან სპეციალისტები აპირებდნენ უზარმაზარი აისბერგებისთვის წყალზედა ნაწილების წაჭრას, რითაც მათზე თვითმფრინავების ასაფრენი ზოლი და სადგომი წარმოიქმნებოდა. შემდეგ აისბერგი აღიჭურვებოდა ძრავებით და კავშირის სისტემებით. ამგვარად, გადაჭრილი აისბერგები ვარგისი იქნებოდა სამხედრო დანიშნულებით გამოყენებისთვის. ოღონდ, მათი მხოლოდ ერთჯერადი გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ეს ექსტრავაგანტური იდეა მაშინ დაიბადა, როცა გერმანული წყალქვეშა ნავების წარმატებული ოპერაციების წყალობით, ბრიტანეთი საზღვაო ბლოკადაში მოექცა და ამის გამო, ქვეყანა რესურსების, პირველ რიგში კი მეტალის დეფიციტს განიცდიდა. ეს მაშინ, როცა ომში ჩართულ ქვეყანას ახალი გემები ჰაერივით სჭირდებოდა.

ასეთ სიტუაციაში გაყინული წყალი შეუზღუდავი რაოდენობით მოიპოვებოდა ოკეანეში და თანაც, მისი გამოყენება გაცილებით იაფიც ჯდებოდა ფოლადთან შედარებით. ეგ კიდევ არაფერი, ყინულისგან დამზადებული ავიამზიდი პრაქტიკულად ჩაუძირავიც იქნებოდა, რადგან მასიური აისბერგის დამსხვრევას საავიაციო ბომბების სეტყვა და რამდენიმე ტორპედოც კი ვერ შეძლებდა. ისინი მხოლოდ დააზიანებდნენ ყინულის ავიამზიდს, რომლის შეკეთებაც ისეთივე მარტივი და იაფი იქნებოდა, როგორც შექმნა.

რა თქმა უნდა, აისბერ-ავიამზიდის მთავარი მტერი თბილი ამინდი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ უზარმაზარი აისბერგის დნობას რამდენიმე დღე მაინც დასჭირდებოდა. ესე იგი, დადნობამდე ის ოპერაციის ჩატარებას მოასწრებდა. თანაც, სპეციალური გასაყინი სისტემების გამოყენებით, შესაძლებელი იქნებოდა დნობის შენელებაც, რაც ყინულს ხომალდის გამოყენების ხანგრძლივობას კიდევ უფრო გაზრდიდა.

მოგვიანებით, ამ იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა - მაუნტბატენის უწყების თანამშრომელმა, ინჟინერმა ჯეფრი პაიკმა წამოაყენა წინადადება, ყინულის ავიმზიდი აეგოთ ყინულის ბლოკებისგან. ამასთან, ხომალდის კონსტრუქციაში, მისი მშენებლობისას, უნდა ჩაეყოლებინათ გასაყინი სისტემის მილები.





ჰაბაკუკის მშენებლობა

პაიკმა თავისი იდეის განსახორციელებლად სპეციალური მასალაც კი შეიმუშავა, რომელსაც მის საპატივცემულოდ კოლეგებმა პაიკრიტი (პაიკი+კრიტ - სიტყვა კონკრიტის, ანუ ბეტონის ბოლო ნაწილი) დაარქვეს. ეს იყო წყლისა და ცელულოზის (ჩვეულებრივი ნახერხი) გაყინული მასისგან დამზადებული ბლოკი. ესქპერიმენტებმა აჩვენა, რომ პაიკრიტი გაცილებით მტკიცე და გამძლე იყო ჩვეულებრივ ყინულთან შედარებით. თანაც, მასზე გაცილებით დიდი დრო სჭირდებოდა დნობისთვის.

სხვათა შორის, ყინულის კომპოზიტური ბლოკების დამზადების იდეა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით, თუმცა მისი განხორციელება მხოლოდ პაიკმა შეძლო და ასე განსაჯეთ, მათი საშუალებით, რეალური გემის შექმნაც შეძლო.

ოღონდ, მანამდე ლორდმა მაუნტბატენმა პაიკრიტის ბლოკი კვებეკში, მოკავშირეთა კონფერენციაზე (1943 წელს) წარადგინა. იქ, სხვადასხვა პროფილის მეცნიერთა თვალწინ, მარტივი ცდა ჩატარდა: ერთმანეთის გვერდიგვერდ დადეს ორი, გარეგნულად ერთნაირი ბლოკი. ერთი მათგანი ჩვეულებრივი ყინულისა იყო, მეორე კი - პაიკრიტისა. მეცნიერმა ყველას თვალწინ ორივეს თითო ტყვია დაახალა. ერთმა ყინულს ბლოკი მთლიანად დაამსხვრია, მეორე კი პაიკრიტისამ აისხლიტა (ასხლეტილმა ტყვიამ ერთ-ერთი დამსწრე მსუბუქად დაჭრა კიდეც). უფრო მეტიც, ბლოკი თითქმის არც დაზიანებულა. ამ ცდის შემდეგ, პროექტით ამერიკელებიც დაინტერესდნენ...

ამერიკელებმა, კანადელებმა და ბრიტანელებმა, ერთობლივი ძალისხმევით, კანადის პროვინცია ალბერტაში მდებარე ტბა პატრიცია ლეიკზე, თანაც ზაფხულში, შექმნეს ექსპერიმენტული ხომალდი, რომელსაც სახელად "ჰაბაკუკი" ეწოდა. ეს სახელი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს ჰქვია, რომელსაც უთქვამს: "ხედავს ხალხი და ძლიერ უკვირს! რადგან სამუშაო, რომელსაც თქვენ ასრულებთ, ისეთია, რომ თუ მის შესახებ ვინმე გეტყვით, არც კი დაიჯერებთ". აი, ახლაც, როცა ყინულის გემზე წაიკითხავთ, ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ...

გემი არც ისე დიდი გამოვიდა - მისი სიგრძე 18.3, სიგანე კი 9 მეტრს შეადგენდა. სამაგიეროდ, საკმაოდ ბევრს, 1.1 ათას ტონას იწონიდა. მის ასაგებად 15 ადამიანს ორი თვე დასჭირდა. გემის ჩონჩხი ხის კოჭებისგან დამზადდა, კონსტრუქციის შესავსებად კი ყინულის ბლოკები გამოიყენეს, რომელთა შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმით უზრუნველსაყოფადაც კონსტრუქციაში სამი მცირე ზომის გამყინავი დანადგარი დამონტაჟდა.

ეს გაბარიტები არაფერი იყო იმასთან შედარებით, რომლებიც უნდა ჰქონოდა ყინულის ავიამზიდებს. მათი სიგრძე 1.22 კილომეტრი, სიგანე კი 183 მეტრი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება წყალწყვას, წინასწარი ვარაუდით, ის რამდენიმე მილიონ ტონას მიაღწევდა.

სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ სპეციფიკური სამუშაოს გამო, ამგვარი ყინულოვანი კოლოსის შექმნა არც ისე იაფი დაჯდებოდა. ეს მაშინ, როცა ყინულის რესურსი, ერთი შეხედვით, იაფი მოსაპოვებელი უნდა ყოფილიყო. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ყინულის ფლოტილიისთვის საკმაო რაოდენობით ცელულოზის დასამზადებლად, ლამის მთელი კანადის ტყის განადგურება იქნებოდა საჭირო.

1943 წლის აგვისტოში, როცა "ჰაბაკუკი" კანადის ტბაში საცდელ ცურვაზე გავიდა, ევროპაში, ომის ველზე, სიტუაცია ნელ-ნელა მოკავშირეების სასარგებლოდ იცვლებოდა. ჰოდა, ყინულის ფლოტის აგების საჭიროებაც გაქრა, რასაც ადეკვატური გადაწყვეტილება მოჰყვა - ყინულის ავიამზიდების პროექტი თაროზე შემოდეს.

აქვე იმის აღნიშვნაც ღირს, რომ მეტალის უკმარისობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მოკავშირეებმა ნორმანდიაში ჯარების გადასაყვანად ბეტონისგან დამზადებული ერთჯერადი მინი-ბორნები გამოიყენეს. რაც შეეხება "ჰაბაკუკს", მის შესახებ ყველამ დაივიწყა. 70-იან წლებში კი სპეციალურმა ექსპედიციამ მისი ნარჩენები პატრიცია ლეიკის ფსკერზე აღმოაჩინა.

# "ბოინგი" სუპერსატვირთო ლაინერს ქმნის

მსოფლიოს უდიდესი ავიამწარმოებელი კომპანია "ბოინგი" ამჟამად თავის ახალ სამგზავრო ლაინერ "ბოინგ 787 დრიმლაინერზე" მუშაობს. ეს თვითმფრინავი უახლესი ტექნოლოგიებით მზადდება და მისი ფიუზელაჟის შესაქმნელად, კომპანია კომპოზიტური მასალებით დამზადებულ დიდ სექციებს იყენებს.

ამ ტექნოლოგიის მთავარი მიზანი ისაა, რომ შემცირდეს ადგილზე ასაწყობი ნაწილების რაოდენობა, გაიზარდოს თვითმფრინავის შესაძლებლობანი, გაუმჯობესდეს აეროდინამიკა და საწვავის ეკონომიურობა. თუმცა, აქ ამ თვითმფრინავის ტექნიკურ მახასიათებლებზე არ ვისაუბრებთ.

ფიუზელაჟის დიდი სექციები "ბოინგის" ამწყობ ქარხანაში არ მზადდება. მათ მზა სახით სხვადასხვა ქვეყნებში მდებარე დამხმარე საწარმოები ამზადებენ და შემდგომ აწოდებენ ძირითად ქარხანას, რომელიც უოშინგტონის შტატის ქალაქ ევერეტში მდებარეობს. დიდი სექციების გადასატანად კი კომპანიას სრულიად ახალი, სატვირთო ლაინერის შექმნა აქვს გადაწყვეტილი.

ახალი ლაინერის ბაზისად გამოყენებულია კომპანიის საწარმოო პროგრამაში ყველაზე დიდი თვითმფრნავის, "ბოინგ 747-400-ის" ფიუზელაჟი, რომელმაც საფუძვლიანი მოდიფიაცია გაიარა. თვითმფრინავის სახელწოდებაა "ლარგჯ კარგო ფრეითა".



ამ თვითმფრინავს ძირითად ფიუზელაჟში ჩამატებული აქვს უფრო გაგანიერებული, დიდი ტევადობის მქონე ფიუზელაჟი, რომელშიც შესაძლებელი იქნება "დრიმლაინერის" კომპოზიტური ფიუზელაჟის განთავსება. იმისათვის, რომ ლაინერში დიდი ზომის ტვირთი მოთავსდეს, მისი ფიუზელაჟი კუდის ნაწილში მთლიანად იხსნება (შედარებისთვის, უკრაინულ "მრიას", რომელიც დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავია, ცხვირის ნაწილი ეხსნება).

მოდერნიზაციის შემდეგ, თვითმფრინავი სატვირთო 747-400-თან შედარებით 300 პროცენტით მეტი მოცულობის მქონე ტვირთის გადატანას შეძლებს.

ცნობისათვის, "ბოინგ 747-400" ყველაზე დიდი სატვირთო ლაინერია, რომელიც რეგულარულ რეისებს ასრულებს. მასზე დიდი მხოლოდ უკრაინული "მრიაა", მაგრამ ის მხოლოდ სპეციალურ, ჩარტერულ რეისებზე დაფრინავს.

სპეციალური თვითმფრინავის შექმნა იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდება ამერიკული კომპანია "დრიმლაინერის" შექმნასა და მის შემდგომ წარმოებას. აშკარაა, რომ ახლო მომავალში სწორედ ამ ლაინერზე გააკეთებს აქცენტს "ბოინგი". ამდენად, ახალი სატვირთო თვითმფრინავიც სრულად დაიტვირთება და მისი შექმნაც გამართლებული იქნება. "ლარჯ კარგო ფრეითას" სერტიფიცირება მერმის მოხდება და ის მაშინვე შეუდგება შიდა სატვირთო რეისების შესრულებას.

რაც შეეხება "787 დრიმლაინერს", მისი ექსპლუატაცია 2008 წლიდან უნდა დაიწყოს. "ბოინგს" ამ საშუალო ზომის ლაინერზე 15 ავიახაზისგან უკვე 191 შეკვეთა აქვს მიღებული.

# ახალი პრიზები კოსმოსური ლიფტისთვის

აშშ-ის ეროვნულმა აეროკოსმოსურმა სააგენტომ (NASA) კოსმოსის ათვისების ახალი ეტაპი დაიწყო. ჩამოყალიბდა პროგრამა "ასწლეულის გამოწვევა", რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს კოსმოსური ლიფტების შექმნას და დანერგვას. პროგრამის ფარგლებში რამდენიმე კონკურსს ეყრება საფუძველი, რომლებიც კოსმოსური ლიფტებისთვის აუცილებელი რამდენიმე ძირითადი ელემენტის განვითარებისთვისაა მოწოდებული.

ჩაფიქრებულია, რომ ისევე როგორც კერძო კოსმოსური ტურიზმის კონკურს X-პრაიზში, ამ კონკურსებში მონაწილეობას ისურვებს უამრავი კერძო კომპანია და უნივერსიტეტი. სწორედ NASA-ს პატრონაჟით, რეგულარულად ჩატარდება კონკურსები სახელწოდებით "ბაგირების გამოწვევა" და "სხივური ამძრავის გამოწვევა".

პირველი გამოავლენს იმ საუკეთესო კონკურსანტებს, რომლებიც კოსმოსური ლიფტისთვის აუცილებელი კომპონენტის, ბაგირის ყველაზე მტკიცე და მსუბუქ ნიმუშებს წარმოადგენენ. მეორეში კი კონკურსანტებს მოეთხოვებათ, ლიფტისთვის ენერგიის ლაზერული, ან მიკროტალღური სხივური მიმწოდებელი ორიგინალური სისტემების წარმოდგენა. რა თქმა უნდა, საუკეთესოები მთავარი პრიზებით დაჯილდოვდებიან.

დღეისათვის აშშ-ის კანონმდებლობა NASA-ს უკრძალავს წლიურად 250 ათას დოლარზე მეტი თანხის პრიზის სახით გაცემას. თუმცა, სააგენტო ცდილობს, კონგრესი ამ თანხის 40 მილიონამდე გაზრდაზე დაითანხმოს. პირველი კონკურსების გამარჯვებულები პრიზის სახით 50 ათას დოლარს მიიღებენ, თუმცა NASA იმედოვნებს, რომ კერძო კაპიტალის მოზიდვით, ამ თანხას საგრძნობლად გაზრდის.



საერთოდ კი, NASA-მ კონკურსის გაძღოლა ჩააბარა კერძო კომერციულ ფონდ "სპეისუორდ ფაუნდეიშნს". სააგენტოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მისი წამოწყება ახეირებს იმ პროგრამებსაც, რომელთა განხორციელებაც ადამიანს მთვარისა და მარსის ათვისების საშუალებას მისცემს და რომლებიც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივით ხორციელდება.

"ბაგირების გამოწვევის" პირველი კონკურსის გამარჯვებული გახდება ის მონაწილე, რომელიც წარმოადგენს NASA-ს მიერ დამზადებული, ეგრეთ წოდებული "სახლის ბაგირზე" 50 პროცენტით უფრო მტკიცე ბაგირს. მომდევნო კონკურსზე კი უკვე სამი მონაწილის ნამუშევარი დაჯილდოვდება - გამარჯვებული 100 ათას დოლარს მიიღებს, მეორე და მესამე ადგილებზე გასულნი კი, შესაბამისად - 40 და 10 ათას დოლარს. რაც მთავარია, ყოველი მომდევნო კონკურსის მოსაგებად აუცილებელი იქნება წინა კონკურსის გამარჯვებულზე უკეთესი ბაგირების წარმოდგენა.

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია "სხივური ამძრავის გამოწვევა", რომლის მიზანია, ენერგიის დისტანციაზე უკაბელოდ გადაცემის საშუალებათა შემუშავება. პირველ კონკურსზე მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ რესივერები (მიმღებები), რომლებიც შეძლებენ მიწოდებული ენერგიის ფოტოელემენტებით მიღებას და ელექტროენერგიად გარდაქმნას. მათ მიერ წარმოდგენილმა აპარატებმა 25-კილოგრამიანი ტვირთი მინიმუმ, 50-მეტრიან კაბელზე უნდა აიტანონ. ყველა გუნდს სამი ცდის უფლება მიეცემა და მთავარ პრიზს, 50 ათას დოლარს მიიღებს ის მონაწილე, რომლის "ლიფტიც" 3 წუთში ყველაზე მეტ ტვირთს აიტანს დათქმულ სიმაღლეზე.

მომდევნო კონკურსზე, რომლის საპრიზო ფონდიც "ბაგირების გამოწვევის" კონკურსის ანალოგიურია, აუცილებელი იქნება არამხოლოდ ენერგიის მიმღების შექმნა, არამედ მისი წყაროს წარმოდგენაც.

## შავი ხვრელი ლაბორატორიაში

შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწიეს ამერიკელმა მეცნიერებმა - ლაბორატორიულ პირობებში მათ შეძლეს შავი ხვრელის შექმნა. მსგავსი ექსპერიმენტები ყოველთვის მეტად სახიფათოდ იყო მიჩნეული, რადგან ცნობილია, რომ უზარმაზარი გრავიტაციული მიზიდულობის წყალობით, შავ ხვრელს მის გარშემო არსებული ყველა სხეულის შთანთქმა შეუძლია.

შავი ხვრელი არის სივრცის გარკვეული ნაწილი, რომელიც ნივთიერების სრული გრავიტაციული კოლაფსის შედეგად წარმოიქმნება. შავი ხვრელის მიზიდულობა იმდენად ძლიერია, რომ მისი დატოვება არ შეუძლია არც ნივთიერებას, არც შუქს და არც ინფორმაციის მატარებელ ნაწილაკებს. შავი ხვრელი გარშემორტყმულია ზედაპირით, რომელსაც ცალმხრივმიმართული მემბრანის თვისება გააჩნია - მასში ადვილად ხვდება ნივთიერებაც და ნებისმიერი გამოსხივებაც, მაგრამ იქიდან მათი გამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ზედაპირს მეცნიერები "მოვლენათა ჰორიზონტს" უწოდებენ.

ექსპერიმენტის დროს, შავმა ხვრელმა მეტისმეტად მცირე ხანს იარსება - ნანოწამის მემილიარდედში მისმა ტემპერატურამ 300 მილიონჯერ გადააჭარბა მზისას.

შავი ხვრელის შესაქმნელად მეცნიერებმა ნიუ იორკის ბროკჰეივენის ლაბორატორიის ნაწილაკების ამაჩქარებელი გამოიყენეს. ექსპერიმენტის დროს მათ ერთმანეთს შეაჯახეს ოქროს ორი მოლეკულის ბირთვი, რომლებიც საპირისპირო მიმართულებით სინათლის სიჩქარით მოძრაობდნენ. შეჯახების შედეგად, მოლეკულების ბირთვები კვარკებად და გლუონებად, ანუ უმცირეს ნაწილაკებად დაიშალა რომლებისგანაც მატერია შედგება.

დაშლის შემდგომ ამ ნაწილაკებმა წარმოქმნეს კვარკ-გლუონური პლაზმის სფერო, რომელმაც სხვა ნაწილაკების შთანთქმა დაიწყო. ეს ნაწილაკები კი ექსპერიმენტის დროს, ბირთვთა შეჯახების შედეგად წარმოიქმნებოდა. საბოლოოდ, დაფიქსირდა შავი ხვრელის არსებობა.

მეცნიერებს ჯერ წარმოდგენა არ აქვთ, თუ რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება მოეძებნოს ხელოვნურ შავ ხვრელებს. "ჩვენი ექსპერიმენტი სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ის ამ სფეროში შემდგომი გამოკვლევების სტიმულირებას მოახდენს. თუმცა, რამდენად სასარგებლო შეიძლება გამოდგეს ეს კვლევები, ამის თქმა ჯერ შეუძლებელია", - განაცხადა გამოკვლევაში მონაწილე ცნობილმა ფიზიკოსმა ედ შურიაკმა.

## თვითმფრინავის კვალი გლობალურ დათბობას იწვევს

ლონდონის საიმპერიო კოლეჯის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თვითმფრინავების მიერ დატოვებული ინვერსიული კვალები კლიმატზე სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენენ. მათი აზრით, ეს ვიწრო ზოლები ატმოსფეროში ხშირად რამდენიმე საათით რჩება და ისევე მოქმედებენ, როგორც მაღლივი, ეგრეთ წოდებული ბუმბულისებრი ღრუბლები - ისინი "ხაფანგში იტყუებენ" ატმოსფერულ სითბოს, რასაც შედეგად სათბურის ეფექტის განვითარება მოსდევს.

შესაძლოა, ცალკეულ თვითმფრინავთა მიერ დატოვებული კვალი არც ისე საშიში იყოს, მაგრამ როცა ჰაერში ერთდროულად რამდენიმე ათასი თვითმფრინავია, მათი ერთობლივი ზემოქმედება ატმოსფეროზე შესამჩნევ უარყოფით გავლენას ახდენს. ისინი გამონაბოლქვის თხელ ფარდას ქმნიან, რომელიც ფაქტობრივად, მთელს პლანეტას ერტყმის გარს და მის ატმოსფეროს სათბურის ეფექტით აზიანებს.

პრობლემა მეტად სერიოზულია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად საჰაერო გადაზიდვების მოცულობა 3-7 პროცენტით იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის იმავე პროპორციით გაიზრდება საჰაერო მანქანების ინვერსიული კვალის მოცულობაც.

ინვერსიული კვალი რაღაცით ჩაიდანის ორთქლს ჰგავს - ის მაშინ წარმოიქმნება, როცა თვითმფრინავის ძრავიდან უზარმაზარი სიჩქარით გამოტყორცნილი ნამწვი აირი და მასთან ერთად ორთქლიც, დიდ სიმაღლეზე არსებულ, გაუხშოებული ჰაერის ცივ მასას ერევა.

მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ ინვერსიული კვალი გაცილებით ძლიერ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ატმოსფეროზე, ვიდრე იმავე თვითმფრინავის მიერ ჰაერში გამოტყორცნილი გამონაბოლქვი აირები.

და რამდენადაც, ინვერსიული კვალი მით უფრო ინტენსიურად წარმოიქმნება, რაც უფრო მაღლა დაფრინავს თვითმფრინავი, კლიმატოლოგები წინადადებას იძლევიან, შეიზღუდოს თვითმფრინავთა ფრენის სიმაღლე ზაფხულში 9.4 ათასი მეტრით, ზამთარში კი - 7.3 ათასით. ესეცაა, ასეთ სიმაღლეებზე თვითმფრინავთა საწვავის ხარჯიც შესამჩნევად გაიზრდება. თუმცა, ლონდონელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ გამონაბოლქვი აირების რაოდენობის ზრდა გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს, ვიდრე ინვერსიული კვალი.

## უმცროსი კუსტო "საკვლევ" ზვიგენს აგებს



ოკეანის ცნობილი მკვლევარი ფაბიან კუსტო, ვინც აკვალანგის გამომგონებლისა და ოკეანის სამყაროს პოპულარიზატორის, ჟაკ-ივ კუსტოს შვილიშვილი და ასევე ცნობილი ოკეანოლოგის, პროფესორ ჟან-მიშელ კუსტოს შვილია, უცნაურ პროექტს ახორციელებს - ქმნის ერთადგილიან წყალქვეშა ნავს, რომელსაც გარეგნულად ძნელად თუ განასხვავებთ ზვიგენისგან.

წყალქვეშა მანქანა განკუთვნილია თეთრი ზვიგენების შესასწავლად. მკვლევარი იმედოვნებს, რომ თავისი ნავის მეშვეობით, ამ მტაცებლებთან ერთად "იცხოვრებს" და ასე უფრო ახლოს გაეცნობა მათ სამყაროს და ხასიათს.

ნავი-ზვიგენის სიგრძე 4,27 მეტრია და მის მზიდ ელემენტს ფოლადის მოცულობითი ჩარჩო შეადგენს. ჩარჩოზე შემოკრულია რეზინის მსგავსი მასალისგან დამზადებული კანი, რომელიც "სკინ ფლექსის" (დრეკადი კანი) სახელითაა ცნობლი. ცნობისათვის, ეს მასალა კინოფილმების "პერსონაჟი" რობოტი-დინოზავრების და გასართობი პარკების რეპტილიების დასამზადებლად გამოიყენება.

კუსტოს წყალქვეშა გარეგნობით ზუსტად იმეორებს ზვიგენის ფორმებს. უფრო მეტიც, ისინი მოძრაობაშიც თითქმის იდენტურნი არიან - ხელოვნური ზვიგენი რეალურის მსგავსად გადაადგილდება, რისთვისაც ოსტატურად იყენებს კუდს. კუდი კი მოძრაობაში მოჰყავს პნევმატურ მანქანას, რომელიც დახურულ ციკლში მუშაობს (გადაადგილებისას წყალში არ ტოვებს ჰაერის ბუშტუკებს).

კუსტო თავისი ზვიგენის "სველ" კაბინაში, აკვალანგისტის კოსტუმში გამოწყობლი მოთავსდება. ის სასუნთქ აპარატს გამოიყენებს, რომელიც ასევე დახშული ციკლით მოემსახურება. მანქანას ის სპეციალური ჯოისტიკის მეშვეობით მართავს, გარემოზე დაკვირვებას კი სპეციალური მონიტორის მეშვეობით დააკვირდება, რომელიც ვიზუალურ გამოსახულებას "ზვიგენის" თვალებში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერებით მიიღებს. გარდა ამისა, კუსტოს რადიოკავშირი ექნება ნაპირთანაც.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

1. საავტომობილო საწვავის (ბენზინი რეგულარი - 400 000 ლიტრი; დიზელი (1.62) - 60 000 ლიტრი) მიწოდება უნდა განხორციელდეს ქვეყნის სხვადასხვა ადგილას.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) 7 ივლისის 10 საათიდან 8 ივლისის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის შემდეგ ცნობებს:

ა) ბანკიდან, რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არა აქვთ დავალიანებები;

ბ) საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები.

6. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ იგი ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებსა და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 14 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით ოთარაშვილი, ტელ. 75-47-746, 899-90-16-55.

**სატენდერო კომისია**

---------------------

*უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს

1. ქსეროქსის ქაღალდი ფორმატი A-4; 80 გრ. სით. 97 % - 13000 (500-ცალიანი) შეკვრა,

2. A-3 ფორმატი - 1000 (500-ცალიანი) შეკვრა,

3. მუყაოს ქაღალდი A-1 ფორმატი 180-200 გრ - 60000 ცალი

შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 07 ივლისის 10 საათიდან 08 ივლისის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

2. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი).

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან, რომ მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებსა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 14 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95.

***სატენდერო კომისია***

--------------------

*უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.*

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2005 წლის 27 აპრილს სადეზინფექციო, სადერატიზაციო, სასტერილიზაციო საშუალებების (ხელახალი) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში და 2006 წლის 25 აპრილს სხვადასხვა ფილტრების (ავტომანქანების) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ დახურულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

სადეზინფექციო, სადერატიზაციო, სასტერილიზაციო საშუალებების (ხელახალი)

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. მეწარმე "ედუარდ ზაალიშვილი" | PROTECT B, დაფასოებული პოლიეთილენის ვედროებში. | კგ | 7 | 100,00 | 700,00 |
| | Beststop-B5CS, დაფასოებული 1 ლიტრიან პოლიეთილენის ბოთლებში. | ლიტ. | 5 | 240,00 | 1200,00 |
| | Pennphos B, დაფასოებული 1 ლიტრიან პოლიეთილენის ბოთლებში | ლიტ. | 5 | 240,00 | 1200,00 |
| | Protect B, დაფასოებული 10 კგ პოლიეთილენის ვედროებში | კგ | 500 | 11,50 | 5750,00 |
| | Protect B, დაფასოებული 10 კგ პოლიეთილენის ვედროებში. | კგ | 500 | 13,50 | 6750,00 |
| | Korselex basic , კონცენტრანტი დაფასოებული 5 ლიტრიან პოლიეთილენის ბალონებში | ლიტ. | 100 | 28,00 | 2800,00 |
| | Sokrena, კონცენტრანტი დაფასოებული 5 ლიტრიან პოლიეთილენის ბალონებში | ლიტ. | 150 | 18,00 | 2700,00 |
| | Kutasept G, კონცენტრანტი დაფასოებული 5 ლიტრიან პოლიეთილენის ბალონებში | ლიტ. | 350 | 18,00 | 6300,00 |
| შ.პ.ს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი" | ჰოსპისეპტი, დაფასოებული 5 ლიტ. ქილებში | ქილა | 80,0 | 69,63 | 5570,40 |
| | ჰოსპისეპტი, დაფასოებული 1 ლიტ. ქილებში | ქილა | 200 | 14,86 | 2972,00 |
| | ჰოსპისეპტი, დაფასოებული 5 ლიტ. ქილებში | ქილა | 60 | 69,63 | 4177,80 |
| | ბლანიზოლი, დაფასოებული 5 ლიტ. ქილებში | ქილა | 50 | 88,35 | 4417,50 |

სხვადასხვა ფილტრების (ავტომანქანების)

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| შპს. "თეგეტა მოტორსი" | ჰაერის ფილტრი | ვაზ-21214 მარკის ავტომანქანისათვის | ც | 100 | 15,00 | 1500 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 195 | 4,00 | 780 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 195 | 15,00 | 2925 |
| | ჰაერის ფილტრი | ფორდ ტრანზიტის მარკის ავტომანქანა | ც | 40 | 30,00 | 1200 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 40 | 14,00 | 560 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 40 | 35,00 | 1400 |
| ინდ. მეწარმე "ვახტანგ აბრამიძე" | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ქამრი | ც | 50 | 26,00 | 1300 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 50 | 15,00 | 750 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 50 | 46,00 | 2300 |
| | ჰაერის ფილტრი | მიცუბიში-პაჯერო 2004წ | ც | 50 | 32,00 | 1600 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 50 | 14,00 | 700 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 50 | 25,00 | 1250 |
| | ჰაერის ფილტრი | ნისან-პატროლი 2004წ. (ბენზინზე) | ც | 30 | 30,00 | 900 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 30 | 24,00 | 720 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 30 | 40,00 | 1200 |
| | ჰაერის ფილტრი | ნისან-პატროლი 2004წ. (დიზელზე) | ც | 10 | 40,00 | 400 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 34,00 | 340 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 40,00 | 400 |
| | ჰაერის ფილტრი | ფორდ-ესკორტი 2000წ. | ც | 5 | 34,00 | 170 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 5 | 34,00 | 170 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 5 | 30,00 | 150 |
| | ჰაერის ფილტრი | ისუზუ- 27 | ც | 20 | 35,00 | 700 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 20 | 24,00 | 480 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 20 | 26,00 | 520 |
| | ჰაერის ფილტრი | რენო მეგანი | ც | 40 | 35,00 | 1400 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 40 | 16,00 | 640 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 40 | 29,00 | 1160 |
| | ჰაერის ფილტრი | რენო ლაგუნა | ც | 20 | 40,00 | 800 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 20 | 16,00 | 320 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 20 | 27,00 | 540 |
| | ჰაერის ფილტრი | რენო-19 | ც | 5 | 32,00 | 160 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 5 | 16,00 | 80 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 5 | 27,00 | 135 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ლენდკრუიზერი | ც | 10 | 34,00 | 340 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 21,00 | 210 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 28,00 | 280 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ლენდკრუიზერი | ც | 10 | 34,00 | 340 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 21,00 | 210 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 28,00 | 280 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ლენდკრუიზერი | ც | 10 | 34,00 | 340 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 21,00 | 210 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 28,00 | 280 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ლენდკრუიზერი | ც | 10 | 34,00 | 340 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 21,00 | 210 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 28,00 | 280 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| ინდ. მეწარმე "ვახტანგ აბრამიძე" | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| | ჰაერის ფილტრი | ტოიოტა-ჰაილუქსი | ც | 10 | 42,00 | 420 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 10 | 27,00 | 270 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 10 | 26,00 | 260 |
| | ჰაერის ფილტრი | გაზ-3110 [illegible] | ც | 15 | 16,00 | 240 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 15 | 14,00 | 210 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 15 | 23,00 | 345 |
| | ჰაერის ფილტრი | გაზ-3110 კარბურატორზე | ც | 15 | 8,00 | 120 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 15 | 3,00 | 45 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 15 | 3,00 | 45 |
| | ჰაერის ფილტრი | ლენდროვერი | ც | 50 | 46,00 | 2300 |
| | ზეთის ფილტრი | | ც | 50 | 33,00 | 1650 |
| | საწვავის ფილტრი | | ც | 50 | 32,00 | 1600 |




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------------------

მისამართი ---------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------

დაბადების თარიღი ---------------------------

სკოლა ---------------------------

კლასი ---------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგვიგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

# ბერლუსკონის ცხიმისგან გამომდინარი საპონი 18 ათას დოლარად გაიყიდა



იტალიის პრემიერის ნიჭზე, ნებისმიერი სკანდლიდან მშრალი გამოვიდეს, უკვე ლეგენდები დადის. იტალია მის გადაყენებასაც ცდილობდა, ფინანსურ მაქინაციებზე პასუხისმგებლობის აღებისკენაც მოუწოდებდა და არაპოლიტიკური გამოთქმებისგან თავშეკავებასაც სთხოვდა - მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ. შვეიცარიელმა მხატვარმა ჯანი მოტიმ, მათთვის, ვისაც ბერლუსკონის თვისებების მცირე დოზით გაზიარება მაინც სურს, მისი სხეულის ნაწილისგან შემოქმედების შექმნა გადაწყვიტა.

თუმცა, 47 წლის მოტის - კულტურულ მოღვაწეს და მშვიდობიან მოქალაქეს - არავის სხეულისთვის ზიანის მიყენება არ სურდა. ამიტომაც ეწვია კლინიკა ლუგანოს, სადაც ბერლუსკონი სახის გადაჭიმვისა და ლიპოსაქციის პროცედურებს იტარებდა. იქ, თავისი კავშირების წყალობით, ჩინოვნიკის კანიდან გამოწურული ცხიმის ნაწილი შეიძინა და ძვირფასი ნადავლით საკუთარი სახელოსნოსკენ გაემართა.

ამის შემდეგ ცხიმისგან საპნის ნაჭერი გამოადნო და ამ შემოქმედებას Mani Pulite ("სუფთა ხელები") უწოდა. ავტორი განმარტავს, რომ ეს სახელი 1990-იან წლებში კორუფციასთან ბრძოლის კამპანიასთან დაკავშირებით დაიბადა. **"იდეა იმიტომ მომივიდა, რომ საპონს, ჩვეულებრივ, ღორის ცხიმისგან ამზადებენ და მეც ვიფიქრე: უფრო მეტად გამართლებული იქნებოდა, ადამიანებს ბერლუსკონის ნაწილით დაებანათ ხელები"**, - თქვა მოტიმ.

ავტორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს შედევრი საოცარ პოპულარობას მოიპოვებდა და ნიმუში ბაზელში, ხელოვნების ბაზარზე გამოფინა. სასარგებლო საპონს დიდხანს არ უცდია და შვეიცარიელ კერძო კოლექციონერთან დაიდო ბინა. ინკოგნიტო მყიდველმა ფული არ დაინანა და საპონში 18 ათასი დოლარი გადაიხადა.

მათ, ვისაც ამ ნიმუშის შექმნის ისტორიის სიმართლეში ეჭვი ეპარებათ, ავტორმა შესთავაზა დნმის ტესტის ჩატარება, რითაც ადვილი დასამტკიცებელია, რომ ცხიმი ნამდვილად იტალიელ პოლიტიკოსს ეკუთვნის. **"ეს იყო ჟელეს მსგავსი სუბსტანცია, რომელიც საშინლად ყარდა - როგორც კარაქი ან ღუმელზე შედგმული ძველი, გაყინული ცხიმი"**, - გვიზიარებს მოტი შთაბეჭდილებას იმ მასალაზე, რაზეც მოუხდა მოუშაობა.

# ლეონარდო დი კაპრიოს თავი გაუტეხეს



მსახიობმა ლეონარდო დი კაპრიომ სერიოზულად იზარალა - მას ბოთლით თავი გაუტეხეს, რის გამოც ჭრილობაზე ათი ნაკერი დაადეს.

ჟურნალ People-ის ინფორმაციით, ცნობილ მსახიობს თავი უცნობმა ქალბატონმა იმ დროს გაუტეხა, როცა ის ჰოლივუდში კერძო პირის მიერ მოწყობილ საღამოზე იმყოფებოდა. მსახიობის პრესმდივნის განცხადებით, "საიდანღაც გამოცხადებულმა დაუპატიჟებელმა ქალმა მსახიობს შუშის ნივთი დაარტყა". ვიდრე ეს უსიამოვნება მოხდებოდა, ქალბატონს რამდენჯერმე თხოვეს ტერიტორიის დატოვება, თუმცა მან ეს თხოვნა არ შეისმინა და მსახიობიც იოლად გაიმეტა. დაზარალებული მსახიობი მეგობრის მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს, იქ პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და სახეზე, ყურთან ახლოს რამდენიმე ნაკერიც დაადეს.

მსახიობის პრესმდივნის თქმით, თავდამსხმელი ქალი წვეულებაზე ეძებდა თავის ყოფილ სატრფოს, რომელიც ასევე მისი ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა. ამბობენ, რომ დი კაპრიოსთან დაკავშირებულ საქმეში უკვე პოლიციაც ჩაერია, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დასტურდება. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ მსახიობი წვეულებაზე გადაღებების შემდეგ სტუმრობდა.

ექიმები მიიჩნევენ, რომ დაზარალებულ დი კაპრიოს მუშაობაში ხელი არ შეეშლება. ცნობისათვის, ამჟამად მას მარტინ სკორსეზეს ახალ ფილმ "მიცვალებულებში" იღებენ.

# ინგლისის დედოფალმა ფლეიერი იყიდა



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა საკუთარ თავს პატივი სცა და mp3-ფლეიერი შეიძინა. ჟურნალისტების ინფორმაციით, ელიზაბეტ მეორემ ვერცხლისფერი 6 გიგაბაიტიანი დისკის მქონე მოდელი შეაირჩია.

ამბობენ, რომ დედოფალს ფლეიერის შეძენა მისმა მეორე ვაჟმა პრინცმა ენდრიუმ გადააწყვეტინა. 2001 წელს, სწორედ, ენდრიუმ აჩუქა მას მობილური ტელეფონი და გამოყენებაც ასწავლა.

"დედოფალს უყვარს მუსიკა. ძალიან გაკვირვებული ჩანდა, როცა ფლეიერი დაინახა. მოეწონა, რომ ის პატარა და მოსახერხებელი იყო. მართალია, მასში მუსიკის ჩატვირთვა ცოტა რთულია, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ ამაში დაეხმარებიან. თვით პრინც ენდრიუ მშვენივრად ერკვევა თანამედროვე ტექნოლოგიებში," - განაცხადეს სასახლეში.

# ეროტიკული რომანი საერთაშორისო ბესტსელერად იქცა




არაბი მწერალი ქალის რომანი "ნუში" ახალგაზრდა მაროკოელის სასიყვარულო ისტორიას მოგვითხრობს. რომანმა უკვე დაიმსახურა ევროპელი და ამერიკელი კრიტიკოსების მოწონება. საფრანგეთში წიგნის ტირაჟმა 50 ათასს მიაღწია, ახლო მომავალში კი ის ბრიტანეთის მაღაზიებშიც გამოჩნდება.

17 წლის ბადრა სოფელში ცხოვრობს. ტრადიციებისამებრ გოგონას ასაკიან მამაკაცზე ათხოვებენ, ის მეუღლესთან ერთად ხუთი წელი ცხოვრობს, შემდეგ კი ტანჟერში გარბის. მას ემანსიპირებული ნათესავი იფარავს და ბადრაც თავისუფალი ქალივით იწყებს ცხოვრებას. კრიტიკოსები აღნიშნავენ ამ ისტორიის დამაჯერებლობას და ფრანგი კატრინ ბრეის ფილმებს ადარებენ. ერთ-ერთ რეცენზიაში კი ნათქვამია, რომ ნეჯმის (მწერლის ფსევდონიმი) რომანი ქალური მგრძნობიარობისადმი მიძღვნილი ოდაა, რომელიც ავტორის გამბედაობასა და ტალანტზე მიუთითებს.

"ნუშის" ავტორის შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის ორმოც წელს ოდნავაა გადაცილებული, გაუთხოვარია და ბევრს მოგზაურობს. ცნობილია ისიც, რომ ეს მისი პირველი რომანია. ავტორის ფსევდონიმი "ნეჯმა" სახელწოდებაა ალჟირელი მწერალ იასინ კატიბას ცნობილი რომანისა, რომელიც საიდუმლო წარსულის მქონე ლამაზმანზე მოგვითხრობს.

დასავლური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ნეჯმა აცხადებს, რომ წიგნში ბევრი რამე მისი პირადი გამოცდილებიდანაა აღებული, დანარჩენი კი მეგობარი ქალების მონათხრობია. "არ მინდა პოლიტიკაზე ვწერო, მაგრამ გაპროტესტების სურვილი ყოველთვის მაქვს," - ამბობს მწერალი.

სამეფო უბნის თეატრი
თბილისის I კლასიკური გიმნაზიის საბავშვო სტუდია
საინვესტიციო კომპანია A-WORD წარმოგიდგენთ
გენერალური სპონსორი
25-26 ივნისი
საძაგელი იხვის ჭუჭული



დასაწყისი 17 და 19 სთ-ზე
მისამართი: გია აბესაძის №10
ტელ.: 92 38 70
თანადგომისთვის მადლობას ვუხდით სპონსორებს
პიკოვიტი Pikovit
KRKA კრკა
PSP ჯგუფი GMP

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

Maki
Fujitsu-Siemens-ის პრემიერ-პარტნიორი გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$-დან
AMD Athlon 64
კომპიუტერებს - 298$-დან
განვადებით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24